ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანტონიო ტოვარი

ბასკური ენა

„მეცნიერება"
1980

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

The Basque Language

by

ANTONIO TOVAR

Catedratico, University of Salamanca

Translated by

HERBERT PIERREPONT HOUGHTON

A.B., Amherst College; Ph.D., Johns Hopkins University

Formerly Professor of Greek, Carleton College

Philadelphia

University of Pennsylvania Press

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანგონიო ფოვარი

ბასკური ენა

ავტორიზებული ინგლისური თარგმანიდან
თარგმნა ნ ა თ ე ლ ა ს ტ ურ უ ა მ

ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ს
წინასიტყვაობითა და რედაქციით

გამომცემლობა „მეცნიერება"
თბილისი
1980

ეროვნული ბიბლიოთეკა

81.2 Баск
491.69
ტ 656

ნაშრომის ავტორი, სალამანკის უნივერსიტეტის პროფესორი, ესპანელი ფილოლოგი ანტონიო ტოვარი, ბასკური ენის ცნობილი სპეციალისტიც არის. წინამდებარე ნაშრომი ესპანურ ენაზე გამოქვეყნდა 1950 წელს სან-სებასტიანში. მისი ავტორიზებული ინგლისური თარგმანი კი გამოვიდა 1957 წელს აშშ-ში, ფილადელფიაში, პენსილვანიის უნივერსიტეტის გამომცემლობაში (მთარგმნელი ამავე უნივერსიტეტის პროფესორი ჰერბერტ პ. ჰაუტონი). ქართული ტექსტი ინგლისური გამოცემის თარგმანს წარმოადგენს.

ნაშრომში მოცემულია ზოგადი ცნობები ბასკური ენის ისტორიისა და განვითარების, ამ ენის თავისებურებათა შესახებ. იგი განკუთვნილია როგორც სპეციალისტების, ასევე ბასკური ენის პრობლემით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

Автор книги, профессор Саламанкского университета, испанский филолог Антонио Товар является известным специалистом баскского языка. Работа А. Товара «Баскский язык» была опубликована на испанском языке в 1950 году, в Сан-Себастиане; авторизованный английский перевод этой книги вышел в 1957 году, в США, в Филадельфии, в издательстве Пенсильванского университета (перевел ее профессор Пенсильванского университета Г. П. Хаутон). Грузинский текст является переводом с английского издания.

Поскольку в работе рассматриваются основные вопросы всех уровней анализа баскского языка, она окажется полезной как для специалистов-лингвистов, так и для широких кругов читателей, интересующихся проблемой баскского языка.

ტ $\frac{70103}{М\ 607\ (06)-80}$ 110—80 © გამომცემლობა „მეცნიერება“, 1980

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა

ბასკურის ნათესაობის საკითხი პროფ. ანტ. ტოვარის წიგნში „ბასკური ენა“

პროფ. ანტ. ტოვარის წიგნი „ბასკური ენა“ შედგება ექვსი თავისაგან:

1. ბასკური ენის ისტორიისათვის,
2. ბასკური ენის შედარებითი შესწავლის შედეგები,
3. ბასკური ენის ფონეტიკა,
4. ბასკური ენის მორფოლოგია და სინტაქსი,
5. ბასკური ენის ლექსიკა,
6. ბასკური ენის დიალექტები,

წიგნს დართული აქვს ბიბლიოგრაფია სპეციალური ლიტერატურისა ბასკური ენის შესახებ, აქ ავტორი ჯერ „ზოგად ლიტერატურაზე“ მიუთითებს — რ. ასკუესა და ჰ. შუხარდტის შრომებია დასახელებული... შემდეგ ბასკური ენის გრამატიკებს ჩამოთვლის (სულ 5 ნაშრომია დასახელებული: 1879 წლით თარიღდება ყველაზე ძველი და 1948 წლით — ყველაზე ახალი)... გრამატიკებს მოსდევს ლექსიკონები (რ. ასკუესი — „ბასკურ-ესპანურ-ფრანგული“, 1904—06 წწ. და ს. ლანდესი „ბასკურ-ფრანგული“, 1926—38 წწ.).

დანარჩენი შრომები ცალკეული პარაგრაფების მიხედვით არის წარმოდგენილი.

ავტორი იწყებს ბასკური ენის ისტორიით.

ცალკეული ბასკური სიტყვები გვხვდება შუა საუკუნეების ლათინურ დოკუმენტებსა და ქრონიკებში: ბასკ. აიტა „მამა“—980 წ., ესსუა „მგელი“ — 981 წ., ატაბურუ „შესაკრავი“ — 1007 წ., ესკერრა „ცაცია“ — 1024 წ. და ასე შემდეგ.

მწერლობა კი ბასკურ ენაზე შეიქმნა XVI საუკუნეში (დეჩეპარეს ლექსები დაიბეჭდა ქ. ბორდოში 1545 წელს).

ბასკური ენის ისტორიით რომ იწყებს ანტ. ტოვარი, ეს გასაგე-

ბია. მაგრამ ამას რომ მოსდევს „ბასკური ენის შედარებითი შესწავლის შედეგები“, ცოტა არ იყოს, მოულოდნელია: ბასკური ენის წარმომავლობისა და სხვა ენებთან მისი ისტორიულ-გენეზისური ურთიერთობის საკითხი ბუნებრივი იქნებოდა ავტორს განეხილა ბოლოს — ფონეტიკის, მორფოლოგიასინტაქსის, ლექსიკისა და დიალექტების ანალიზი რომ დამთავრდებოდა...

ავტორმა სხვაგვარად განსაჯა (იგი კლასიკური ფილოლოგიის სპეციალისტია და არა — ენათმეცნიერი... თვითონვე აღნიშნავს: „მე ბასკი არა ვარ“. რაც ამ ენის შესახებ ვიცი, წიგნებიდან მაქვს შესწავლილიო... მასალის არასისტემური ხასიათიც, ალბათ, იმან გამოიწვია; რომ ავტორი ფილოლოგი-მკვლევარია, და არა — ლინგვისტი).

*

* *

პროფ. ანტ. ტოვარმა წინ წამოსწია ბასკურის წარმომავლობისა და სხვა ენებთან ნათესაობის საკითხი. ქართველ მკითხველსაც, პირველ ყოვლისა, სწორედ ეს აინტერესებს. მისთვის ერთგვარად მოულოდნელი იქნება, როცა დაინახავს, რომ ბასკურ ენას უკავშირებენ არა მხოლოდ ქართულ-კავკასიურ ენობრივ სამყაროს... ზოგი ავტორი ურალურ-ალთაურ და ჩრდილო-ციმბირის ძველ ენებთან პოულობს კავშირს... ზოგი კიდევ აფრიკის ქამიტური ენებისაკენ მიმართავს ყურადღებას... პირენეის იბერიულ (მკვდარ) ენასთან ურთიერთობის საკითხი ხომ დიდი ხანია დგას და ა. შ.

ერთი სიტყვით, ბასკურთან ნათესაობის „პრეტენდენტი“ მხოლოდ ქართულ-კავკასიური ენობრივი სამყარო როდია.

საჭიროა გაირკვეს, რა იწვევს ამას... ითქვას ისიც, თუ რას ნიშნავს მონათესავე ენა და რაა საჭირო, რომ ვირწმუნოთ ენათა ნათესაობა.

წინასწარ მოკლედ გადმოვცემთ, რაც არის თქმული პროფ. ანტ. ტოვარის შრომაში ბასკურის ნათესაობის შესახებ სხვა ენებთან.

პირველად პროფ. ანტ. ტოვარი კავკასიურ ენებთან ურთიერთობას იხსენიებს:

„არსებითი და ტიპობრივი ნიშნების მიხედვით და ლექსიკის ბევრი ელემენტით ბასკური მსგავსია რთული შედგენილობის

კავკასიური ჯგუფისა, რაც გვავარაუდებინებს ძალზე შორეულ ნათესაობას, რომელიც, ალბათ, რამდენიმე ათასწლეულის წინანდელი წარსულიდან მომდინარეობს“ (§ 8, ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

შემდეგ ნათქვამია, რომ თვით კავკასიური ენები ერთმანეთისაგან დიდად განსხვავდება, მაგრამ „ბასკურის ნათესაობა არც ერთი მათგანის თავისებურებას არ გამორიცხავს“; ზოგადი მოვლენებიდან, პირველ რიგში, დასახელებულია: ზმნის პასიურობა, ერგატიული (მოთხრობითი) ბრუნვა, ობიექტის აღნიშვნა ზმნაში... შემდეგ კი — ცალკეული ფაქტები: კაუზატივის ფორმანტი (რ- პრეფიქსი აფხაზურში), უარყოფის ნაწილაკი (ჩაჩნურ, ინგუშურსა და ბაცბურში), ობიექტის პირველი პირის პრეფიქსი (გ3-) ქართულში...

ავტორი ასახელებს მთელ რიგ ბასკურ სიტყვებს და უდარებს ზოგს ჩერქეზულს, ზოგს — ქართულს, სვანურს... აღულურს, თაბასარანულს, უდიურს.

ამ წესით სხვადასხვა ენიდან შერჩეული მსგავსი სიტყვა ნათესაობის საბუთად, ცხადია, არ გამოდგება.

ანტ. ტოვარი შენიშნავს: ნათესაობა თვით კავკასიურ ენებს შორის არ არის ჯერ ზუსტად დადგენილი. ამისდა მიუხედავად, ბასკურ-კავკასიური ნათესაობის ფაქტი, შემჩნეული ესპანელი ფიტას მიერ და დადასტურებული შუხარდტის, ტრომბეტის, ულენბეკის, დიუმეზილის, ბოუდასა და ლაფონის მიერ, უფრო სისტემატური შესწავლის საფუძველზე, არის აღმოჩენა, რომელიც ძალზე შორეული წარსულის ვითარებას გამოგვივლენსო (§ 8).

შემდგომს პარაგრაფში ლაპარაკია ბასკურის ნათესაობის შესახებ ურალურ-ალთაურ, კერძოდ, უნგრულ-ფინურ ენებთან, აგრეთვე ჩრდილო-ციმბირის ძველ ენებთან, მეტადრე ჩუკჩების ენასთან.

ანტ. ტოვარის თქმით, „ბევრმა ავტორიტეტულმა სპეციალისტმა უნგრულისა და სხვა უნგრულ-ფინური ენების დარგში აშკარად მიიჩნია ბასკურის ნათესაობა ამ ენებთან“ (§ 9).

ზოგი ავტორი (კ. ბოუდა) ბასკურს უფრო შორეულ ენობრივ ოჯახებთან აკავშირებს. ანტ. ტოვარი „გასაოცარს“ უწოდებს იმ პარალელებს, რაიც თურმე ჩუკჩურ ზოგ სიტყვას დაღესტნის რიგი ენის (ხუნძურის, თაბასარანულის), აგრეთვე ყაბარდოულის, ჩერ-

ქეზულის მეშვეობით ბასკურთან აკავშირებს. ეს სიტყვაა თურმე ჩუკჩების ო რ გ „ციგა“ და ბასკ. ო რ გ ა „ურემი“... „შემაერთებელ რგოლად“ მიუჩნევიათ ხუნძ. ლ ო კ ო, თაბას. ა ბ ა ჩერქ. ქ ო ე, უაბ. გ ო ე...(!).

ბასკური ენის ურთიერთობას აფრიკის ენებთან, კერძოდ, ქამიტურ-ბერბერულთან ეხება მე-10 პარაგრაფი.

„აფრიკასთან ნათესაობა აშკარად იგრძნობა ბასკურში,... განსაკუთრებით ლექსიკაშიო“, — წერს ანტ. ტოვარი.

ლექსიკურ შესატყვისობათა უმეტესობა იმაზე მეტყველებს, რომ „აქ უბრალო, შემთხვევით მსგავსებასთან კი არ გვაქვს საქმე, არამედ ეს პარალელები საშუალებას გვაძლევს ვამტკიცოთ უ ძ ვ ე ლ ე ს ი ნათესაობის არსებობა ბასკურსა და ქამიტურ (სემიტურ) ენებს შორისო“, და ბასკურ ა კ ე რ-ს „ვაცი“ უდარებს ბერბერულ ი კ ე რ, ა კ ა რ-ს „ცხვარი“, ასევე ბასკ. ა ნ ა ი „ძმა“ „შეესაბამება“ ბერბერულ ა ნ ა-საო „ძმა“...

ხსენებული სიტყვები, ჩვენი აზრით, შეთვისებული ჩანს ერთი ენიდან მეორეში: შესატყვისობა კი არა გვაქვს, არამედ — იგივეობა.

პროფ. ანტ. ტოვარი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ასეთი მოვლენები („ნათესაობის შეტანა“) ბასკურში „ესპანეთის ტერიტორიაზე მცხოვრები აფრიკული წარმოშობის ხალხის მეშვეობით უნდა მომხდარიყო“: საკითხი დგას პირენეის ნახევარკუნძულის მოსახლეობის შესახებ მესამე-მეორე ათასწლეულში ჩვენს წელთაღრიცხვამდე...

„ქამიტური ენათმეცნიერების ჩამოყალიბება, რაც ამდენი ხანია ფერხდება, ზემოჩამოთვლილი საკითხების გარკვევასაც შეუწყობდა ხელს“, იმედოვნებს ანტ. ტოვარი.

ცალკე პარაგრაფი (§ 11) ეთმობა ბასკურის ურთიერთობას ი ბ ე რ ი უ ლ ენასთან, რომელიც პირენეის ნახევარკუნძულზე იყო ოდესღაც გავრცელებული; ამ ენის წარწერებიღაა შემორჩენილი.

ზოგი ავტორი წინათ იმ აზრს ადგა, რომ ბასკური ძველი იბერიული ენის მემკვიდრედ მიგვეჩნია, ბასკური ენა თითქოს „ახალ იბერიულს“ წარმოადგენდეს. ამჟამად ბასკურის იბერიულთან ნათესაობაზე თუ ვილაპარაკებთ, მათი იგივეობის საკითხი აღარ დგას.

მით უფრო ეს ითქმის ხმელთაშუა ზღვის აუზის ძველ ენათა შესახებ, რასაც ანტ. ტოვარი გაკვრით ეხება (§ 12).

ეროვნული ბიბლიოთეკა

კელტურ და ლათინურთან კონტაქტი და ამის შედეგები ისტორიულ ეპოქას ეხება (§ 13). პირენეის ნახევარკუნძულზე კელტების გარდა გერმანელმა ტომებმაც შეაღწიეს. არაბების ექსპანსია და არაბული ენის გავლენაც — ლექსიკაში — საგრძნობია (სიტყვები ასუკრა „შაქარი", ასოკ-ეგუნ „ბაზრობის დღე"... § 14); არაბული სიტყვები ესპანურის მეშვეობით თუ გავრცელდებოდა ბასკურში (ინტერფერენციის შედეგად).

კელტურ, ლათინურ, ესპანურ თუ ფრანგულ ენებთან კონტაქტები და მათი შედეგები ბასკური ენის ისტორიაში გასათვალისწინებელია, მაგრამ ბასკურის წარმომავლობის საკითხისათვის არაფერს იძლევა.

*

* *

რა გამოდის? ბასკურის წარმომავლობას ზოგი ავტორი კავკასიის ენობრივ სამყაროს უკავშირებს, ზოგი — ფინურ-უნგრულს (და, საერთოდ, ურალურ-ალთაურს), ზოგიც — ჩრდილო-ციმბირის ენებს, ზოგიც — აფრიკის ქამიტურ ენებს...

შეიძლება ბასკური ყველა ამ ენის მონათესავე იყოს? შეიძლება, თუ კი ყველა ამ ენას ერთმანეთის მონათესავედ მივიჩნევდით. მაგრამ ასეთ რასმე სათანადო ავტორთაგან არავინ ამტკიცებს.

ბასკურის რაობის საკითხი რომ გაირკვეს, საჭიროა ენათა ნათესაობის საკითხი ერთნაირად ესმოდეს მკვლევრებს.

მონათესავედ მიიჩნევენ ისეთ ენებს, რომელთაც საერთო წარმოშობა აერთიანებს: რაც ერთი ენის დიალექტებს წარმოადგენდა ოდესღაც, — სხვადასხვა ისტორიულ გარემოებათა გამო —, დროთა ვითარებაში დაშორდა ერთმანეთს იმდენად, რომ ცალკე ენებად იქცა... მონათესავე ენებს განვითარების საკუთარი გზა აქვს; ამ განვითარებაში ცვლის შინაგანი ტენდენციებიც მოიპოვება და სხვა ენათა გარე გავლენაც ანგარიშგასაწევია.

მონათესავე ენებში გამოიყოფა საერთო მასალა (ფონეტიკაში, ლექსიკაში, გრამატიკულ ინვენტარში, ფრაზეოლოგიზმებშიც კი...)... ეს საერთო მასალა თვალში გვეცემა, როდესაც ენები ახლო მონათესავეა (მაგ., რუსული, უკრაინული, ბელორუსული — ახლო მონათესავე ენებია). სლავური ენები გერმანულ და რომა-

ნულ ენებთან მონათესავე ენებია, მაგრამ საერთო აქ უფრო ძნელი გამოსაყოფია, ხოლო კელტურ-ირლანდიური, ბერძნული და სომხური ისეა დაშორებული ერთმანეთს, რომ მათს ნათესაობას არავინ დაიჯერებდა ისტორიულ-შედარებითი ძიების გარეშე: შორეულად მონათესავე ენებში საერთოს მიკვლევა ძნელია (საერთოს პოვნა შეიძლება არც მოხერხდეს, ისე „გადაშალოს“ იგი ისტორიულმა ცვლილებებმა)...

მერეა-და: საერთოს „განკრძალვით გარჩევა“ უნდა: „საერთო“ შეიძლება ერთი ენიდან მეორეში შეთვისებული იყოს უშუალო კონტაქტის შედეგად ანდა შუალობით, სხვა ენის (თუ ენათა) მეშვეობით („შაქარი“ არაბულია, „ციტრუსი“ — ლათინური, „პომიდორი“ — ფრანგული, „კაკაო“ — ცენტრალური ამერიკის ინდიელთა ენიდან მოდის...).

საერთო მოვლენა შესაძლოა დამოუკიდებლად წარმოიქმნას სხვადასხვა ენაში; მაგ., „აღმოსავლეთი“ — „აღმოსავალი მზისა“ და ლათინ. oriens „ამომავალი“ [შემოკლებული: orientis solis „ამომავალი მზისა (ადგილი, მხარე)“] არც ქართულს უსესხებია ლათინურისაგან და არც ლათინურს შეუთვისებია ქართული ენიდან: ორივე ენამ დამოუკიდებლივ აწარმოვა. ლექსიკაში „საერთო“ ნათესაობის დასამტკიცებლად ყველაზე ნაკლებ არის საიმედო: ლექსიკის მიმოქცევა ყველაზე ადვილია...

ყველაზე თავისთავადია და გამძლეა სიტყვის ფორმები. სესხება ფორმანტებისა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ ენის სისტემა შეირყა (ორენოვნობის შედეგად)... მაგრამ სიტყვის ფორმაც იცვლება დროთა ვითარებაში: ლათინური ექვს ბრუნვას განარჩევდა, ფრანგულს ბრუნება — ლათინურის მსგავსი — საერთოდ არა აქვს, წინდებულებით გამოხატავს იმას, რასაც ლათინურში სახელის დაბოლოება გადმოსცემდა... დაღესტნის ზოგ ენაში ზმნა გრამატიკული კლასების მიხედვით იუღვლება, ზოგში კიდევ — კლასებისა და პირთა მიხედვით, ზოგში — პირთა მიხედვით; აქ ისეთი ენებიც გვაქვს, რომ ზმნა არც კლასებს აღნიშნავს, არც პირს... ახლა ასეთი დიდი სხვაობა გვაქვს; ამოსავალი კი ყველა ამ ენის უღვლილებას ერთი ჰქონდა: ზმნა გრამატიკული კლასების მიხედვით იუღვლებოდა.

ეს ნიშნავს: მოვლენის ისტორია თუ არ ვიცით, შეიძლება მეორეული საერთო (ვთქვათ, ნასესხები სიტყვები) ვერ განვასხვა-

ვოთ პირვანდელი საერთოსაგან და, პირუკუ, მეორეულ-მა სხვაობამ შეუმჩნეველი გახადოს ის ერთიანობა, რაც ამოსავალში გვქონდა.

თუ ბასკურ ენას სულ სხვადასხვა ენას უკავშირებენ, ეს იმიტომ, რომ არ ითვალისწინებენ იმ საერთოს ისტორიას, რაც, ვთქვათ, ბასკურს აქვს აფრიკის ქამიტურ ენებთან (ანდა ჩრდილო ციმბირის ენებთან, მაგ. ჩუკჩების ენასთან); ბერბერულ-მა თუ არაბულმა სიტყვამ ბასკურში შეაღწია უშუალო სესხების (ანდა ინტერფერენციის) გზით. ჩუკჩების ერგატიული კონსტრუქცია დამოუკიდებელი წარმონაქმნია: მსგავსება ტიპოლოგიური ხასიათისაა.

ტიპოლოგიური მსგავსება კი ენათა ნათესაობის საკითხს ვერ გადაწყვეტს. ტიპოლოგიურმა მსგავსებამ შეიძლება ნათესაობის საკითხი დასვას, ისიც იმ შემთხვევაში, თუ ეს ტიპოლოგიური მსგავსება მეღავნდება მოვლენათა წყებაში.

მთავარი მაინც ის კი არაა, რაც ზედაპირზე ჩანს, მთავარია სიღრმისეული მოვლენები და აქ არსებული ვითარება. ამას კი მოვლენის ისტორია გაგვირკვევს.

დოკუმენტაცია ქართულს მეხუთე საუკუნიდან აქვს, ბასკურს მეთექვსმეტე საუკუნიდან, მთის იბერიულ-კავკასიურ ენებს — მეთვრამეტე საუკუნიდან.

ასეთ ვითარებაში ისტორიული წარსულის აღდგენა შინაგან რეკონსტრუქციას უნდა დაემყაროს.

ბასკურისათვის დიალექტთა მონაცემები უნდა იქცეს შინაგანი რეკონსტრუქციის საყრდენად, იბერიულ-კავკასიური ენებისათვის მრავალრიცხოვან ენათა — სამწერლოთა და უმწერლოთა — მონაცემები.

ამ ენათა სისტემის ანალიზმა მათი ისტორიის ძირითადი მომენტები უნდა გაგვარკვევინოს.

ამ მხრივ იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლისათვის უკეთესი პირობები გვაქვს.

ამჟამად იბერიულ-კავკასიურ ენათა წარსულის მთავარი მომენტები შეიძლება ნათლად წარმოვიდგინოთ.

ასე, მაგალითად, ამ ენებს ხმოვანთა სისტემა მარტივი ჰქონდა; თანხმოვანთა სისტემაც ისე რთული არ უნდა ყოფილიყო, ვინემ

ახლა გვაქვს მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა მეტ წილში: მხოლოდ ღრმა უკანა წარმოების ბგერები (ფარინგალები, ლარინგალები) მეტი უნდა ყოფილიყო, ვინემ ძველ ქართულში გვაქვს.

მ ო რ ფ ო ლ ო გ ი ი ს ძირითადი კატეგორია — სახელთა გრამატიკული კლასებისა (ვ ი ნ დ ა რ ა კატეგორია) აქ ყველა ჯგუფის ენას ახასიათებდა და მათი გარჩევა სახელს, ზმნას, ზედსართავ, რიცხვით სახელსა და ნაცვალსახელს, მიმღეობას, მასდარს, სახელისაგან ნაწარმოებ სახელს, ერთი სიტყვით, მთელს მორფოლოგიას ახასიათებდა.

ზმნას ამოსავლად სახელი ჰქონდა (ნასახელარი ზმნები!); უღვლილების ჩამოყალიბება უსწრებს ბრუნების ჩამოყალიბებას. უღვლილება გრამატიკული კლასების მიხედვით წარმოებდა: გარდაუვალი ზმნის უღვლილება ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ-კლასოვანი იყო, გარდამავალისა — ო ბ ი ე ქ ტ უ რ-კლასოვანი. უ ს უ ბ ი ე ქ ტ ო (სუბიექტი გ ა რ დ ა მ ა ვ ა ლ ზმნაში ჩნდება პ ი რ ი ს კატეგორიის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით).

ზმნის ფუძე სახელური ბუნებისა იყო და გვარებს არ განასხვავებდა. ზმნის ფუძის სახელური ხასიათი და გვარების (მოქმედებითის, ვნებითის) გაურჩევლობა გასაგებს ხდის ერგატიული კონსტრუქციის თავისებურებას. იგი არც პასიურია და არც აქტიური („ნეიტრალური“ თუ ეთქმის); როცა ზმნის უღვლილებაში გვარები არ გაირჩევა, ერგატიული კონსტრუქციის პასიურობასა და აქტიურობაზე ლაპარაკი მეტია; გარდამავალი ზმნა აქტიური არ არის, მაგრამ ა რ ა ა ქ ტ ი უ რ ი არ ნიშნავს პ ა ს ი უ რ ს...

რა თქმა უნდა, ბასკური ენა იბერიულ-კავკასიური ადლით არ გაიზომება; მას საკუთარი ისტორია აქვს, დიდი ხნის ისტორია. ბასკურს ბევრი ენის გავლენა განუცდია (ისევე, როგორც იბერიულ-კავკასიურ ენებს). გასაკვირი ის კი არაა, თუ ბასკურ ენაში, მის ლექსიკაში, პირველ ყოვლისა, ერთგვარად გრამატიკაშიც ამ გავლენამ თავისი კვალი დატოვა, გასაკვირი ისაა, რომ ბასკური ენის სისტემამ შეინარჩუნა თავისი ორიგინალური სახე, გაუძლო ისტორიულ ქარტეხილებს, რამაც იმავე პირენეის ნახევარკუნძულზე, აგრეთვე სამხრეთ-დასავლეთ საფრანგეთში, არა ერთი ენა და მისი მოლაპარაკე ხალხი ისტორიის სარბიელიდან გააქრო.

მხოლოდ ჩვენი დროის ულმობელი ცივილიზაცია უქმნის სერიოზულ საფრთხეს ამ გადმონაშთ ენას (ბასკურს), ინდოევრო-

პელების პირველ შემოსევათა წინადროის დასავლეთის უძველესი ვითარების ამსახველ ენასაო, — წერს ანტ. ტოვარი, ესპანელი პროფესორი, რომლის წიგნში იგრძნობა ბასკი ხალხისადმი კეთილი განწყობილება.

თანამედროვე ცივილიზაციის პირობებშიც არ გაქრება ბასკური ენა, თუ თვით ბასკები (და პირველ ყოვლისა, ინტელიგენცია) არ გადაუდგნენ ბასკურ ენას, რომელიც იყო და არის ბასკი ხალხის მეობის ყველაზე არსებითი ნიშანი.

*

* *

რომანულ ენათა გამოჩენილი სპეციალისტი ჰუგო შუხარდტი წერდა: ბასკურის ერგატიულმა კონსტრუქციამ მიმიყვანა კავკასიურ ენათა შესწავლამდეო. ჰ. შუხარდტი ენის ფსიქოლოგიას, ენის შინა ფორმას ითვალისწინებდა, სტრუქტურის ტიპის ერთიანობას ემყარებოდა.

ცალკეული ნიშნები ამ მხრივ ერთ ენას შეიძლება სულ სხვადასხვა ენასთან საერთო ჰქონდეს და ეს არაა განსაკუთრებული რამ, მაგრამ სტრუქტურულ ნიშანთა კომპლექსი, როგორც ზემოთაც ითქვა, ისტორიულ-გენეზისური ურთიერთობის საკითხს აღძრავს. და ამ მხრივ ბასკურთან სიახლოვეს ყველაზე მეტად იბერიულ-კავკასიური ენები ამჟღავნებენ.

რიგი საერთო სტრუქტურული მოვლენა იქცევს ამთავითვე ყურადღებას; ასეთია, მაგალითად:

1. პოსტპოზიციური მსაზღვრელი (არტიკლი) და მისი მიმართება ბრუნვის ფორმასთან და ბრუნების პროცესთან. აქ ქართულისა და ადიღური ენების ჩვენება იქცევს ყურადღებას, პირველ ყოვლისა...

2. ერგატიული ბრუნვის წარმოება და ერგატივის ადგილი ბრუნების სისტემაში — სხვადასხვა კატეგორიის სახელებში (ეს ყველა იბერ.-კავკ. ენას ეხება, სადაც კი ბრუნება გვაქვს).

3. ზმნის უღვლილების პრინციპები — კლასოვანი, კლასოვან-პიროვანი და პიროვანი უღვლილება (სხვადასხვა იბერ.-კავკ. ენაში).

4. ობიექტისა და სუბიექტის აღნიშვნა გარდამავალ ზმნაში (უღვლილების ტიპებთან დაკავშირებით).

5. ორგანული და აღწერითი (პერიფრასტიკული) წარმოების

ხვედრითი წონა ზმნის უღვლილებაში (ლაკურში, ჩაჩნურში, ქართულში, აფხაზურში, ადიღურ ენებში).

6. ზმნის ფუძის სახელური ბუნება და ამის გამოვლენა სხვადასხვა ჯგუფის იბერიულ-კავკასიურ ენებში.

7. გვარის კატეგორიის საკითხი სხვადასხვა ჯგუფის იბერიულ-კავკასიურ ენათა ზმნაში.

8. ერგატიული კონსტრუქცია და მისი გამოყენების არეალი.

9. სახელთა გრამატიკული კლასის კატეგორია და სემანტიკური კატეგორია (ვინ? რა?); მორფოლოგიური და სემანტიკური კატეგორიის ურთიერთობა; თანამედროვე ვითარება და ისტორიული წარმოქმნა-განვითარება.

10. სახელთა გრამატიკული კლასის კატეგორიის ქონა-არქონა და მისი მიმართება სქესთა თუ ცოცხალი-არაცოცხალის კატეგორიათა გარჩევასთან.

ყველა ამ საკითხში ბასკური ენის სისტემა ეხმაურება იბერიულ-კავკასიურ ენათა სისტემას.

ოღონდ სათანადო საერთო მოვლენათა ი გ ი ვ ე ო ბ ა არა გვაქვს ბასკურსა და იბერიულ-კავკასიურ ენებში.

კიდევ მეტი: თვით იბერიულ-კავკასიურ ენათა სხვადასხვა ჯგუფი (და ზოგჯერ თვით ერთი და იმავე ჯგუფის ენები) განსხვავდება ერთმანეთისაგან მეტ-ნაკლებად, ზოგჯერ კიდევ — არსებითად. ეს სხვაობა ქმნის საჭირო წ ი ნ ა პ ი რ ო ბ ა ს იმისათვის, რომ სათანადო მოვლენათა წარმომავლობა-განვითარების ისტორია ვიკვლიოთ. მსგავს მოვლენათა ეს ნ ა ი რ გ ვ ა რ ო ბ ა ამ მოვლენათა ი ს ტ ო რ ი ი ს ა ღ დ გ ე ნ ა ს ხელს უწყობს. საჭიროა ოღონდ ნაირგვარი ფაქტების ი ს ტ ო რ ი უ ლ ი გ ა ე რ თ მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ი ა ნ ე ბ ა. იბერიულ-კავკასიურ ენათა სხვადასხვა ჯგუფის სხვაობა გვეხმარება ერთობლივ იბერიულ-კავკასიურ ენათა ისტორიული წარსულის რეკონსტრუქციაში.

იბერიულ--კავკასიურ ენათა ისტორია შეიძლება წაგვადგეს ბასკური ენის მოვლენათა გაგებაში, და პირუკუ — ბასკურის ჩვენებაც შეეშველოს იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების პრობლემების გაშუქებას.

ერთი სიტყვით: ბასკური ენათმეცნიერების სპეციალისტთა და იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების სპეციალისტთა თ ა ნ ა მ შ რ ო მ ლ ო ბ ა ს გ უ ლ ი ს ხ მ ო ბ ს და მ ო ი თ ხ ო ვ ს ბას-

კურ-კავკასიური ენობრივი ურთიერთობის მეცნიერული კვლევა.

კავკასიოლოგებმა უნდა ისწავლონ ბასკური, რომ ბასკური ენის შინაგანი წყობა, მისი შინაფორმა და ფსიქოლოგია გაიგონ და შეიგრძნონ.

ბასკოლოგებმა კიდევ ჩაიხედონ იბერიულ-კავკასიურ ენათა ისტორიაში.

მხოლოდ ამ გზით შეიძლება მივაღწიოთ მტკიცე წარმატებებს ბასკურ-კავკასიური ჰიპოთეზის მეტად რთულ და მეცნიერულად დიდად მნიშვნელოვან პრობლემათა კვლევისას.

29.I.1979

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ინგლისური თარგმანის

წინასიტყვაობა

ანტონიო ტოვარი, სალამანკის უნივერსიტეტის პროფესორი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სპეციალისტი, ფილოლოგი, კლასიცისტი, რასაც მოწმობს მის მიერ მომზადებული ბრწყინვალე გამოცემები: სოფოკლეს „ანტიგონე“ და ვერგილიუსის „ეკლოგები“, ამავე დროს ჩვენი დროის ერთ-ერთი წამყვანი სპეციალისტია ბასკური ენისა და ჰუმბოლდტის, შუხარდტის, ულენბეკისა და ბოუდას მემკვიდრე და მიმდევარი.

მთარგმნელს დიდ ბედნიერებად მიაჩნია, რომ წილად ხვდა ბასკურით დაინტერესებულ ამერიკელ სტუდენტებს გააცნოს ტოვარის წიგნი La Lengua Vasca („ბასკური ენა“); იგი იმედოვნებს, რომ ბასკური ენის განვითარების, ისტორიისა და ამ ენის თავისებურებათა გაცნობა, რაც ასე ბევრს გვეუბნება ამ ხალხის შესახებ, შესაძლოა საინტერესოდ მიიჩნიონ სხვებმაც და ამან უბიძგოს მათ გამოიკვლიონ ეს მართლაც საოცარი, წინარეისტორიული ენა, რომელზედაც ჯერ კიდევ ლაპარაკობენ ბისკაის ყურის უშორეს პუნქტებსა და პირენეის მიუწვდომელ ქედზე.

მე ისღა დამრჩენია, რომ მადლობა გადავუხადო ბატონ ტოვარს უზომო გულისხმიერებისა და დიდი დახმარებისათვის.

ჰერბერტ პ. ჰაუტონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტორის წინასწარი შენიშვნა

ამ ნაშრომს არა აქვს პრეტენზია შეასრულოს გრამატიკის როლი, ან რაიმე არსებითი საკითხები შეისწავლოს; მისი მიზანია წარმოადგინოს მოკლედ და რაც შეიძლება გასაგებად ბასკური ენის ისტორია და მისი განვითარება. ჩვენ ვგულისხმობთ არა მარტო იმ მკითხველს, ვინც ბასკური ენა არ იცის და აინტერესებს გაეცნოს მას, არამედ იმასაც, ვინც წარმოშობით ბასკია, თავისი ენა მშვენივრად იცის, მაგრამ არა აქვს ამ საკითხში მეცნიერული ორიენტაცია.

მე თვითონ ბასკი არა ვარ, თითქმის ყველაფერი, რაც ამ ენის შესახებ ვიცი, წიგნებიდან მაქვს შესწავლილი, რამაც განაპირობა ისტორიულ-შედარებითი თვალსაზრისი ჩემს მიდგომაში ამ ენისადმი. ბასკურის განსაკუთრებული თავისებურების გარდა, ჩემი ყურადღება მიიპყრო ენის იმ ელემენტებმა, რომელთაც სხვა ენობრივი სამყაროებისაკენ მივყავართ. ამგვარმა შესწავლამ გამოააშკარავა ამ ენის ძლიერი ინდივიდუალურობა, ენისა, რომელიც ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ჩაითვალოს იმ უცნობი ენობრივი სამყაროს ერთადერთ გადმონაშთად, რომელიც სამი ათასი წლის წინათ შთაინთქა ინდოევროპელთა შემოსევების ტალღებში. როგორც ვხედავთ, ჩვენ შესაძლებლობა გვეძლევა ჩავიხედოთ უძველეს ენობრივ სამყაროში, რამდენადაც ბასკური წარმოადგენს ჩვენი ნახევარკუნძულისა და აგრეთვე მთელი დასავლეთ ევროპის ისტორიის უნიკალურ ძეგლს.

ავტორის შენიშვნა მეორე გამოცემისათვის

გაიყიდა ამ ნაშრომის პირველი გამოცემის ყველა ცალი და მე დიდი სიამოვნებით მოვამზადე მეორე, რომელშიაც გავასწორე ზოგი შეცდომა, შევავსე ხარვეზები და შევკრიბე ახალი ცნობები

ენობრივი კვლევის მიღწევებისდა შესაბამისად. როგორც ჩანს, წიგნმა შეასრულა თავისი დანიშნულება, ახალ გამოცემაში კი მინდა შევიტანო გარკვეული შესწორებები, რამდენადაც, როგორც აღმოჩნდა, ეს წიგნი განსაკუთრებულ სამსახურს უწევდა ენათმეცნიერთ, რომელთაც სურთ ბასკურის შესწავლას მოჰკიდონ ხელი.

რეცენზიებიდან და კრიტიკული სტატიებიდან, რომლებიც ამ წიგნს მიეძღვნა, განსაკუთრებით მომეწონა და დიდი სარგებლობა მომიტანა რ. ლაფონის წერილმა (Bulletin Hispanic, LII, 1950, გვ. 123-26), კ. ბოუდას სტატიამ (Eusko-Jakintza, V, 1951, გვ. 219) და გ. გრიგარაის შენიშვნებმა (პირად მიმოწერაში). გარდა ამისა, მე დიდად დავალებული ვარ ჩემი კოლეგისაგან — ფ. ლასარო კარეტერისაგან, რომელმაც საყურადღებო დაკვირვებები მომაწოდა ამ ნაშრომის პირველი გამოცემის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

I

ბასკური ენის ისტორიისათვის

1. ზოგადი ცნობები ბასკური ენის წარმომავლობისა და შემონახვის შესახებ

გასაოცარი ფაქტია, რომ ბასკური ენა დღემდე შემოგვენახა. ეს ერთადერთი შემთხვევაა, როცა ევროპის ტერიტორიაზე გადარჩა ადგილობრივ მკვიდრთა ენა — ენა, რომელმაც გაუძლო შემოსევებსა და უცხო გავლენებს ათასწლეულების განმავლობაში და, მიუხედავად იმისა, რომ დიდი რაოდენობის უცხო ელემენტები შეიჭრა როგორც მის ლექსიკაში, ასევე მორფოლოგიასა და სინტაქსშიც, ამ ენამ მაინც შეინარჩუნა საკუთარი სახე.

ჩვენ ამოსავლად მივიჩნევთ ანთროპოლოგების მიერ დადგენილ დებულებას, რომლის მიხედვითაც, როგორც არანსადი დაასკვნის, „ბასკები დასავლეთისათვის უცხო „სხეულს“ წარმოადგენენ“. ამასთანავე, ბასკურის დიალექტების შენარჩუნების ზონა წარმოადგენს ეგრეთწოდებულ „მოწყვეტილ არეალს“, ანუ შედარებით იზოლირებულ რაიონს, სადაც ხელისშემწყობი პირობებია იმისათვის, რომ შენარჩუნებულ იქნეს ისეთი ენობრივი მდგომარეობა, როგორიც ძველ ეპოქებში გვქონდა.

ბასკურის სხვა ენობრივ სამყაროებთან ურთიერთობის ზუსტ ანალიზს თუ ჩავატარებთ, დავინახავთ, რომ იგი ძველთაგანვე იზოლირებული ყოფილა. დავინახავთ, აგრეთვე, რომ იმ ტერიტორიას, რომელზედაც ბასკური მეტყველებაა გავრცელებული, დღესაც თითქმის იგივე საზღვრები აქვს დასავლეთით, ჩრდილოეთითა და სამხრეთით, როგორიც რომაულ პერიოდში ჰქონდა. აღმოსავლეთი საზღვარი, ალბათ, წინათ უფრო შორს გადიოდა და აღწევდა უესკას პროვინციის ცენტრალურ ნაწილამდე, სხვა მონაცემების მიხე-

დვით, კი — ლერიდამდე. ამ რაიონების ტოპონიმების ცვლევა მხარს უჭერს ამგვარ ვარაუდებს და უკუაგდებს თეორიას ბასკების უფრო დიდი ტერიტორიაზე გავრცელების შესახებ, თეორიას, რომელიც ჰუმბოლდტმა წამოაყენა. არც ლევის ვარაუდსა აქვს სერიოზული საფუძველი, თუმცა ეს ჰიპოთეზა ერთგვარად მიმზიდველია და ვარაუდობს, რომ ბასკები მიეკუთვნებიან ძალზე ძველ რასობრივ სუბსტრატს, რომელიც ერთ დროს გავრცელებული იყო ევროპაში მთელს ატლანტიკის სანაპიროზე. ბასკების ამგვარი ფართო გავრცელებულობისა და მათი თითქმის მთლიანი იზოლაციის ჰიპოთეზების ერთმანეთთან ერთგვარი შეთანხმების ცდას წარმოადგენს ულენბეკის მიერ წამოყენებული თეორია. ამ თეორიის მიხედვით, ბასკური უნდა განვიხილოთ როგორც გადარჩენილი ენა ფართოდ გავრცელებული ენობრივი ჯგუფისა, რომელშიც შედიოდა არა მარტო ბასკური, არამედ „სამხრეთ ევროპის სხვა ენებიც, რომლებიც ახლა აღარ არსებობს“.

2. ცნობები ბასკურის შესახებ; აკვიტანიის რომაული წარწერები; შუა საუკუნეების დოკუმენტები; CODEX CALIXTINUS; ემილიის გლოსები; რენესანსის ავტორები

ადრინდელი ბასკური ენის ყველაზე უფრო ძველ და სარწმუნო მაგალითებს წარმოადგენს ადამიანთა და ღვთაებათა სახელები, აღმოჩენილი აკვიტანიის წარწერებში, განსაკუთრებით იმ წარწერებში, რომლებზედაც ლუშერმა მიგვაქცევინა ყურადღება. ქალის სახელებად ნახმარია Andere და Nescato, კაცისა — Gison, რაც, როგორც ამას ადვილად შევამჩნევთ, შეესაბამება ბასკურ სიტყვებს: ქალი, გოგონა, კაცი. ერთ-ერთი ღვთაების სახელად ნახმარია Aherbelste, რაც ემთხვევა ბასკურში aker beltz-ს „შავი ვაცი“. მიძღვნის წარწერაში Marti Arixoni დასტურდება ბასკური სიტყვა aritz „მუხა“. განსაკუთრებით ბევრია ადამიანთა სახელების მაგალითები შუა საუკუნეების დოკუმენტებსა და ქრონიკებში. მეორე მხრივ, გამოვლინდა არა მარტო საკუთარი სახელები, არამედ საგნების დასახელებებიც, რაც დამატებით ცნობებს გვაწვდის ბასკური ენის ხმარების შესახებ. ასე მაგალითად, გამოირკვა, რომ Golvarra „მელოტი“ 945—50 წლებში უხმარიათ როგორც მეტსახელი; 963 წლის ერთ-ერთ დოკუმენტში ვკითხულობთ: Gomiz el Gavilan, რაც ნიშნავს „გომისი მიმინო“. გამოირკვა აგრეთვე, რომ aita „მამა“ დასტურდება 980 წელს; izurra

„ნაოსნობა“ 980 წელს არის დადასტურებული; ozzua (ანუ otsoa) „მგელი“ — 981 წელს; ataburu „შესაკრავი (კარის თავი)“ 1007 წელს; eskerra „ცაცია“ — 1024 წელს; moza „ცალრქიანი ან გაპარსული“ — 1026 წელს; seitegi „ფასკუნჯთა ადგილი“ — 1030 წელს; Eneko Beltza „ინიგო შავი“ და Laburra „მოკლე“ — 1072 წელს; Sancho Begiederra „სანჩო ლამაზთვალება“ — 1088 წელს; zarra „ბებერი“, zuria „თეთრი“ და mendicho „ბორცვი“ — 1085 წელს. სხვა მაგალითებიც შეიძლებოდა დაგვესახელებინა.

ემილიის ხელნაწერში, რომელიც მეათე საუკუნის დამდეგს შეიქმნა და შესაძლოა ამ სახის უძველეს კასტილიურ რელიკვიას წარმოადგენდეს, აღმოჩენილია ორი გლოსა ბასკურ ენაზე. ბოლოდროინდელი განმარტების შესაბამისად, izioqui dugu შეიძლება შეესატყვისებოდეს ტექსტში meruimur-ს, თუკი izioqui-ს ახსნა მოხერხდა (izio, izeki ნიშნავს: „ანთება“, itzeuki ლისარაგას სიტყვახმარებაში ნიშნავს: „დაფასება, შეფასება“). რაც შეეხება მეორე გლოსას, ფიქრობენ, რომ quec ajutuez dugu შეესატყვისება ესპანურ nos non caigamus-ს „ნუ დავეცემით“ და გულისხმობს ბასკურ-რომანულ აღდგენილ ფორმას: *Caiutu, caer, caido. მაგრამ ირაისოსი ფიქრობს, რომ აღნიშნული მონაკვეთი შეესაბამება ძირითადი ტექსტის სხვა მეზობელ ადგილს და თარგმნის მას, როგორც: non nobis sufficit. ამას რომ ვარაუდობს, ირაისოსი ემყარება იმ ფაქტს, რომ ბისკაიური aiutu ნიშნავს: aiustado „შესაბამისი, ზუსტი“ და აგრეთვე: conocuiente „შესაფერისი“. ამ შემთხვევაში კი ბასკური გლოსა შესაბამისი აღმოჩნდება რომაული თარგმანის non conveniet a nobis-ისა.

1140 წელს ემერიკ პიკომ იმოგზაურა ბასკების ქვეყანაში. პიკო ითვლება Codex Calixtinus-ის ავტორად. ეს წიგნი კი მოგვითხრობს სანტიაგოს (Santiago — წმინდა იაკობი) წმინდა ადგილებში სალოცავად წასვლის ამბავს. ავტორი ბასკების მოკლე, მაგრამ მეტად ცოცხალი აღწერის გარდა, სიტყვათა უაღრესად საინტერესო სიას გვთავაზობს: aragi „ხორცი“; Andrea Maria „ქალწული მარიამი“; araign „თევზი“, echea „სახლი“; iaona „ბატონი“; gari „ხორბალი“; ereguia „მეფე“; iaona done Jacue „ბატონი სანტიაგო“; urcia „ღმერთი“; orgi (ogi) „პური“; ardum (ardo) „ღვინო“; elizera „ეკლესიისაკენ“; belaterra „მღვდელი“; uric „წყალი“; andrea „ქალბატონი“.

შუა საუკუნეების ეპიგრაფიკულ ძეგლებში საკმაო რაოდენობითაა

დადასტურებული ბასკური სახელები, რომელთა ახსნა არც თუ ისე ადვილია. საგანგებოდ უნდა გამოიყოს ღმერთის სახელი Jauninco, აღმოჩენილი აკადიანოს (Akadiano) ქვაზე (დაახლოებით მეთერთმეტე საუკუნე); იგი შედგება Jaun-ისაგან „ბატონი“ და Inco „ღმერთი“, აქედან — „ბატონი ღმერთი“. სახელი Inko, რომელიც ბასკური წარმომავლობისა უნდა იყოს, შემოგვენახა თანამედროვე ბასკურ დიალექტებში: Inkoa, Inka, Jinko. მეორე მხრივ, Jaungoikoa „Dominus in excelsis“ აშკარად ადგილობრივი სახელის ქრისტიანულ შესატყვისს წარმოადგენს.

მიზანშეწონილი იქნება, თუ ჩვენი განხილვიდან ამოვიღებთ ისეთ ძველ ბასკურ ტექსტებს, როგორიცაა Canto de Lelo, რომელიც „სორნოსელმა მწერალმა“ ხუან ინიგეს დე იბარგენმა შექმნა მეთექვსმეტე საუკუნეში; ასევე, Altabiscar Cantua-ს, რომელსაც იმ ადრეულ ხანებში რონსევალის ბრძოლასთან დაკავშირებული მოვლენების ამსახველ ძეგლად მიიჩნევდნენ, მაშინ როდესაც სინამდვილეში იგი წმინდა „ოსიანური“ წარმოშობისაა.

მეთხუთმეტე საუკუნის ძეგლებში აღმოჩენილი რამდენიმე ფრაზის გარდა, ბასკური მასალა გვხვდება ლუსიო მარინეო სიკულოს ნაწარმოებებში (1533), Celestina-ს გასპარ გომესისეულ გაგრძელებაში (1536), რაბლესთან (1543) და ბონავენტურა ვულკანიუსთან (1597).

8. მეთექვსმეტე და მეჩვიდმეტე საუკუნეების ბასკური ლიტერატურა

სან მიგელის რექტორის ბერნადო დეჩეპარეს ლექსების გამოქვეყნებამ (Linguae Vasconum Primitiae, ბორდო, 1545) საფუძველი ჩაუყარა ბასკური ლიტერატურის განვითარებას. დეჩეპარე მოგვევლინა არა როგორც უბრალოდ უცხო ენიდან მთარგმნელი, არამედ როგორც მწერალი, რომელსაც ბასკურის მეტად ღრმა ცოდნა და შესანიშნავი ენობრივი ალღო აქვს. მეთექვსმეტე საუკუნის მეორე ძეგლი, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს ბასკური ენის გაგებისათვის, არის ხუან დე ლისარაგას ახალი აღთქმის თარგმანი, მიძღვნილი ხუანა დე ალბრიტისადმი. იგი დაიბეჭდა 1571 წელს ლა როშელში. ამ გამოცემას თან ახლდა საეკლესიო კალენდარი და ქრისტიანული მოძღვრება, რაც პროტესტანტული ბიბლიის აუცილებელ დამატებას წარმოადგენდა. ლისარაგამ, „ყველაზე უფრო მწიგნობარმა ბასკოლოგმა“, როგორც მას ლარამენდი ახასიათებს, თარგმანი შეასრულა

ძირითადად ლაბურდულ დიალექტზე, თუმცა აქა-იქ დასავლეთ ქვემო ნავარულის ვარიანტებიც გვხვდება: ეს უკანასკნელი დიალექტი, როგორც ჩანს, მისთვის მშობლიურ მეტყველებას წარმოადგენდა. ამ თარგმანის მორფოლოგიური სიმდიდრე უპირისპირდება ლექსიკის ხელოვნურ „სიწმინდეს“ და, სამწუხაროდ, სავსეა ბანალურობებით. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ლარამენდი თავისი „ლექსიკონის“ შესავალში შენიშნავს, რომ უფრო განვითარებული სალიტერატურო ბასკური ენა პირენეების ჩრდილო მხარეს განლაგებულ რაიონებში გვხვდებაო.

ამჟამად ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს ბასკური ლიტერატურის ისტორიის დაწვრილებითი განხილვა, ჩვენ მხოლოდ გაკვრით ჩამოვთვლით ძირითად სალიტერატურო ძეგლებს, რაც, ალბათ, უკეთესად დაგვანახვებს ბასკური ენის განვითარების პროცესს.

მეთექვსმეტე საუკუნის კიდევ ერთი ტექსტია ცნობილი: Refranes y sentencias comunes en Bascuence, declaradas en Romance „ბასკურისათვის საერთო ანდაზები და გამონათქვამები, მაგალითებითურთ რომანულიდან“ (პამპლონა, 1596). ამ ნაწარმოების ერთადერთი ცალი იყო შემორჩენილი და იგი გამოსცა ხელმეორედ ურკიხომ. მნიშვნელოვან ტექსტს წარმოადგენს აგრეთვე ცნობილი მემატიანის ესტებან დე გარიბაის Refranes („ანდაზები“), რომლებიც ასევე ურკიხომ გამოსცა. მეჩვიდმეტე საუკუნე იწყება ლაბურდელი მეცნიერის იოანეს დ'ეჩებერის ორი ნაშრომით: Noelac eta berce canta espiritual berriac (1630) „ახალი საშობაო საგალობლები და სხვა სასულიერო სიმღერები“ და Elicara era-bilteco liburua (1636) „ეკლესიაში სახმარი წიგნი“.

1643 წელს ბორდოში გამოვიდა სარას რექტორის პედრო დე აშულარის ნაშრომი: Guero (ანუ, მეორე გამოცემის შემდეგ: Guero-co guero). ამ წიგნის თანამედროვე გამოცემებში დამახინჯდა მისი სტილის თავდაპირველი სიწმინდე და სინატიფე, სტილისა, რომელიც სალიტერატურო ბასკურის საუკეთესო მაგალითად ითვლება და რომელსაც ლარამენდი ახასიათებდა, როგორც „ნატიფს, ზუსტს, წმინდას და ძალზე მდიდარს“. მისი ავტორი, აშულარი, სამართლიანად არის მიჩნეული უდიდეს ბასკ პროზაიკოსად.

1657 წელს პარიზში გამოქვეყნდა ოიჰენარტის ანდაზათა კრებული, რომელსაც მისი ლექსებიც ერთვოდა თან. ეს ანდაზები, რიცხვით ხუთასზე მეტი, ბასკურის სხვადასხვა დიალექტებიდან

იყო ამოკრებილი. ისინი, როგორც ჩანს, ავტორს პირადად არ შეუკრებია, არამედ კომპილაციის შედეგად კრებულის სახით გამოუცია. სამწუხაროდ, კრებული სავსეა შეცდომებით; ამასთანავე, ეს ანდაზები სრულ შესაბამისობაშია რომანულ აზროვნებასთან, უფრო მეტადაც კი, ვიდრე თვით დეჩეპარეს ნაწერები.

1664 წელს პარიზში სილვენ პუვრომ გამოაქვეყნა Filotea-ს თარგმანი და „სენტ ფრანსის დე სალის კრიალოსანი", ლოცვათა შესრულების საჭიროებისათვის. სხვა ბასკურ თარგმანებს შორის შეიძლება დავასახელოთ: Navigaciones (ბაიონა, 1677) ჰოიარ საბალელი მარტენისა; თომას ა კემპისის „ქრისტეს მიბაძვა", თარგმნილი მღვდლის დ'არამბილაგას მიერ (ბაიონა, 1684); და ამავე წიგნის უფრო გვიანდელი თარგმანი, შესრულებული მიქაელ ჩოურიოს მიერ (გამოქვეყნდა ბორდოში 1720 წელს).

ბევრია როგორც კატექიზმოები, შესრულებული ბასკურის განსხვავებულ დიალექტებზე, ასევე სხვა საღმრთო წიგნებიც. მაგალითისათვის შეიძლება აღინიშნოს „ბაიონას კატექიზმო" (პირველი გამოცემა, 1733), Guiristinoen Doctrina laburra „მოკლე ქრისტიანული მოძღვრება", რომლის პირველი გამოცემა იმავე 1733 წელს გამოქვეყნდა და რომელიც შემდგომში ბევრჯერ გამოიცა შემოკლებული ფორმით.

4. მეთვრამეტე საუკუნის ბასკური ლიტერატურა

ბასკურის გაგებასა და ამოცნობაში ახალი ეპოქა შექმნა იეზუიტმა მამამ მანუელ დე ლარამენდიმ (1690—1766). იგი დაიბადა ანდვაინში და გარდაიცვალა ლოიოლაში. პირველად მან 1728 წელს გამოაქვეყნა სალამანკაში ტრაქტატი სათაურით: De la antigüedad y universatidad del Bascuenze en España... Demonstracion previa al Arte que se dara a luz desta lengua „ესპანეთში ბასკურის სიძველისა და საყოველთაობის შესახებ... პირველი განხილვა, რომელიც ნათელს მოჰფენს ამ ენას". ამ ნაშრომს მოჰყვა მისი მეორე წიგნი: El imposible vencido: Arte de la lengua bascongada „შეუძლებლის მიღწევა; ბასკური ენის გრამატიკა" (სალამანკა, 1729). ეს ბასკური ენის პირველი გრამატიკაა და ამიტომ დღეს მას განიხილავენ, როგორც ერთ-ერთ მეტად მნიშვნელოვან ნაშრომს. მასში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დიალექტების გამოკვლევის აუცილებლობას. აშ-

კარად ჩანს, რომ ლარამენდის ძალზე რთული ოპერაციების ჩატარებამ მოუხდა, რათა ბასკურის გრამატიკა დაეყვანა ლათინურისა და ბერძნულის საგრამატიკო სქემაზე, რასაც ბასკურის ფაქტები აშკარად ეწინააღმდეგება.

ლარამენდის ნაშრომთა სიას ასრულებს მისი სამენოვანი ესპანურ-ბასკურ-ლათინური ლექსიკონი (Diccionario trilingüe del Castellano, Bascuenze y Latin, სან სებასტიანი, 1745). ეს მისი ფუნდამენტური ნაშრომია. უნდა ითქვას, რომ მასში ეტიმოლოგიურ ძიებებს ეთმობა დიდი ადგილი; ამასთანავე ავტორი ცდილობს ლათინური და რომანული სიტყვები ბასკურიდან გამოიყვანოს. აქვე უნდა აღინიშნოს, თუ რა დიდ ინტერესს იჩენდნენ ბასკების წარმომავლობისა და მათი ესპანეთის უძველეს მოსახლეობასთან ურთიერთობის საკითხისადმი ისეთი ავტორები, როგორებიც იყვნენ: მეთექვსმეტე საუკუნეში — ანდრეს დე პოკა და ესტებან დე გარიბაი, მეჩვიდმეტე საუკუნეში — ბალთასარ დე ეჩავე, არნოლდ ოიჰენარტი და ჟოზეფ დე მორე; მეთვრამეტე საუკუნის ბასკოლოგთათვის კი ეს საკითხები კვლევის ძირითად ობიექტად იქცა. დონ ხუან დე პეროჩეგიმ ბარსელონაში (1731) გამოსცა ბროშურა სათაურით: Origin y antigüedad de la lengua bascongada y de la nobleza de Cantabria... en que se hace ver que dicha langua fue la primera que se hablo en el mundo y la misma que traxo Tuval a España, en el año 1800 de la Creación „წარმომავლობა და სიძველე ბასკური ენისა და კანტაბრიის თავად-აზნაურობისა..., რომელშიაც ნაჩვენებია, რომ ბასკური ენა პირველი ენა იყო მსოფლიოში და იგია ის ენა, რომელიც თუბალმა შეიტანა ესპანეთში 1800 წელს სამყაროს შექმნიდან". სათაურის ამ „ნაწილის" მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ, რამდენად დიდი იყო სურვილი გადაეწყვიტათ ბასკურის წარმომავლობისა და წარსულის პრობლემა; უნდა ვაღიაროთ, ამასთანავე, რომ ეს სურვილი სავსებით სამართლიანი იყო. ლარამენდიც თავის „ლექსიკონში" და Corographia de Guipúzcoa-ში ამგვარსავე საკითხებს განიხილავს. კერძოდ, იგი წერს, რომ „ესპანეთის პირველ მცხოვრებს, იყო ის თუბალი თუ თარსისი, გიპუსკოელების დღევანდელი მეტყველება რომ მოესმინა, იგი მას ლექსიკონისა და თარჯიმნის გარეშეც გაიგებდა, თუ, რასაკვირველია, მას თავისი ენა დავიწყებული არ ექნებოდა". მაიანს ი სისკარიც თავის „ესპანური ენის წარმომავლობაში" (Origines de la lengua española) იზიარებს ამგვარ თვალსაზრისს, რომლის საფუძველსაც კანტაბრიელებისა და ბასკების აღრევა წარმოადგენს;

მაგრამ იგი ამასთანავე მიუთითებს ბასკური ენის ნარევ ბუნებასა და ბასკურზე ლათინურისა და რომანული ენების გავლენაზე, თუმცა ამავე დროს არ უარყოფს ბასკურის „განსაკუთრებულ სიძველეს". ამასთანავე, იგი აღნიშნავს, რომ ბასკურმა დიდი გავლენა მოახდინა ესპანურ ენაზე.

1741 წელს ბაიონაში გამოქვეყნდა ბასკური გრამატიკა სათაურით: Gramatica escuaraz eta francesez „ბასკურისა და ფრანგულის გრამატიკა", რომელიც მიეწერება სამეფო ნოტარიუსს, ჰარიეტს. მეთვრამეტე საუკუნის შუა ხანებში ასპარეზზე გამოჩნდა დიდი ლაბურდელი სტილისტი ხუან დე ჰარანედერი, სან ხუან დე ლუსის სამრევლოს მღვდელი. მან თავიდან თარგმნა სენტ-ფრანსის დე სალის Filotea: აგრეთვე Lucha espiritual „სულიერი ბრძოლა", რომელიც ადრე იყო ნათარგმნი პუვროს მიერ: და „ახალი აღთქმა". ეს უკანასკნელი ნაშრომი, შესწორებულ-დამუშავებული ჰარიეტის მიერ, გამოუქვეყნებელი იყო 1855 წლამდე. ჰარანედერის „ახალი აღთქმა" შესრულებული ლაბურდულ დიალექტზე, დღეს ითვლება „თანამედროვე ბასკური სალიტერატურო ენის ერთ-ერთ მეტად მნიშვნელოვან ძეგლად", როგორც ამას ირიგარაი აღნიშნავს. ბასკური ტექსტების უმრავლესობა, რომელიც ამის შემდგომ გამოიცა, ძირითადად რელიგიური შინაარსის წიგნებს წარმოადგენდა. ასე, მაგალითად, სენტ იგნაციუსის Ejercicios, გამოცემული აუგუსტინ კარდავარასის მიერ: სასულიერო სიმღერები და „ძველი და ახალი აღთქმის ისტორია" (Testamen cabarrico eta berrico historioa), ბაიონა, 1777.

აქვე უნდა განვიხილოთ ფლორესის Cantabria (1748), რომელშიც ავტორი ედავება ბასკურის წარმომავლობის საკითხზე არსებულ ზემოგანხილულ შეხედულებას. ფლორესის დებულების მიხედვით, ბასკები არ წარმოადგენდნენ ძველ კანტაბრიელებს: იგი ვარაუდობს, რომ ძველ ესპანეთში რამდენიმე განსხვავებული ენა უნდა ყოფილიყო გავრცელებული. საწინააღმდეგო თვალსაზრისი გამოთქვეს ოსაეტამ და გალაისტეგუმ წიგნში: Cantabria vindicada y demonstrada „კანტაბრიის დაცვა და დასაბუთება" (მადრიდი, 1779). დისკუსიის მესამე მონაწილე, რისკო, იცავს ფლორესს. რისკომ გამოაქვეყნა ნაშრომი: El P. Henrique Florez vindicado del vindicador de la Cantabria „კანტაბრიის თეორიის დამცველის, ენრიკე ფლორესის დაცვა". დისკუსია აშკარა ცილობაში გადაიზარდა. თუ მხედველობაში არ მივიღებთ სხვა ნაკლებმნიშვნელოვან დოკუმენტებს, აღნიშვ-

ნის ღირსია მხოლოდ დონ პედრო პაბლო დე ასტარლოას ნაშრომი, რომელიც 1803 წელს გამოქვეყნდა მადრიდში. მისი სრული სათაური: Apológia de la lengua Bascongada o ensayo crítico, filosófico, de sa perfección y antigüedad, y sobre todas las que se conocen: en respuesta a los reparos propuestos en el diccionario geográfico, histórico de España „ბასკური ენის დაცვა, ანუ კრიტიკული და ფილოსოფიური გამოკვლევა მისი სრულყოფილობისა და სიძველისა, და ყველაფერი იმის მიხედვით, რაც ცნობილია, აღდგენათა (და შესწორებათა) შეტანა ესპანეთის გეოგრაფიულ და ისტორიულ ლექსიკონში". არაბისტი კონდეც ჩაება კამათში. იგი წერდა ფსევდონიმით L. A. C., მონტუენგას კურატი. თავის ნარკვევში Censura crítica „კრიტიკული განხილვა" (მადრიდი, 1804), იგი სკეპტიკურად უდგება ასტარლოას თეორიებს. ამ უკანასკნელმა მას უპასუხა ანონიმური სტატიებით: Reflexiones filosóficas იმავე წელს.

მეორე მხრივ, ხუან ბატისტა ეროი ასპიროსიც შეეხო ესპანეთის წარსულის საკითხს ბასკურთან მიმართებით თავის წიგნში: Alfabeto de la lengua primitiva de España y explicación de sus más antiguos monumentos, de inscripciones y medallas „ესპანეთის უძველესი ენის ანბანი და მისი უძველესი ძეგლები, წარწერები და მონეტები" (მადრიდი, 1806). ეს წიგნი გაცილებით გვიან ითარგმნა ინგლისურად და ფრანგულად, და, თავის მხრივ, განხილულ იქნა კონდეს ახალ ნაშრომში: Censura crítica del alfabeto primitivo de España „ესპანეთის უძველესი ანბანის კრიტიკული განხილვა", რომელიც იმავე წელს გამოქვეყნდა. ამას მოჰყვა ეროს ახალი პასუხი: Observaciones filosóficas „ფილოსოფიური დაკვირვებანი" (გამოქვეყნდა პამპლონაში 1807 წელს). ერომ, რომელიც თავისი თეორიების ერთგული რჩებოდა, კიდევ ერთი ნაშრომი (საკმაოდ ბუნდოვანი შინაარსისა) მიუძღვნა ამ საკითხს, კერძოდ: El mundo primitivo, o examen filosófico de la antigüedad y cultura de la nación vascongada „უძველესი სამყარო ანუ ბასკი ხალხის წარსულისა და კულტურის ფილოსოფიური გამოკვლევა" (მადრიდი, 1815).

ნ. და ფ. ჰუმბოლდტი და მისი ბასკი მეგობრები. მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში გამოქვეყნებული ნაშრომები ბასკურის შესახებ

დისკუსიას ძველი ბასკების შესახებ მთელი ევროპა გაეცნო ვ. ფონ ჰუმბოლდტის შრომებიდან, როგორიცაა მისი გამოკვლევა Berichtigungen und Zusaetze zum... Mithridates über die Cantabri-

sche oder Baskische „შესწორებანი და დამატებანი... კანტაბრიული ანუ ბასკური ენის შესახებ“ (ბერლინი, 1817) და, აგრეთვე, მისი ცნობილი ნაშრომი Prüfung der Untersuchungen über die Urbewohner Hispaniens vermittelst der Vaskischen Sprache „ესპანეთის თავდაპირველი მოსახლეობის შესახებ არსებულ გამოკვლევათა შემოწმება ბასკური ენის საშუალებით“ (ბერლინი, 1821). ჰუმბოლდტი არსებითად იზიარებდა ასტარლოას და, შესაბამისად, გარიბაის, მერესა და სხვათა თეორიის ძირითად დებულებებს. მიუხედავად ამისა, „ბასკო-იბერიონიზმის“ თეორია არსებითად მაინც დარჩა გაბატონებულ თეორიად ესპანეთში წარმოებულ ეთნოლოგიურ და ენობრივ გამოკვლევებში. ამ საკითხის განხილვას ჩვენ შემდეგ დავუბრუნდებით.

როგორც ვხედავთ, აშკარაა, რომ ბასკური ენისადმი განსაკუთრებული ინტერესი წარმოადგენდა ბასკური პრობლემის კვლევით ვატაცების ძირითად მიზეზს. ბუნებრივი იქნებოდა გვეფიქრა, რომ რომანტიზმი, რომელმაც ევროპის ბევრი ენის შესაძლებლობანი გამოავლინა, ბასკური ენის შემთხვევაშიაც ნაყოფიერი იქნებოდა და ბასკური ლიტერატურის შექმნით დაგვირგვინდებოდა. მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერჯერობით არ გამოვლენილა იმ დროის რაიმე მნიშვნელოვანი ორიგინალური ნაწარმოები, დაწერილი ამ უძველეს ენაზე.

მღვდელმა დონ ხუან ანტონიო მოგელ ი ურკისამ (1754 — 1804) ასტარლოასთან ერთდროულად წამოიწყო ამ უკანასკნელის შრომაზე უფრო არსებითი გამოკვლევა. მან დაიწყო ნაშრომით: „ბასკურის განსხვავებული ვარიანტები და გამოთქმები, ამოკრებილი დიდი ლათინელი ავტორების ნაშრომებიდან, ანუ პრაქტიკული დამტკიცება ბასკური მეტყველების სიწმინდისა, სიმდიდრისა და გამომხატველობისა, სხვადასხვა უცხოელი მწერლის გამონათქვამების საწინააღმდეგოდ და, აგრეთვე, ზოგი იმ ბასკის საწინააღმდეგოდაც, რომელსაც თავისი დედაენის ზერელე ცოდნა აქვს“ (ესპანური სათაურიც ამგვარადვე მრავალსიტყვიერია). ეს წიგნი გამოქვეყნდა ტოლოსაში 1802 წელს. ამის გარდა, ამ ავტორმა დაწერა რელიგიური ხასიათის წიგნები და გრამატიკული გამოკვლევები, რომლებითაც ჰუმბოლდტმა ისარგებლა; მან მონაწილეობა მიიღო აგრეთვე დისკუსიაში ბასკურის მონაცემთა მნიშვნელობის შესახებ ესპანეთის წარსულის შესწავლისათვის.

აუგუსტინ ჩაჰო (დაიბადა ტარდეტსში 1810 წელს; გარდაიცვალა ბაიონაში 1858 წელს) ბასკურ ლიტერატურაში ახალი მიმდინარეობის წარმომადგენლად შეიძლება ჩაითვალოს. მისი პირველი ბროშურა Azti begia „ჯადოქრის თვალი“ დაიწერა 1834 წელს. გარდა ამისა, მან გამოაქვეყნა ფრანგულ ენაზე „მოგზაურობა ნავარაში ბასკების აჯანყების დროს“ (პარიზი, 1836) და ასევე ფრანგულად იმავე წელს „ბასკური ენის გრამატიკული გამოკვლევები“, რომელიც მან ა. თ. დ'აბადიესთან ერთად დაწერა; გამოაქვეყნა აგრეთვე ტაბულა, რომელშიც იგი ბასკურისა და სანსკრიტის ურთიერთობათა ჩვენებას ცდილობს; იგი ლექსიკონის შედგენასაც აპირებდა, მაგრამ ეს სამუშაო ვერ დაასრულა. ინგლისელი მკვლევრისა და ბოშური ენის სპეციალისტის ჯორჯ ბოროუს მეცადინეობის შედეგად გამოქვეყნდა წმ. ლუკას სახარების თარგმანი გიპუსკოურ დიალექტზე; სამწუხაროდ, ეს თარგმანი არასრულია.

პირველი მკვლევარი, რომელმაც ბასკური დიალექტოლოგიის შესწავლისათვის უფრო ნაყოფიერი მეთოდები გამოიყენა, იყო ლუი ლუსიენ ბონაპარტი. მან ზედმიწევნილებით გამოაქვეყნა წმ. მათეს სახარებისა და სხვა ავტორთა ბიბლიური ტექსტების თარგმანები სულეტურ, ბისკაიურ და ნავარულ დიალექტებზე; გამოაქვეყნა აგრეთვე „სამი ბავშვის სიმღერა ბაბილონში“, შვიდ სხვადასხვა კილოზე შესრულებული. დაბოლოს, თავისი შრომა დააგვირგვინა ბასკეთის ლინგვისტური ატლასის შექმნით (ლონდონი, 1863); მასში აღნიშნულია ბასკური ენის გავრცელების არე და დიალექტური ვარიანტები. მაგრამ ბონაპარტის ყველაზე მნიშვნელოვან ნაშრომს წარმოადგენს Le verbe basque en tableax „ბასკური ზმნა ტაბულებში“, რომელიც 1869 წელს გამოქვეყნდა ლონდონში. ამ წიგნმა ბონაპარტის დახვეწილი მეცნიერული ცოდნა გამოამჟღავნა; იგი დღესაც ერთ-ერთი სანიმუშო ნაშრომია ბასკური ზმნის გამოკვლევათა შორის.

ახლა ჩვენ არ განვიხილავთ იმ ნაშრომებს, რომლებიც ბასკურის მეცნიერულ ბიბლიოგრაფიას ეხება და მხოლოდ ბასკურის შესწავლის ძირითად წყაროებზე მითითებით შემოვიფარგლებით. აქვე შეიძლება დავასახელოთ აგრეთვე ბასკურ ენაზე გამოქვეყნებული თარგმნილი რომანი, როგორიცაა ჟ. ბ. დასკონაკერის „როლანდის ნაბიჯების გამოძახილი“, რომლის ბასკური თარგმანის ბეჭდვაც დიდხანს გაგრძელდა. საბოლოოდ იგი დასრულებულ იქნა ვენსონის თანამშრომლობით და გამოქვეყნდა ბაიონაში 1870 წელს.

უნდა აღვნიშნოთ აგრეთვე ბასკური ხალხური პოეზია, რომელიც ცოცხლობს სიმღერებსა და სახალხო თავყრილობებში. ამ სახის პოეზია ჭეშმარიტ ლიტერატურად ვერ ჩაითვლება, რამდენადაც ეს ლექსები არასდროს გამოქვეყნებულა, ისინი ჩაწერილიც კი არასდროს ყოფილა. ასე მაგალითად, ცნობილი ბარდი იპარაგირე თავის ლექსებს წარმოთქვამდა ხოლმე დღესასწაულების დროს და წვეულებებზე, რეჩიტატივით ან სიმღერით, ისე, როგორც, ალბათ, უძველეს ხალხებს ჩვევიათ. უთუოდ რაღაც უშლიდა ხელს ბასკურს, რომ ადრევე წერილობით ლიტერატურაზე გადასულიყო. საფიქრებელია, რომ მის მიერ შენარჩუნებული უძველესი თავისებურებები უშლიდა ხელს ამგვარი ლიტერატურის განვითარებას.

ბასკურმა ზეპირსიტყვიერმა ლიტერატურამ შეინარჩუნა თავდაპირველი თავისებურებანი, ისეთი, როგორიცაა მისი კავშირი მუსიკასთან, თხზვის თავისუფლება (რამდენადაც მისი ჩაწერა არ ხდება) და ტრადიციული ხასიათი. სწორედ ეს თავისებურებანი წარმოადგენდნენ, თავის მხრივ, ამ ლიტერატურის მასაზრდოებელ წყაროს.

ახალი ცდები, შეიქმნას ბასკური ლიტერატურა რამდენიმე დიალექტის ერთ საერთო ენად გაერთიანების საფუძველზე, ამჯერად ჩვენი განხილვის საგანს არ წარმოადგენს (საერთო ბასკური ენის შექმნის პროექტების შემუშავებისას, სამწუხაროდ, პოლიტიკური მოსაზრებებია წინ წამოწეული). ბასკი ხალხის თანამედროვე ლიტერატურის ისტორია ჯერ არ შექმნილა; არც ბიბლიოგრაფიებია გამოქვეყნებული ამ საკითხზე. ერთადერთი ჭეშმარიტად მნიშვნელოვანი ძეგლი ბასკური ლიტერატურისა—ყველაზე მნიშვნელოვანი, რამდენადაც მასში ბასკური ხალხური პოეზიის სული იგრძნობა, არის ვრცელი პოემა სათაურით Euskaldunak „ბასკები". იგი ეკუთვნის ნიკოლას ორმაეჩეას, რომლის ფსევდონიმია «Orixe». ეს პოემა გამოქვეყნდა სარაუსში 1950 წელს.

7. ბასკური ენის შემონახვა

იმის დადგენა, თუ რის წყალობით შემოგვენახა ბასკური ენა, მეტად რთულ პრობლემას წარმოადგენს. თუ გადავხედავთ ბასკური ენის ისტორიას, მეთექვსმეტე საუკუნის ტექსტებთან შედარება

გვიჩვენებს, რომ ენის ევოლუცია ძალზე ნელი ტემპით მიმდინარეობდა. მორფოლოგია აშკარად გაღარიბდა; გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ზმნა, რომელიც, პირიქით, ძალზე გართულდა. უნდა აღინიშნოს, რომ ბასკები, რამდენადაც ისინი ორენოვანნი არიან, ცდილობენ ბასკურის გამომხატველი ხერხები გაამარტივონ რომანულ ენებში გაბატონებული აბსტრაქტული და სადა აზროვნების შესაბამისად. რაც შეეხება ლექსიკას, იგი, როგორც ჩანს, ახლაც იგივეა, რაც მეთექვსმეტე საუკუნეში; დიალექტური ზონებიც, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, იმგვარადვე ნაწილდება, როგორც ადრე. ბასკეთის ტერიტორიის რაიმე საგრძნობი შემცირება აღარ მომხდარა ისტორიულ ეპოქებში. არსებითად ბასკ ხალხს რომანიზაცია არ განუცდია, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე იზოლირებულ ადგილს ალავასა და ნავარაში. მხოლოდ ცხოვრების თანამედროვე პირობებში (კავშირის თანამედროვე საშუალებანი, მოგზაურობა, ინდუსტრიალიზაცია, სკოლა, რადიო, სამხედრო სამსახური), ახალ ეპოქაში დაჩქარდა ბასკების ასიმილაციის პროცესი. ბასკის ორენოვნება დღეს უკვე საყოველთაო მოვლენა გახდა; ამ ფაქტს კი სავალალო შედეგები მოაქვს ბასკური ენის შინაგანი სტრუქტურისათვის.

მიუხედავად ყოველივე ამისა, მაინც მოხერხდა ბასკური ენის დღემდე შემონახვა. როგორც კარო ბაროხა აღნიშნავს, ეს შესაძლებელი გახდა შემდეგი გარემოებების გამო: ბასკების რომანიზაცია არა მარტო არასრული იყო, არამედ „წყვეტილიც"; ბასკებმა გვიან მიიღეს ქრისტიანობა; მათ მოახერხეს თავისუფლების შენარჩუნება (ვესტგუთების სახელმწიფოსგანაც დამოუკიდებელნი იყვნენ) და მოგვევლინენ როგორც რომანიზაციისაგან გადარჩენილი ერთადერთი ერი.

ბასკურ მეტყველებაში ლათინური ელემენტების ანალიზი აშკარად გვიჩვენებს, რომ ამ ელემენტთა უძველესი ფენები მეხუთე საუკუნეზე ადრეულ პერიოდს განეკუთვნება. სიტყვებს, როგორიცაა pake ან bake „მშვიდობა", pike „თევზი", erregue „მეფე", errota „წისქვილი" — მივყავართ იმ ეპოქაში, რომელიც წინ უძღოდა ინტერვოკალური ველარული თანხმოვნების პალატალიზაციას და ინტერვოკალური ყრუ ბგერების სონანტიზაციას; ეს ის მოვლენებია, რომლებსაც გრამატიკოსები ძველი წელთაღრიცხვის დასასრულს უკავშირებენ. გარდა ამისა, ადგილთა სახელწოდებებში ჩანს ძალზე

ძველი ელემენტები, რომლებიც ბასკეთის შორეულ კუნჭულებშიაც კი არის შეჭრილი. ასეთებია, მაგალითად: Amalain—Aemilianum-ისაგან, Ballariain — Valerianum-ისაგან, Durango — Duranicum-ისაგან.

დაბოლოს, გარკვეული ლათინური ელემენტების შეჭრა ბასკურის მორფოლოგიაში ასევე ადრეულ ხანაში უნდა მომხდარიყო. საინტერესო იქნება ამის საილუსტრაციოდ რამდენიმე მაგალითის მოყვანა: -tu ლათინური მიმღეობის -tus-ისაგან, რომელიც იხმარება ზმნათა საწარმოებლად, ხშირად აწარმოებს ლათინური წარმომავლობის ძირებს: contrastatu, arrapatu, salvatu. ან კიდევ ჭეშმარიტი ნასახელარი ზმნების ფორმებს ძველი ფეძეებისაგან, როგორიცაა: arritu (მის მნიშვნელობაში შესაბამის სახელთან კავშირი აღარ იგრძნობა) arri-საგან „ქვა“, garbitu „გასუფთავება“ garbi-საგან „სუფთა“; ეტიმოლოგიურად გაურკვეველი: saldu „გაყიდვა“; galdu „დაკარგვა“; sartu „შესვლა“. ასევეა, შუხარდტის მიხედვით, -eta-ც, როგორც მრავლობითობის აღმნიშვნელი (მაგალითად, mendi-an „მთაში“, მაგრამ mendi-eta-n „მთებში“), რომელიც უთუოდ მომდინარეობს ლათინური საშუალო სქესის მრავლობითისაგან -etum, რომელიც ასე ხშირია რომანულ ენებში.

კავშირის საშუალებათა შედარებითი ნაკლებობა ბასკეთში წარმოადგენდა ერთ-ერთ მიზეზს ამ წინარე-რომანული ენის შენარჩუნებისათვის. ჩვენი აზრით, მიზეზი იმისა, რომ ამ ხალხმა ყველაზე ნაკლებ განიცადა რომანიზაცია ესპანეთის სხვა მკვიდრებთან — განსაკუთრებით ჩრდილოეთის მოსახლეობასთან შედარებით, არის ის, რომ მხოლოდ ბასკები მეტყველებდნენ არაინდოევროპულ ენაზე. იმ დროის კანტაბრიელები, ასტურიელები და გალისიელები უკვე ინდოევროპეიზებულნი იყვნენ, რაც ნათლად ჩანს ადამიანთა და ადგილთა შესაბამისი სახელებიდან: მათი ენების სიახლოვე ლათინურ ენასთან დამატებით ხელისშემწყობ პირობას წარმოადგენდა ამ ხალხების სრული რომანიზაციისათვის. ბასკური კი სრულიად განსხვავებული ენა იყო, რომელმაც ინდოევროპელთა არაერთგზის შემოსევებს გაუძლო და ძლიერი წინააღმდეგობა გაუწია ასიმილაციის პროცესს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

II

შედარებითი შესწავლის შედეგები

8. ბასკური ენა და კავკასიური ენები

ბასკური ენის წარმომავლობის პრობლემას დღეს უნდა მივუდგეთ სხვაგვარად, ვიდრე ეს წარმოდგენილი იყო შუხარდტამდე. დღეს უკვე შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ საყოველთაოდ მისაღებ ჰეშმარიტებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ არსებითი და ტიპობრივი მახასიათებლების და ლექსიკის ბევრი ელემენტის მიხედვით ბასკური მსგავსია რთული შედგენილობის კავკასიური ჯგუფისა, რაც გვავარაუდებინებს ძალზე შორეულ ნათესაობას, რომელიც, ალბათ, რამდენიმე ათასწლეულის წინანდელი წარსულიდან მომდინარეობს.

კავკასიური ენები ერთიმეორისაგან ღრმად განსხვავებულ თავისებურებებს ამჟღავნებენ, მაგრამ ბასკურის ნათესაობა არც ერთი მათგანის თავისებურებას არ გამორიცხავს. მსგავსებანი ბასკურსა და კავკასიის სხვადასხვა ენებს შორის უკავშირდება ზმნის პასიურობას, რაც მეტად მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენს და გულისხმობს აგრეთვე სხვა არსებით დამთხვევებს, როგორიცაა ერგატიული ბრუნვის ანუ მოქმედის ბრუნვის არსებობა ბასკურსა და კავკასიურ ენებში. დამახასიათებელია აგრეთვე თვით ზმნაში ჩართვა იმ გრამატიკული ელემენტებისა, რომლებიც გამოხატავენ ობიექტს, არაპირდაპირსაც კი. გარდა ამისა, ძალზე საყურადღებო დამთხვევა შეინიშნება -ra ელემენტით კაუზატივის წარმოებისას, მაგალითად ბასკური ibilli „წასვლა; მოძრაობა“, e-ra-billi „ამოძრავება“; ikusi „ხედვა“, e-ra-kutsi „დანახება“, ikasi „სწავლა“, e-ra-katsi „სწავლება“. ასეთსავე ვითარებას ვხვდებით აფხაზურშიაც. ბასკურის i, რომელიც მი-

ცემითში დასმულ ობიექტს აღნიშნავს, ხუნძურის ანდიურ რაიონში წარმოდგენილია j ‖ je ‖ ji ‖ ja-ს სახით. ბასკური -antz, -ontz, მიმართულების გამომხატველი, ასეთივე სახით გვხვდება აფხაზურსა და უბიხურში; -gan ელემენტი წარმოდგენილია ქართულში; xe, რომელიც ბასკურში მსგავსების, გაიგივების („იგივე", „სწორედ იგივე") აღსანიშნავად იხმარება, ჩრდილო კავკასიურის სხვადასხვა ჯგუფებშიც გვხდება. უარყოფითი ez (ბისკაიური ze ზმნებში) წარმოდგენილია სამ ცენტრალურ კავკასიურ ენაში: ჩაჩნურში ca-ს სახით, ინგუშურში ce-ს სახით და ბაცბურში co-ს სახით. ბასკურისა და ყველა ჯგუფის კავკასიური ენების ნამყოსათვის დამახასიათებელია -n ელემენტის არსებობა. მიმართებითი ნაცვალსახელია ბასკურში -n, მეგრულში — -ni.

აშკარად ემთხვევა ერთმანეთს პირის ნაცვალსახელთა ფორმები; „მე"-ს აღსანიშნავად ბასკურში გვაქვს ni (ზმნებში პრეფიქსულ n-და სუფიქსური -t), ჩრდილო კავკასიურ ენებში კი იგი წარმოდგენილია n-თი და d-თი. მეორე პირის მამრობითი სქესის პირის ნაცვალსახელს, k-ს ყველა ქართველურ დიალექტში შეესაბამება g. „ჩვენ" ბასკურში არის gu, ქართულში კი gw, მეგრულში — g. Zu-ს „თქვენ" შეესაბამება მსგავსი ფორმები ჩრდილო და ცენტრალურ კავკასიურ ენებში.

რაც შეეხება ლექსიკურ პარალელებს, ისინი მეტად მრავალრიცხოვანია, თუმცა ბევრი მათგანის დამტკიცება გაძნელებულია. მიუხედავად ამისა, მათი რაოდენობა უთუოდ გამორიცხავს უბრალო შემთხვევითობას და გვაფიქრებინებს, რომ არსებობდა ნათესაობა, რომელიც ძალზე ძველი პერიოდიდან მომდინარეობს. ბოუდამ წესრიგში მოიყვანა ამგვარი პარალელები, რათა გამოემჟღავნებინა ისტორიულ-კულტურული ურთიერთობანი ამ ენებს შორის. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ბევრი დამთხვევა აღმოჩნდა მეცხოველეობისა და სამიწათმოქმედო ტერმინების აღმნიშვნელ სიტყვებში, მაგრამ სრულიად არ დადასტურდა ლითონის დამუშავებასთან და მის ხმარებასთან დაკავშირებული საერთო სიტყვები.

ჩვენ ახლა მოვიყვანთ მონათესავე სიტყვათა ზოგ მაგალითს: ბასკური zortze „რვა", რომელიც ახსნილია როგორც კავკასიური წარმომავლობის სიტყვა; ბასკური lagun „ამხანაგი", ჩერქეზული iegho; ბასკური oldu „სველად ყოფნა", ქართული ole „ჭაობი"; ბასკური lur „მიწა", ხუნძური l' „ქვემოთ"; ბასკური larre „ველი",

ეროვნული ბიბლიოთეკა

სვანური lare — იგივე; ბასკური irakurri „კითხვა“, მეგრულ-ჭანური k'or, ქართული k'r „შეკრება“, „შეგროვება“; ბასკური erdi „ნახევარი“, მეგრულ-ჭანურ-ქართული ri „გაყოფა“; ბასკური josi „(შე)კერვა“, მეგრულ-ჭანურ-ქართული k'otch' „შეკვრა“; ბასკური (h)itz „სიტყვა“, ქართული pici „ფიცი“; ბასკური sagar „ვაშლი“, აღულური zaxar — იგივე; ბასკური garagar „ჭვავი“, აღულური და თაბასარანული gargar, ლეზგიური gerger; ბასკური negar „ცრემლი“, უდური neg, მეგრული ngara; ბასკური (h)obi „სამარხი, საფლავი“, ხუნძური xob, ლაკური haw; ბასკური eo „დაწვნა“, eio „ნაწნავი“, ჩერქეზული we „ნაწნავის დაწვნა“; ბასკური oldar „თავდასხმა, შემართება, იმპულსი“, ქართული xld „ხტომა“. პირველი პირის მრავლობითი რიცხვის ნაცვალსახელისაგან ბასკური აწარმოებს ფორმას: guraso „მშობლები, დედ-მამა“, ქართული gvari „გვარი“.

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ ასობით, და, შესაძლოა, ათასობითაც, არის პარალელები, რომელთა მნიშვნელობაც უდავოა და რაოდენობაც დიდია, მაინც უნდა აღვნიშნოთ, რომ ნათესაობა თვით კავკასიურ ენებს შორის არ არის ჯერ ზუსტად დადგენილი. ამის მიუხედავად, ბასკურ-კავკასიური ნათესაობის ფაქტი, შემჩნეული ესპანელი ფიტას მიერ და დადასტურებული შუხარდტის, ტრომბეტის, ულენბეკის, დიუმეზილის, ბოუდასა და ლაფონის მიერ უფრო სისტემატური შესწავლის საფუძველზე, არის აღმოჩენა, რომელიც ძალზე შორეული და უცნობი წარსულიდან მომდინარე ფაქტს გამოავლენს. ჯერჯერობით კავკასიის წინარეისტორიის შესახებ ძალზე ცოტა რამ არის ცნობილი იმისათვის, რომ ხმელთაშუაზღვისპირეთისა და დასავლეთ ევროპის კულტურებს შორის ურთიერთობა გაირკვეს, თუმცა ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება ამ პრობლემასაც მოეფინოს ნათელი. ასე, მაგალითად, წინარეისტორიის მკვლევარმა ო. მინგინმა წარმოადგინა ვრცელი თეორია, რათა აეხსნა კავკასიური ელემენტების გაჩენა დასავლეთში ძველი წელთაღრიცხვის მესამე ათასწლეულში.

9. ბასკური და ურალურ-ალათაური, ბასკური და პალეოციმბირული ენები

კიდევ უფრო სადავოა ბასკურის ნათესაობა სხვა შორეულ ენებთან, ამიტომაც ჩვენ დიდხანს არ შევჩერდებით მათს განხილვაზე. თავისი დამცველები ჰყავს ბასკურისა და ურალურ-ალათაური ენების საერთო წარმომავლობის იდეას. მათ შორის არიან: შარენსი, კარსტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ფუშე; კარსტის თეორია ამ თეორიებს შორის ყველაზე ნაკლებ დამაჯერებელია. ბევრმა ავტორიტეტულმა სპეციალისტმა უნგრულისა და სხვა უნგრულ-ფინური ენების დარგში აშკარად მიიჩნია ბასკურის ნათესაობა ამ ენებთან. ამ მკვლევართა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ფ. რიბარი. მან გვაჩვენა, რომ სიტყვათა რიგის მიხედვით ბასკური ფრაზა მოგვაგონებს ურალურ-ალათაურ ტიპს და, მეორე მხრივ, სრულიად გასაოცარი დამთხვევები გვაქვს ლექსიკის რიგ მაგალითებში. მაგალითად, ესპანური izquierdo, ბასკური ezker „ცაცია“ ახსნილია როგორც ნაწარმოები სავარაუდო ფორმიდან *esku-erdi, რაც ნიშნავს „შუა ხელი“, ეს კი შეესაბამება უნგრულ-ფინურ ხერხს აღნიშნოს სხეულის ის ნაწილები, რომლებიც ერთმანეთის მსგავსია. მაგალითად, უნგრული fel szem „შუა თვალი“, რაც ნიშნავს: „ორი თვალიდან ერთ-ერთი“.

არც ის სპეციალისტები არიან მცირერიცხოვანნი, ვინც ბასკურს კიდევ უფრო შორეულ ენობრივ ოჯახებთან აკავშირებს. კ. ბოუდამ ამ უკანასკნელ ხანს გამოაქვეყნა შრომა, რომელშიაც იგი ცდილობს ბასკური დაუკავშიროს კამჩადალურს, კორიაკულს და, განსაკუთრებით, ჩუკჩურს. ეს თეორია საყურადღებოდ მიიჩნია და მისი კრიტიკული განხილვა მოგვცა ულენბეკმა.

ზოგი პარალელი მართლაც გასაოცარია; მაგალითად, ჩუკჩური org, ory „ციგა“, დაღესტნური urkura „აკვანი“, ხუნძური hoko, თაბასარანული aq, ჩერქეზული koe, ყაბარდოული goe და ასე შემდეგ ბასკურის orga-მდე „ურემი“. კავკასიური ამ შემთხვევაში შემაერთებელ რგოლს წარმოადგენს ევრაზიის ორ უკიდურეს წერტილს შორის.

ლევიმ წამოაყენა გაბედული სინთეზური თეორია, რომლის მიხედვითაც ბასკური, კავკასიური, ჩუკჩური და გარკვეული სხვა ენები, რომლებიც ნაკლებად არის შესწავლილი, წარმოადგენენ გადმონაშთებს იმ ენობრივი ვითარებისა, რომელიც წინ უძღოდა ოთხი დიდი ოჯახის გავრცელებას: ინდოევროპულის, ინდო-ჩინურის, ურალურ-ალათაურის და სემიტურის. ამ დიდმა ენობრივმა ჯგუფებმა, ლევის აზრით, უთუოდ შთანთქა ადრინდელი ენები ყველგან, გარდა გარკვეული მოშორებული ზონებისა ან იზოლირებული არეალებისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აფრიკასთან ნათესაობა აშკარად იგრძნობა ბასკურში არა საკუთრივ ბასკური ენის შინაგან სტრუქტურაში, არამედ განსაკუთრებით ლექსიკაში. გ. ფონ გაბელენცმა და შემდეგ, უფრო მეტი სიზუსტით, შუხარდტმა და ლ. რეინიშმა შეძლეს დაედგინათ ლექსიკური შესატყვისობანი, რომელთა მეტი წილი გამორიცხავს შემთხვევით მსგავსებას და შესაძლებლობას გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ ბასკურსა და ქამიტურ (სემიტურ) ენებს ადრეულ ხანაში ნათესაობა აკავშირებდა ერთმანეთთან.

მაგალითად: zaldi, beltz, ibai (ბასკური) შეესატყვისება უძველეს იბერიულ-ქამიტური წარმოშობის სიტყვებს. ასევე ბასკური aker „ვაცი", შეესატყვისება ბერბერულში iker, akar-ს „ცხვარი", ებრაულში kar-ს „ბატკანი". ბასკური umerri „ბატკანი" ემთხვევა ასირიულ ummeri-ს და ივივეა, რაც არაბული immar. ბასკური anai „ძმა" შეესაბამება ბერბერულის ana-ს; ბასკური nagusi „ბატონი" არის საჰოს nugus და ებრაულის nogés; კუთვნილებითი ელემენტი en არის ბასკურშიაც და ბერბერულშიაც და, აგრეთვე, ეგვიპტურშიაც. ასევე, n პირველი პირის, მხოლობითი რიცხვის გამოსახატავად გვხვდება ბასკურ ნაცვალსახელში და, აგრეთვე გალას (Galla) aniში, რაც მოგვაგონებს შესაბამის დაბოლოებას ni სემიტური ენების ზმნაში.

ზოგ შემთხვევაში აფრიკულთან დამთხვევა არ გამორიცხავს კავკასიურთან ნათესაობას. ავიღოთ, მაგალითად, „ვირის" აღმნიშვნელი სიტყვა: ბასკური asto, ბერბერული ezet, ezed, აფხაზური atssad, ჩერქეზული sid; „მელიის" აღმნიშვნელი სიტყვა: ბასკური azari, ლიბიური bassaria, კოპტური basar, ყაბარდოული baze; „ქვის" აღმნიშვნელი სიტყვა: ბასკურში (h)arri, აგანურში (Agan) karin ან xarin, ლაკური caru, სომხური khar, ბერბერული akerkur „ქვის გროვა" და აქედან — ხმელთაშუაზღვისპირული ძირი kar, რომელიც წარმოდგენილია „კარარაში" (Carrara), „კარპატებში" და სხვაგან.

ამ ნათესაობის მიმართ, ჩვენი აზრით, ზედმეტად სკეპტიკური, კრიტიკული პოზიცია დაიკავა ე. სილარსმა. ვფიქრობთ, რომ ამ „ნათესაობის შეტანა" ბასკურში ესპანეთის ტერიტორიაზე მცხოვრები აფრიკული წარმოშობის ხალხის მეშვეობით უნდა მომხდა-

რიყო. მიუხედავად იმისა, რომ ეს კავშირი მეტად შორეული ეპოქიდან უნდა მომდინარეობდეს, ამ პრობლემის ახსნა შესაძლებელია, როგორც ძვ. წ. 3000 წ. პერიოდის ალმერიელების, ან ესპანეთში ძვ. წ. 2000 წლიდან გავრცელებული აგრარული კულტურის მატარებელი ხალხის, ასევე, უკიდურეს შემთხვევაში, ისტორიული ხანის იბერების არსებობით. ამის ასახსნელად აღარ დაგვჭირდება მივმართოთ წინარეისტორიის სპეციალისტთა მიერ წამოყენებულ დებულებას იმის შესახებ, რომ ქამიტები მთელს დასავლეთ ევროპაში იყვნენ გავრცელებულნი, და რომ პოკორნიმ კელტურ ენებში გამოვლენილ დასავლურ სუბსტრატში ქამიტური ელემენტები აღმოაჩინა.

-En-ის (რომელიც იბერიულში მიმართების გამომხატველი ერთგვარი საშუალებაა ან ნაცვალსახელი), როგორც კუთვნილებითი სუფიქსის არსებობა ბასკურში (სადაც იგი ზოგჯერ მიმართებითი ნაცვალსახელის ფუნქციითაც გვევლინება) შეიძლება გამოგვადგეს იმის აღსანიშნავად, რომ ბასკურმა, რომელსაც გასაოცარი მიდრეკილება აქვს უცხო ელემენტების შეთვისებისაკენ, შეიერთა და მიიღო აფრიკული წარმომავლობის მორფოლოგიური ელემენტები.

დღევანდელს სასაუბრო ბერბერულში ამბობენ: tamazirt ens „ქვეყანა მისი". ეს იმის მსგავსი ვითარებაა, როგორიც უძველეს ეგვიპტურში გვაქვს კუთვნილების გამოსახტავად. ჩვენი აზრით, დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს ის, რომ იბერიულის ფრაზები, როგორიცაა: Idubeles eban და Balceadin Isbedarticer ebanen ნიშნავს შესაბამისად; „იდუბელესის კლდე" და „ბალცეადინის, ისბედარტიცერის (ძის) კლდე". ბასკურში, მეორე მხრივ, არაპირდაპირი ნათესაობითიანი გამოთქმის ნაცვლად ნამდვილი კუთვნილებითი სუფიქსი გვაქვს. ასე, მაგალითად, Peruren arria „პეტრეს კლდე", ან მიმართებითი ნაცვალსახელით: zaitada-n partea „ნაწილი, რომელიც ჩემთვისაა".

ჩვენი აზრით, ქამიტური ენათმეცნიერების ჩამოყალიბება, რაც ამდენი ხანია ფერხდება, ზემოჩამოთვლილი საკითხების გარკვევასაც შეუწყობდა ხელს.

11. ბასკური და იბერიული

უნდა აღვნიშნოთ აგრეთვე ყველაფერი, რაც ითქვა და დაიწერა ბასკურისა და იბერიულის გაიგივების შესახებ. ჰუმბოლდტის მიერ ბასკურის ადრეული მკვლევრების ძველი თეორიების გაზია-

რებამ და ამ თვალსაზრისის ყოველგვარი წინასწარი სერიოზული განსჯის გარეშე მიღებამ ევროპულ მეცნიერებაში დასაბამი მისცა მცდარ, ე. წ. ბასკო-იბერიონიზმის თეორიას. ამ თეორიის არსი მდგომარეობს მხოლოდ და მხოლოდ ბასკურის იბერიულთან აღრევაში; მისი მიმდევრები დარწმუნებულნი არიან, რომ თვით ბასკური სხვა არაფერია, თუ არა „ახალი იბერიული" ენა (ასე ფიქრობენ, მაგალითად, გერლანდი და მენენდეს პიდალი.) ამ თეორიის მეორე ფაზაა ის, რომ იბერიულის დასუსტება-გაქრობა ბასკურის ნიადაგზეა ახსნილი (შუხარდტი).

იბერიული დამწერლობის გაშიფრვა გომეს-მორენოს მიერ და უახლესი მიღწევები და აღმოჩენები, რომლებმაც გაასამმაგეს ის მასალა, რომელიც ჰაბნერის დროს იყო ცნობილი, ახალ ამოცანებს სვამს ჩვენს წინაშე. ბუნებრივია, რომ არც ერთი იბერიული ტექსტის გაშიფრვა არ მოხერხდება მხოლოდ ბასკურის ცოდნის საფუძველზე. გარდა ამისა, იბერიულის ძალზე ცოტა ლექსიკური ელემენტია ჯერჯერობით ჩვენთვის ცნობილი. მაგალითად, -etar სუფიქსი, რომელიც აღმოჩენილია აღმოსავლეთის სხვადასხვა იბერიულ მონეტებზე, ემთხვევა ბასკურ ეთნიკურ სუფიქსს ისეთ სახელებში, როგორიცაა: Saitabietar „საეტაბელნი", Irundar „ირუნელი", basseritar „სოფლელი". ამგვარი აშკარა დამთხვევები მაინც ძალზე ცოტაა და მათი მეშვეობით ვერ დავამტკიცებთ ბასკურისა და იბერიულის იგივეობას. ცნობილი წარწერა Gudua deisdea, რომელიც წაკითხულ იქნა აგრეთვე როგორც gudua deitzdea და ითარგმნა, როგორც „საომარი წამოძახილი" (თუმცა სინამდვილეში სიტყვასიტყვითი წაკითხვა იქნებოდა „ომი წამოძახილი"(?), ძალზე მოკლეა და, ამასთანავე, იგი ბასკურისათვის უცნობ სინტაქსურ კონსტრუქციას წარმოადგენს; სიტყვები gudua და deitu არ წარმოადგენს უძველესი ბასკური ლექსიკის კუთვნილებას.

არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, ბასკები იბერიელები არ არიან, არც კულტურის მხრივ ყოფილან ისინი „იბერიზებულნი", თუმცა კი ისტორიული ეპოქის დასაწყისში ბოსკოები (Boscos) არაგონზე ესაზღვრებოდნენ იბერიელებს. საერთო სუბსტრატები და მოსაზღვრე ენათა ურთიერთგავლენა — რაც, ჩვეულებრივ, ძლიერი იყო პრეისტორიული ტიპის კულტურებში — სავსებით საკმარისია ზემოაღნიშნული და სხვა ყველა იმ დამთხვევის ასახსნელად, რაც მათს ლექსიკაშია შემჩნეული.

12. ბასკური და დასავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის ენები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ არ შევეხებით ბასკურის ნათესაობას დასავლეთისა და ხმელთაშუა ზღვის აუზის პრობლემატურ ენებთან, რამდენადაც ეს მეტად ძნელი საკითხია. პირენეებსა და ალპებში გარკვეული საერთო ტერმინები დასტურდება: ასეთია ესპანეთის ტერიტორიაზე პლინიში აღმოჩენილი arrugia, რაც ნიშნავს: „ძარღვული ქანი". ეს შეესატყვისება პიემონტურსა და ტესინოს rugia-ს, ტრენტინოს rogia-ს. ბასკურ arroita-ს, ესპანურ arroyo-ს. ასევე, ალპურ camox-ს შეესატყვისება ესპანური gamuza და ფრანგული chamois „ქურციკი". კუნძულ სარდინიის ენობრივი მასალის გათვალისწინებაც ახალ დამთხვევებს წარმოაჩენს. მაგალითად, სარდინიული bega, ესპანური vega სავარაუდო *ibaica-საგან, ბასკური ibi, ibai „მდინარე", ibar „მდინარის შესართავი", და პირენეების ibon „ტბა".

ვ. ბერტოლდის მიერ წამოყენებული იდეა ბასკურის შესახებ, კერძოდ, იმის შესახებ, რომ „იგი წარმოადგენს უახლოეს და ორგანულ გადმონაშთს ხმელთაშუა ზღვის აუზის ტიპის ენებისა, რომლებიც იბერიაში ავტოქტონური იყო", დამტკიცებას მოითხოვს. უფრო მისაღები ჩანს შეხედულება, რომლის მიხედვითაც ბასკურმა გააერთიანა და მოაწესრიგა განსხვავებული წარმომავლობის ელემენტები, ზოგი ხმელთაშუაზღვისპირული, ზოგიც აფრიკული და ევრაზიული.

13. კელტური და ლათინური ნასესხობანი

უფრო აშკარაა ინდოევროპული ელემენტების არსებობა ბასკურში. ადვილად გამოიცნობა კელტური წარმოშობის სიტყვები, როგორიცაა რიცხვითი სახელი ogei „ოცი", andere „ქალი", (h)artz „დათვი", tegui „საფარი" ან „ქოხი", mando „ჯორი".

მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ, ზემოაღნიშნული დასავლური სუბსტრატის გარდა, ბასკურს წინარე-კელტური ინდოევროპული ტალღებიც შეეხო. ეს დამპყრობლები იწოდებოდნენ ლიგურებად, ილირიელებად და ილირიო-ამბიონებად. ეს ხალხები ძალზე დიდ ტერიტორიაზე იყვნენ გავრცელებულნი; ისინი მოდებულნი იყვნენ რუსეთის საზღვრებიდან პორტუგალიამდე სამხრეთ-დასავლეთით და ბალტიის ზღვიდან ხმელთაშუა ზღვამდე. ბასკურში არის

სიტყვები, რომლებიც ამ ხალხებისაგან მომდინარეობს, მაგრამ ამგვარ ნასესხობათა გამიჯვნა კელტური წარმომავლობის მასალისაგან ყოველთვის შესაძლებელი არ არის.

მეორე მხრივ, ლათინური ელემენტებიც შეიჭრა უთუოდ ბასკურში. რომაული წარწერები ადასტურებენ, რომ ბასკური ციხე-სიმაგრის განთქმული იზოლაცია არც თუ იმდენად შეუვალი ყოფილა. ძველი რომაული გზები გადიოდა რონსევალის მახლობლად, აგრეთვე ხაკადან ოლორონამდე, პამპლონადან ოიარსუნამდე და ასევე პამპლონადან ვიტორიასა და ბრივიესკამდე. გარდა ამისა, ჩვენ უკვე ვახსენეთ ის ფაქტი, რომ ნასესხები სიტყვები და სხვაგვარი ნასესხობანი მეტყველებენ ამგვარ შეჭრათა სიძველეზე და ბარბაროსთა შემოსევების წინა პერიოდიდან მომდინარეობენ. ტოპონიმიკაში წარმოდგენილია იმპერიის ეპოქისდროინდელი ლათინური ელემენტები, სადაც შენარჩუნებულია უძველესი ფონეტიკა. და არა გვაქვს ის ცვლილებები, რაც რომანულ ენებს ახასიათებს.

14. ბასკური და რომანული, გერმანული და არაბული ენები

ბასკური გარკვეული თვალსაზრისით რომანულ ენას წარმოადგენს და ზოგი ავტორი ასეთად მიიჩნევს მას. მისი ლექსიკის დიდი ნაწილი რომანული წარმოშობისაა. გარდა ამისა, ბასკურის მორფოლოგიის რიგი ელემენტი და სინტაქსური მოვლენაც მხოლოდ ლათინურ და რომანულ ენებთან კონტაქტით შეიძლება აიხსნას.

ქრისტიანობამ, რომელიც ძალზე გვიან გავრცელდა ბასკეთში და რომელმაც საბოლოო გამარჯვება მხოლოდ მეთერთმეტე საუკუნისათვის მოიპოვა, შემოიტანა კიდევ ახალი ლათინურ-რომანული ელემენტები, როგორიცაა arima „სუნთქვა ან სული“ (ლათინური anima), gurutz „ჯვარი“ (ლათინური crux), eliza „ეკლესია“ (ლათინური ecclesia), gorputz „სხეული“ (ლათინური corpus). ეს მრავალრიცხოვანი ნამატი, შემოსული უცხო წყაროდან, ადვილად შეითვისა ბასკურმა, რომელსაც ასიმილაციის არაჩვეულებრივი უნარი აქვს. ამგვარი უნარი დამახასიათებელია ყველა ნარევი ენისათვის; ამის განსაკუთრებით ცნობილი მაგალითია ინგლისური. ულენბეკი ბასკურის შემდეგს თავისებურებას აღნიშნავს: „მასში ჩანს კვალი ეავლენათა და ურთიერთქმედებათა, შერევისა და შეთანხმებისა, რაც ძალზე შორეული ეპოქებიდან მომდინარეობს“.

გერმანულიდანაც შევიდა უთუოდ ვესტგუთებისა და ფრანკების გზით რამდენიმე სიტყვა ბასკურში. მაგალითად, buruki „ირყის ხე“ ძალზე ახლოს დგას შესაბამის გერმანულ ფორმასთან. ასევე gudù(guda)-ც „ომი“ შეიძლება გერმანული წარმოშობისა იყოს.

რაც შეეხება არაბულს, გასაოცარია და ბასკურის შეთვისების უნარისა და ამავე დროს მისი კონსერვატიული ბუნების აშკარა საბუთს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ გარკვეული არაბული ელემენტები შემორჩენილია იმ არეალში, რომელიც მეთერთმეტე საუკუნემდე საკმაოდ იზოლირებული იყო არაბებისაგან. ეჭვს გარეშეა, რომ არაგონის მეტყველების გავლენა ბასკურზე ძალზე ძლიერი იყო უკვე იმ ეპოქაში. სხვაგვარად ვერ ავხსნით არაბულის დამოუკიდებელ ფორმებს, რომლებიც ჩვეულებრივ შეთვისებული ჰქონდათ ბასკების მეზობლად მცხოვრებ რომანული მოდგმის ხალხებს. მაგალითად, mertxica „ატამი“ (ესპანური alberchigo-ს გვერდით, რომელიც უშუალოდ არაბულისაგან არის შეთვისებული), alcandora (აშკარად არაბული) „კაცის პერანგი“, azukra „შაქარი“ (ესპანური azucar, არაბულია ორსავე ენაში), azok-egun „ბაზრობა, ბაზრობის დღე“ (zoco-საგან); შეადარე ესპანურ zoca-ს „მოედანი“ ან „ადგილი“. სხვა მაგალითების მოტანაც შეიძლება.

გარკვეულ სირთულეს ქმნის რომანული ელემენტების საკითხი ბასკურში, ისევე როგორც თვით ბასკურ-რომანულ ურთიერთობათა პრობლემა. ბასკური სუბსტრატის თეორია იქნა გამოყენებული, და არც თუ უსაფუძვლოდ, განსხვავებული რომანული დიალექტების თავისებურებათა ასახსნელად. ესპანური ვოკალიზმი — მისი ხუთი ხმოვანი, ზუსტად ივივე, რაც ბასკურშია, ის ფაქტი, რომ ესპანური (განსაკუთრებით კი ძველი კასტილიური: ამაია, ლო ბურება, კამპო, ლა მონტანა) ვერ იგუებს თავკიდურ f-ს — ყველაფერი ეს იქნა გამოცხადებული (პიდალის მიერ) იმ თავისებურებებად, რომლებიც ჩაისახა ჯერ კიდევ უძველეს კასტილიურში ბასკური სუბსტრატის (თუ ადსტრატის) გავლენით. მეორე მხრივ, გასკონიურის გარკვეული თავისებურებანი, როგორიცაა ზემოაღნიშნულის მსგავსად თავკიდური f-ს დაკარგვა, აგრეთვე გარდამავალი ზმნის ობიექტის განსხვავებული კონსტრუქციების არსებობა, რომელთა გარჩევაც დამოკიდებულია იმაზე, სულიერია ობიექტი თუ უსულო (ესპანური veo al padre „მე ვხედავ მამას“, მაგრამ veo la casa „მე ვხედავ სახლს“), გამოთქმათა „ჩვენებითობა“ (ლევი), როგორიცაა ესპანური: le dije al padre, ეკვივალენტური ბასკურის aitari esan diot-ისა „მან უთხრა (ის) მა-

შას“ (დატივის გამეორებით). ეს კონსტრუქციები, ალბათ, შეიძლება აიხსნას ბასკური სუბსტრატის ან მასთან მჭიდრო სიახლოვის საფუძველზე.

გაცილებით უფრო დიდია რომანული ენების გავლენა ბასკურზე. ბასკური ლექსიკის დიდი ნაწილი და ლიტერატურაც რომანულია; ძალზე ღრმად არის აგრეთვე შეჭრილი რომანული ენების ელემენტები ბასკურის მორფოლოგიასა და სინტაქსში. ავიღოთ მაგალითისათვის შემდეგი ენობრივი და გრამატიკული მოვლენები: (1) მყოფადის აღწერითი წარმოება, როგორიცაა egingo dat „მე გავაკეთებ ამას“, ტოლფარდი ესპანური გამოთქმისა „მე მაქვს ის გასაკეთებელი“ (helo de hacer), ნაცვლად უძველესი, -ke-თი ნაწარმოები ფორმებისა, რომლებიც ზოგმა დიალექტმა შემოინახა; (2) ასევე, პირობითი კილო egingo nuen „მე უნდა გამეკეთებინა ის“, ეკვივალენტური ესპანურის habialo de hacer-ისა „მე მქონდა ის გასაკეთებელი“; (3) აბსოლუტური დროისა და მიმართებითი დროის დაპირისპირება; (4) ლათინურიდან შესული დროთა შეთანხმება; (5) ზრდილობიანი მიმართვის ფორმების: zu-სა და berori-ს ხმარება; (6) ტენდენცია zein იქცეს რომანული მიმართებითის მსგავს რელატიურ ფორმად; (7) ისეთი წარმოებები, როგორიცაა noruai (ესპანური cualquier „რომელიც არ უნდა იყოს“, „ნებისმიერი“), zernac ესპ. cualquier cosa „ნებისმიერი რამ“. ეს მოვლენები ჭეშმარიტად სარწმუნო ენობრივ საბუთებს წარმოადგენს, რომელთა გაჩენაც ბასკურ ენაში მხოლოდ რომანული ელემენტების ხანგრძლივი შეჭრის საფუძველზე იყო შესაძლებელი.

მეზობელი რომანული ენების გავლენის საბუთს ვპოულობთ გარკვეულ სხვაობებში ესპანეთის ბასკურ და საფრანგეთის ბასკურ დიალექტებს შორის. ამ დიალექტებში აშკარად შეიმჩნევა ესპანური და ფრანგული ენების გავლენის კვალი. მაგალითად, ბიდასოას ჩრდილოეთით გარდაუვალი ზმნის უღვლილებაში წარმოდგენილია izan მეშველი ზმნა, მაშინ როდესაც სამხრეთით, უძველესი ტექსტების მიხედვით, ერთი და იგივე მეშველი ზმნა euki იხმარებოდა როგორც გარდამავალ, ისე გარდაუვალ ზმნებთან. ასკუე, მაგალითად, მიგვითითებს ბისკაიურ ფორმებზე, როგორიცაა urten dot „მე წავედი“, ნაცვლად urten naiz-ისა და egon neban „ადგომა“, ნაცვლად igon nintgan-ისა, რაც, ჩვენი აზრით, შეუძლებელია აიხსნას თუ არ ესპანურის გავლენით. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ესპანეთის ბასკურ დიალექტებში დაპირისპირებულია izan და egon მეშველი ზმნების ხმარება

ისევე, როგორც ესპანურში ser-ისა და estar-ისა. მაშინ, როდესაც საფრანგეთის ბასკურ დიალექტებში ამგვარი დაირისპირებაა გვაქვს.

ბიბლიოთეკა

ამრიგად, თეორია, რომელიც ბასკურს რომანულ ენად მიიჩნევს — თეორია, რომელიც დროდადრო ისევ იჩენს ხოლმე თავს მეტად თუ ნაკლებად მხატვრული ფორმით — ამ ენის ღრმა რომანიზაციის თვალსაზრისზე დგას. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ბასკურის სრული რომანიზაცია არ მომხდარა. ამას ხელი შეუშალა, ერთი მხრივ, ბასკური ენის შინაგანმა, მეტად თავისებურმა, ბუნებამ, მისმა თვითმყოფადობამ, თუ შეიძლება ასე ითქვას, და, მეორე მხრივ, იმ გარემოებამ, რომ ეს ენა ძალზე ადვილად იგუებს განსხვავებული სახის უცხო ენობრივ ელემენტებს. ნარევი ენის სწორედ ამ თვისებამ, ენისა, რომელშიაც მისი ხანგრძლივი განვითარების პროცესში ახლად შეთვისებული ელემენტები ძველი ენობრივი მასალის ადგილს კი არ იკავებენ და კი არ გამორიცხავენ მათ, არამედ მათ გვერდით იხმარებიან, შეაძლებინა ბასკურს წინააღმდეგობა გაეწია საუკუნეების მანძილზე მის გვერდით მცხოვრები რომანული ხალხების კულტურისათვის.

ბასკი ერის დასუსტება ისტორიულ ხანაში არ ყოფილა ძლიერი. მხოლოდ ჩვენი ულმობელი თანამედროვე ცივილიზაცია უქმნის სერიოზულ საფრთხეს ამ რელიქტურ, ინდოევროპელთა პირველი შემოსევების წინადროის დასავლეთის უძველესი ვითარების ამსახველ ენას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

III

ბასკურის ფონეტიკა

15. ბასკურის ფონეტიკა; ხმოვნები

ჩვენი მოკლე ნარკვევის შემდგომ ნაწილებში ბასკური ენის ღირსშესანიშნავ თავისებურებებს განვიხილავთ. დავიწყებთ მისი ფონეტიკური სისტემით. აქვე გამოჩნდება ბასკური ენის კონსერვატიული ბუნება. ბასკური ენის მეთექვსმეტე საუკუნის ტექსტებსა და ამ ენის დღევანდელ მდგომარეობას შორის ნაკლები სხვაობა დასტურდება, ვიდრე ამავე პერიოდის ესპანურსა და ფრანგულ ენებში.

ბასკურის ხუთი ხმოვანი a, e, i, o, u ზუსტად შეესაბამება ესპანურის ხმოვნებს, რომლებსაც ჩვენ მივმართავთ შედარებისათვის, რამდენადაც ესპანური და ბასკური ძირითადად უფრო ახლოს დგას ერთმანეთთან, ვიდრე ფრანგული და ბასკური. როგორც ადრე ვთქვით (მე-14 პარაგრაფში), ეს უძველეს კასტილიურში „ბასკური სუბსტრატის“ არსებობის ერთ-ერთ საბუთს წარმოადგენს. გაკვრით უნდა აღვნიშნოთ აქვე, რომ არ ღირს დროის დაკარგვა იმაზე, რომ ეს სუბსტრატი ვეძებოთ იბერიის ყველა ნაწილში, არც იმაზე, რომ უძველესი კასტილიურის ეს სუბსტრატი ძველი ესპანეთის მკვიდრ ხალხებთან გავაიგივოთ. ეს საკითხი ძალზე რთულია, ამ სირთულის მიზეზები კი შემდეგშია: (1) კარგად არ ვიცით, როგორი იყო ბასკების ურთიერთობა სხვა ხალხებთან, რომლებიც უფრო დასავლეთით ცხოვრობდნენ კლასიკურ ხანაში, ეს ხალხებია: კარისტები, ვარდულები და აუტრიგონები. (2) არავითარი ცნობები არა გვაქვს ამ ხალხთა გადასახლების შესახებ, რასაც ადგილი უნდა ჰქონოდა ანტიკური ხანის ბოლოს, შუა საუკუნეების კატასტროფების დროს. აშკარაა, რომ მკვლევართა განსაკუთრებული მეცადინეობის შედეგად კასტი-

ლიურში აღმოჩენილი სახელი Bardulia (Varduli-საგან) ამ თვალსაზ-
რისით ახალს არაფერს გვატყობინებს. (3) ებროს შუა წელისა და ბას-
კეთის დაბლობის ენობრივი ვითარება ნათელი არ არის. პირობითად
შეიძლება ჩაითვალოს, რომ არსებობდა კონტაქტების ზონა, რაიონი,
რომელშიაც ერთად ცხოვრობდნენ ლათინიზებული ინდოევროპელები
(კელტები და წინარეკელტები), ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, ად-
გილობრივ ენაზე მოლაპარაკე ხალხები, ალბათ ისეთნი, რომლებიც
ლაპარაკობდნენ ან დღეს უკვე გამქრალ დიალექტებზე, ან ისეთ
დიალექტებზე, რომლებიც ახლოს იდგა ბასკურის დასავლურ შტოებ-
თან, როგორიცაა, მაგალითად, ბისკაიური. არავითარ შემთხვევაში
არ უნდა ავჩქარდეთ და ავიღოთ ხელი ბასკების შედარებით გვიან
ეპოქაში დასავლეთისაკენ გადანაცვლების თეორიაზე. ამ თვალსაზ-
რისით მეტად მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ აკვიტანიის ლათი-
ნურ წარწერებში ნამვილად გვაქვს დადასტურებული ბასკური სა-
ხელები (იხ. პარაგრაფი 2), მაშინ როდესაც ბასკონიელთა ტერიტო-
რიაზე და დღევანდელი ბურგოსის პროვინციის ჩრდილო-აღმოსავ-
ლეთ ნაწილში ამგვარი სახელები არსად გვხვდება; თუმცა მათში
წარმოდგენილია მეტ-ნაკლებად ინდოევროპული ან ინდოევროპეიზე-
ბული ონომასტიკა. ახლა ვანებებთ თავს ამ წიაღსვლას და ისევ ბას-
კურის ფონეტიკას ვუბრუნდებით.

მხოლოდ სულეტურში, დიალექტში, რომელიც განსაკუთრე-
ბულ თავისებურებებსა და რომანული ენების ძლიერ გავლენას ამ-
ჟღავნებს, გვაქვს გრძელი u; ეს შეიძლება იყოს ფრანგული u (რო-
მელიც, ამასთანავე, ჩვეულებრივ კელტური წარმოშობისად ითვ-
ლება).

ბასკური დიფთონგები ყველა „დამავალია“: au, eu, ai, oi, ei,
ui, მათი მეორე ელემენტი ნახევარხმოვანს წარმოადგენს. დიალექ-
ტებში, სადაც გვაქვს u ხმოვანი, ის ჩვეულებრივ eu-დ იქცევა.
მეორე მხრივ, „აღმავალი“ დიფთონგები, როგორიცაა ua, ue და
მისთ., არ არსებობენ დამოუკიდებლად, გარდა იმ შემთხვევებისა, სა-
დაც ისინი ჰიატუსის თავიდან ასაცილებლადაა ნახმარი.

ბასკურის ხმოვნები ძალზე სტაბილურია, ბასკურში არაფერი
გვაქვს ინდოევროპულ ენებში გაბატონებული ხმოვანთმონაცვლეო-
ბის მსგავსი; მაგრამ ასევე არა გვაქვს ხმოვანთა არასტაბილურობის
ნიშნები სემიტურსა და ქამიტურ ენებში. მხოლოდ ელიზიისა და დი-
სიმილაციის გარკვეული შემთხვევები, როგორიცაა: ეპენთეზა და მე-

ტათეზისი, ოდნავ არყევენ ხმოვანთა სტაბილურობას. მაგალითად, გვაქვს jan, ნაცვლად jaun-ისა „ბატონი“, erlij'yoena ნაცვლად errelij'gonea-სი „რელიგია“, andrea არტიკლიანი ფორმა უარტიკლო ფორმის andere-ს წილ. მეტათეზისის საინტერესო შემთხვევას წარმოადგენს ფორმა eskuara „ბასკური ენა“ ქვემო ნავარულსა და ლაბურდულში, უფრო ზოგადი ფორმის euskera-ს სანაცვლოდ. გარდა ამისა, შეიმჩნევა, რომ ბასკურში ხმოვანს ზოგჯერ ენაცვლება ბოლოკიდური ცხვირისმიერი ბგერა; მაგალითად: botoi და boton.

ამასთანავე დიალექტები გარკვეულ თავისებურებებს ამჟღავნებენ ხმოვანთა სისტემის თვალსაზრისით. ხშირად გიპუსკოურში და სხვა აღმოსავლურ დიალექტებში წარმოდგენილია e იქ, სადაც ბისკაიურში გვაქვს a. მაგალითად, გიპუსკოური abe, ბისკაიური aga „ძელი“, გიპუსკოური arrotze, ბისკაიური arrautza „კვერცხი“; გიპუსკოური larre, ბისკაიური larra „საძოვარი“; გიპუსკოური emakume, ბისკაიური emakuma „ქალი“. რიგ შემთხვევაში საქმე გვაქვს მეორეულ ფორმებთან. მაგალითად, ბისკაიური lora მეორეულია შედარებით გიპუსკოურის (და სხვა დიალექტების) lore-სთან „ყვავილი“, ლათინური flore(m)-ისაგან.

16. მახვილი

ბასკურის მახვილი ბევრ მეტად რთულ საკითხს აღძრავს ჩვენს წინაშე. ბასკურში მახვილიანი მარცვალი არ არის ყველა სიტყვაში მკვეთრად გარჩეული უმახვილოსაგან, ისე როგორც ეს ესპანურში გვაქვს. ბასკური მეტყველების მოსმენისას ადამიანს შთაბეჭდილება ექმნება, რომ ერთი სიტყვის რამდენიმე მარცვალს ერთნაირი სიძლიერის მახვილი აქვს. ეს ყველა დიალექტში ასეა, გარდა სულეტურისა.

აშკარად შეიმჩნევა, განსაკუთრებით კი — ძველ ტექსტებში, რომლებშიაც ზოგჯერ მახვილი აღნიშნულია (ასეა, მაგალითად, ლისარაგასეულ „ახალ აღთქმაში“), რომ მახვილს ბასკურში მორფოლოგიური როლი მიენიჭება. მაგალითად, იმისათვის, რომ გავარჩიოთ ერთმანეთისაგან alaba „ქალიშვილი“ (განუსაზღვ. ფორმა) alabá-საგან „ქალიშვილი“ (განსაზღვრული ფორმა), მახვილი დაისმის მეორე სიტყვის ბოლო მარცვალზე. ბუნებრივია, რომ მახვილის ინდოევროპული და სემიტური ვითარება, რომლის მიხედვითაც ყოველ სიტყვას თავისი საკუთარი მახვილი აქვს, არ ემთხვევა ბასკურისას. ამ უკანას-

კნელის მდგომარეობა, როგორც ჩანს, მსგავსებას ამჟღავნებს (ლევის შეხედულებით) უნგრულ-ფინურ ენებთან, რომლებსაც შუქარებით სუსტი კავშირი ჰქონდათ ინდოევროპულ ენებთან. უნგრულ-ფინურშიც გვაქვს არა ცალკე მახვილი თითოეული სიტყვისათვის, არამედ მხოლოდ ფრაზის მახვილი, რომელიც ცალკე სიტყვის ფორმასთან არ არის დაკავშირებული და ასრულებს არა მორფოლოგიურ, არამედ სინტაქსურ ფუნქციას.

17. თანხმოვნები

ბასკურის თანხმოვანთა სისტემა მარტივია. ფშვინვიერები არა გვაქვს პირენეების სამხრეთით მდებარე დიალექტებში. ბგერა f ბასკურისათვის უცხო ბგერად არის მიჩნეული; იგი ახლა ძალზე იშვიათად შემოდის ნასესხებ სიტყვებშიაც კი და მას ბასკურად მოლაპარაკეები საერთოდ არიდებენ თავს.

ხშულები, რომლებიც აკუსტიკური ეფექტის მიხედვით მეტ-ნაკლებად ფრიკატიულ ბგერებს წარმოადგენენ, წარმოთქმის ადგილის მიხედვით შემდეგნაირად ჯგუფდება: ბაგისმიერები b და p, კბილისმიერები d და t, უკანაენისმიერები g და k. ცხვირისმიერი ბგერებია m და n (ეს უკანასკნელი, ბუნებრივია, ველარული იქნება უკანაენისმიერი ბგერის წინ). პალატალურები და სიბილანტები: sh (იწერება როგორც x ან s; ნამდვილ პალატალურ ნაპრალოვან ყრუ ბგერას წარმოადგენს), s (ყრუ, ალვეოლარული, ისევე, როგორ ესპანურში) და z (ანუ იგივე ყრუ s, მაგრამ დენტალურ-ალვეოლარული, როგორც ანდალუზიური s, ინგლისური s და საერთოდ ევროპული ენების s); ბასკურში z-სა და s-ს შორის განსხვავება ისაა, რომ z წმინდა სიბილანტია, s კი ოდნავ პალატალიზებული. ასეთივე განსხვავება გვაქვს შესაბამის ნაპრალოვან ბგერებში, როგორიცაა tz და ts. ნარნარა ბგერა ბასკურში სამია: r, rr და l. ენაში ბევრია „რბილი“ ბგერები, რადგანაც „დარბილება“ ანუ პალატალიზაცია ჩვეულებრივი ხერხია კნინობითი ფორმებისა და სხვა ამგვარი ეფექტის მქონე გამოთქმების საწარმოებლად. ამაში ბასკური ევრაზიის ენებს მიჰყვება. ტექსტებშიც ვპოულობთ „რბილ“ ბგერებს, რომლებიც წარმოდგენილია ll-ს, n-სა, d-სა და f-ს სახით. Ch (იწერება აგრეთვე, როგორც tx, ბასკური აკადემიის მიერ მიღებული ნორმის თანახმად) და აგრეთვე ts და tz-ც, ნაპრალოვან ბგერებს წარმოადგენენ.

ფშვინვიერი h გვაქვს პირენეების ჩრდილოეთით მდებარე დია-

ლექტებში: ლაბურდულში, ქვემო ნავარულში, სულეტურში. აზრთა სხვადასხვაობაა იმის შესახებ, ბასკური წარმომავლობისაა იგი თუ არა; ერთი რამ სავსებით აშკარაა, კერძოდ, ეს ბგერა უკვე უძველესი ბასკურის დონეზე იყო წარმოდგენილი და თუ ზოგ დიალექტში იგი დღეს აღარ იხმარება, იქ დაკარგულად უნდა მივიჩნიოთ. ცნობილია, რომ ძველად იგი გავრცელებული იყო უფრო დიდ ტერიტორიაზე, ვიდრე დღეს გვხვდება. ამასთანავე, ერთგვარი გაუგებრობის წყაროს ქმნის ის ფაქტი, რომ იმ შეცდომების შედეგად, რასაც ორენოვნება იწვევს, h ჩნდება ბევრ ისეთ სიტყვაში, რომლის ეტიმოლოგია ამას მხარს არ უჭერს; მაგალითად, harmaria, ან harroca (გასკონიური arroca-საგან „კლდე"), ან ხშულებთან კომბინაციაში: ikusi, ikhusi; baita, baitha; aipu, aiphu; ან ხმოვნებს შორის: len, lehen; al, ahal; ihardetsi.

ბასკურში სპორადულად გვხვდება აგრეთვე თანხმოვანთა მონაცვლეობის შემთხვევებიც, იმავე სახისა, როგორიც ეს გერმანულში ან სომხურში გვაქვს: რომანული parte-საგან ვიღებთ ფორმას: fartex; contar-ისაგან გვაქვს khondatu „დათვლა".

j თავდაპირველად გამოითქმოდა როგორც ნახევართანხმოვანი და ასევე დარჩა გარკვეულ რაიონებში, მაგალითად, ლაბურდულში. ზოგ დიალექტში იგი იქცა (ფრანგული j-ს მსგავს) პალატალურ ნაპრალოვან თანხმოვნად, კერძოდ, ამგვარი ვითარება გვაქვს სულეტურ დიალექტში. ამ თანხმოვნის ყრუდ გამოთქმაზე გადასვლა ზოგადი მოვლენა უნდა ყოფილიყო გიპუსკოურში, სადაც j-ს წარმოთქმა უახლოვდება თანამედროვე ესპანურისათვის დამახასიათებელ წარმოთქმას. სხვაგვარი სახის წარმოთქმებიც არსებობს, თუნდაც ამ ბგერის yod-ის სახით წარმოთქმა (დაახლოებით d-ს მსგავსი), „დარბილებული" ვარიანტი ქვემო ნავარულში და აგრეთვე პალატალური ნაპრალოვანი მჟღერი (dj), რომელიც გვაქვს ბისკაიურ დიალექტში.

18. პოზიციური ფონეტიკა

ჩვენი აზრით, თანამედროვე ბასკური ბგერათსისტემის ძირითადი თვისებები უკვე ჩამოყალიბებული სახით გვაქვს მოცემული უძველეს ტექსტებში. ამ თვალსაზრისით, ისევე როგორც სხვა თვალსაზრისითაც, ბასკური ენა დიდად არ შეცვლილა, რაც მის მეტად კონსერვატიულ ხასიათზე მეტყველებს. ბასკური ფონეტიკის ერთ-ერთ თავი-

სებურებას წარმოადგენს მისი „პრაქტიკული“, პოზიციური ხასიათი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბასკურში მახვილიც „სინტაქსური“ ბუნებისაა. ბასკური ფონეტიკის ამგვარი თანამიმდევრული „სინტაქსურობა“ წარმოადგენს ამ ენის თავისებურებას, რომელიც ვერ შეცვალა ვერც ლათინურმა და ვერც ახალმა რომანულმა ენებმა. მაგალითად, ცნობილია, რომ სიტყვის თავში ბასკური ვერ იგუებს ყრუ თანხმოვნებს. ამიტომ იგი უცხო წარმომავლობის სიტყვებს გადააკეთებს შესაბამისად, კერძოდ: bake „მშვიდობა“ ლათინური pace(m)-ისაგან; bike „თევზი“ ლათინური pice(m)-ისაგან; gela „ოთახი“ ლათინური cella-საგან; giristino „ქრისტიანი“ cristiano-საგან; gerezi „ალუბალი“ cerasia-საგან; dembora „დრო“ tempora-საგან. ეგევე მოვლენა ენის უფრო ძველ სიტყვებშიაც გვხვდება. მაგალითად, როდესაც da „არის“ და dira „არიან“ ქმნიან ერთ მთლიანს უარყოფით ნაწილაკთან ერთად, ამოსავალი ფორმების პირველი ბგერა ყრუ ბგერის სახით მოგვევლინება: ezta „არ არის“; eztira „არ არიან“; ასევეე გვაქვს du-სა „აქვს“ და dute-ს „აქვთ“ შემთხვევაშიაც, რომელთა უარყოფითი ფორმებია: eztu და eztute შესაბამისად.

მიუხედავად იმისა, რომ ბასკურში თანხმოვნები ხმოვანთა შორის ჩვეულებრივ კარგადაა შემონახული, მეზობელი ფრანგული და ესპანური დიალექტებისაგან განსხვავებით (ეს არ ეხება არაგონულსა და ბეარნულს, რაც თავისთავად სპეციალური კვლევის საგანი შეიძლება გახდეს), დადასტურებულია, რომ ბასკურის ყრუ ხშულები მჟღერდება m-ს, n-სა და l-ს მეზობლობაში. ზემოთ უკვე ვახსენეთ ამგვარი მაგალითი dembora „დრო“ tempora-საგან; ამავე რიგში უნდა მოვაქციოთ aldare „საკურთხეველი“ altare-საგან; frango „ბევრი“ franco-საგან. ეს ბასკურისათვის ჩვეულებრივი მოვლენაა, იგი მოქმედებს დღევანდელ სალაპარაკო ენაში და მეტად გავრცელებულია მორფოლოგიაში, ფორმაწარმოების დროს. მაგალითად, emen-tik იქცევა emendik-ად „აქედან“; egun-ko გვაძლევს egungo-ს „დღევანდელი“; doniban-tar იქცევა donibondar-ად „სან ხუანელი“; on „კარგი“ და ზმნიზედა ki-ს შეერთების შედეგად ვიღებთ ongi-ს „კარგად“. ირკვევა, რომ ბასკური ენის ხშულთა სიყრუე-სიმჟღერე დამოკიდებულია ძირითადად მათს პოზიციაზე. დაბოლოს, შეიძლება დავუმატოთ, რომ დღევანდელ ბასკურში წარმოდგენილია უძველესი ვითარება, რომელიც თავის მხრივ ეხმაურებოდა ხმელთაშუა ზღვის ენების თავისებურებას, თუკი B მინოურ (Minoan B), კვიპროსულ, იბერიულ და სხვა უძველეს სილაბარიუმებში წარმოდგენილი მასალა საკმარისი იქნებოდა ამგვარი მსჯელობისათვის.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ბასკურში არა გვაქვს ორმაგი თანხმოვნები. ცოტაა ისეთი თანხმოვნები, რომლებიც შეიძლება მოგვეევლინოს სიტყვის ბოლოში, ფინალურ თანხმოვნად. ასეთებია: k, t; და აგრეთვე: ცხვირისმიერები, ნარნარები; სიბილანტები და ნაპრალოვნები: s, z, ts, tz.

მჟღერი ხშულები ბოლოკიდურ პოზიციაში ყრუვდება: ამოსავალი ფორმა dud dut-ისათვის „მე მაქვს“ (ლაბურდული) დასტურდება მიმართებით ფორმაში dudan „რომელიც მე მაქვს“. ბოლოკიდურ ცხვირისმიერ ბგერად ყოველთვის წარმოდგენილია n და არა m. ხშულ-მსკდომისა და ნარნარისაგან შემდგარი ჯგუფი ბასკურისათვის არაბუნებრივია და ბასკური მას თავიდან იცილებს უცხო წარმომავლობის ძველ სიტყვებშიაც და ახალ ნასესხობებშიც. მაგალითად გვაქვს: liburu libro-საგან, gurutz crux-ისაგან, giristino cristiano-საგან, რაც გვიჩვენებს, თუ როგორ იცილებს თავიდან ბასკური ამგვარ ბგერათშეხამებებს. ამაში ბასკური ისევ ხმელთაშუა ზღვის ენებისა და აგრეთვე იბერიული ტექსტების ვითარებას იმეორებს; ამგვარი მოვლენა ბევრ განსხვავებულ ენაში გვხვდება.

რადგან ბასკური ფონეტიკა „სინტაქსურია“, ერთი სიტყვის ბოლოკიდური ყრუ ბგერა იწვევს მისი მომდევნო სიტყვის თავკიდური მჟღერის დაყრუებას, ხოლო თვით ბოლოკიდური ყრუ ბგერა იკარგება. მაგალითად, ავიღოთ ფრაზა nik ba dakit „მე თუ მეცოდინება ეს“, რომელიც სწრაფი მეტყველების დროს გამოითქმის როგორც ni'pa dakit; ba dakit bai „თუ ნამდვილად მეცოდინება ეს“ (bai ნიშნავს: „ჰო“) გამოითქმის როგორც ba daki' pai.

ბასკურისათვის უცხოა თავკიდური r. ამის თავიდან ასაცილებლად ბასკური პროთეტულ e ხმოვანს მიმართავს: errege „მეფე“ ლათინური rege(m)-ისაგან; errota „წისქვილი“ ლათინური rota(m)-ისაგან. ზოგჯერ სხვა პროთეტული ხმოვნებიც გვაქვს: irriz ფრანგული riz-ისაგან „ბრინჯი“; Urrupina Rufina-ს ნაცვლად.

ბასკურში შეინიშნება შემდეგი სახის როტაციზმი: s-ს r-ში ან rr-ში გადასვლა. მაგალითისათვის შეიძლება შევადაროთ ერთმანეთს ისეთი დიალექტური ფორმები, როგორიცაა erran და esan „თქმა“; oro და oso „მთელი, მთლიანი, ჯანმრთელი“. ამასთანაა დაკავშირებული ორმაგი ფორმების არსებობაც: bost და borst „ხუთი“; beste და bertze „სხვა“.

ბასკურში გვაქვს აგრეთვე სინკოპის შემთხვევები. მაგალითად,

არტიკლიანი ფორმა andrea „ქალბატონი (განსაზღვრული)“ უპირისპირდება andere-ს „ქალბატონი (განუსაზღვრელი)“. საუბარში შეიძლება გავიგონოთ jan ar'to'a, ნაცვლად jaun erretora-სი. ზოგი თანხმოვანი ხმოვნებს შორის იკარგვის, განსაკუთრებით ხშირია r-ს დაკარგვა ამგვარ პოზიციაში.

ჰიატუსის თავიდან ასაცილებლად ბასკური სხვადასხვა ხერხს მიმართავს: ისეთ სიტყვაში, როგორიცაა etxea „სახლი“ e-ს ენაცვლება y ან i და ვიღებთ etxia ან etxya-ს; lepoa-ში „კისერი“ o-ს ენაცვლება u და ვიღებთ ფორმას lepua (lepua კი წარმოითქმის როგორც lep'wa). ჰიატუსი შეიძლება აცილებულ იქნას აგრეთვე ხმოვნის დაგრძელებითა და მისი თანხმოვნად ქცევის გზით: dio წარმოითქმის diyo-დ; erria — erriya-დ „ხალხი“. ბისკაიურში ჰიატუსის თავიდან ასაცილებლად ხმოვანთ შორის b თანხმოვანი ჩაისმის და ვიღებთ: zenduban-ს გიპუსკოურის zenduen-ის წილ; buruba-ს ნაცვლად burua-სი „თავი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV

ბასკურის მორფოლოგია და სინტაქსი

20. ბასკურის აგლუტინაციური ხასიათი

ბასკურის მორფოლოგია ერთ მეტად არსებით თვისებას ამჟღავნებს. კერძოდ, იგი მიეკუთვნება ენათა იმ ტიპს, რომელიც ამ უკანასკნელი ასი წლის მანძილზე ცნობილია „აგლუტინაციური" ტიპის სახელწოდებით. ამ ტიპის ენებში მორფოლოგიური ელემენტები კონსტრუქციაში გარკვეულ დამოუკიდებლობას ინარჩუნებენ. გარდა ამისა, ფლექსიური ენებისაგან განსხვავებით, აგლუტინაციური ენების მორფემებს შეუძლიათ ერთმანეთს შეენაცვლონ, რაც იმას ნიშნავს, რომ ერთი და იგივე მორფოლოგიური ღირებულების გამოსახატავად შეიძლება სხვადასხვაგვარი ელემენტები იქნეს გამოყენებული. ბასკურში ნათესაობითის -ko იხმარება ყველა სიტყვასთან განურჩევლად, მაშინ როდესაც ლათინურში ასეთივე მიმართებების გამოსახატავად გვაქვს -ae-ზე, -i-ზე, -is-ზე, -arum-ზე, -um-ზე, -us-ზე და სხვა ნიშნებზე დაბოლოებული ნათესაობითი. მეორე მხრივ, ბასკურში განსხვავებული ტიპის ზმნებში სუბიექტი განსხვავებული ნაცვალსახელური ელემენტებით გამოიხატება და, გარდა ამისა, თვით ერთნაირი ტიპის ზმნების შემადგენელი მორფემებიც განსხვავებულია სხვადასხვა დროის ფორმათა მიხედვით. მაგალითად, n-aiz-ში „მე ვარ" n აღნიშნავს სუბიექტს პირველ პირში, მხოლოობით რიცხვში, მაშინ როდესაც det-ში „მე მაქვს (ის)" მოქმედს პირველ პირში, მხოლოობით რიცხვში გამოხატავს t. ამრიგად, მეორე ჯგუფის ფორმებში (იხ. პარაგრაფი 49) სუბიექტის პირველ პირს, მხოლოობით რიცხვს გარდაუვალ ზმნაში აღნიშნავს nen, გარდამავალში კი — n. ამრიგად, ვერ ვიტყვით, რომ ბასკური წმინდა აგლუტინაციური ტიპის ენა იყოს. მასში გაცილებით მეტი რაოდენო-

ბის განსხვავებული ელემენტებია წარმოდგენილი, ვიდრე ურალურ-ალთაურ ან კეჩუა (Quechua) ენებში. ამასთანავე, ბასკურის მორფოლოგიური ელემენტების ფუნქციები უფრო ნათელია. ამგვარი ვითარება განპირობებულია ბასკურში გასხვავებული წარმომავლობის ელემენტთა სიუხვით.

21. ბასკურის „ბრუნვები“

ბასკურის „ბრუნვათა“ სისტემა წარმოდგენილია მოქმედი „პოსტ-პოზიციების“ სახით. ისინი არსებითი სახელებისაგან სრულიად დამოუკიდებელნი არიან და არც ზმნურ კატეგორიებს უწევენ ანგარიშს. ეს უკანასკნელნი კი აშკარად ამჟღავნებენ თავის სახელურ ბუნებას. ბასკური ბრუნების თვალსაჩინო და მეტად არსებით თავისებურებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ბასკურის ბრუნების სისტემაში არა გვაქვს მხოლოობითისა და მრავლობითის დაპირისპირება. ბასკური სახელი თავისთავად დამოუკიდებელია რიცხვის ცნებისაგან, რიცხვს აღნიშნავს ან არტიკლი, ან რიცხვითი სახელი, ან კიდევ ზმნური ფორმა; ბრუნებისათვის კი არ არის დამახასიათებელი მხოლოობითისა და მრავლობითის გარჩევა. ეს განსხვავება მხოლოდ იმაში ვლინდება, რომ მხოლოობითს უკავშირდება განსაზღვრული არტიკლი, მრავლობითში კი მის ნაცვლად წარმოდგენილია ის, რასაც ენათმეცნიერებაში ნულოვან ნიშანს უწოდებენ. მაგალითად, etxe-a-ren-ში „სახლისა“ a მიგვანიშნებს მხოლოობით რიცხვზე, მრავლობითში კი გვექნებოდა exteen „სახლებისა“, განსაზღვრული არტიკლის გარეშე. თუმცა ბასკურმა თავის დროზე ზოგი ისეთი ელემენტი შეითვისა, რომელიც გარკვეულ შემთხვევებში მრავლობითობას გამოხატავს. მაგალითად, mendi-eta-n „მთებში“, მხოლოობითი mendi-an („მთაში“) ფორმის საპირისპიროდ, წარმოდგენილია eta ელემენტი, რაც ლათინურის -etum-ზე დაბოლოებული საშუალო სქესის სახელების მრავლობითს ემთხვევა (ესპანურშიაც გვაქვს ამგვარი ფორმები: manzaneda, sauceda, fresneda და ა. შ.) და იხმარება არსებითი სახელების კრებითი ფორმის საწარმოებლად.

რიცხვით სახელთან ერთად ხმარებისას სახელი მრავლობითის ნიშანს არ დაირთავს. მაგალითად, gizon bat „ერთი კაცი“ და bi gizon „ორი კაცი“. მრავლობითის არტიკლი -ak გამოხატავს რიცხვს და ამასთანავე ყოველთვის განსაზღვრულ ფორმას წარმოგვიდგენს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიცხვი არსებითად არტიკლით გამოიხატება უმეტეს შემთხვევებში, თუმცა ეს სხვა ნიშნების არსებობას არ გამორიცხავს. აქ უნდა აღინიშნოს, აგრეთვე, რომ ბასკურში არის ერთგვარი განუსაზღვრელი რიცხვი, რომელიც სხვა ენებიდანაც ცნობილია. მაგალითად: ინგლ. man is (an) animal „ადამიანი ცხოველია“ ან vegetables are costly this year „ბოსტნეული წელს ძვირია“.

ისევე როგორც ინდოევროპულ ენათა ბრუნება, ბასკურის ბრუნების სისტემაც განსხვავებული წარმოშობის ელემენტთა შეერთების შედეგადაა მიღებული. „ბრუნვები“ შეიძლება დავიყვანოთ შემდეგ ფორმებზე: ნომინატივი (სახელობითი), ერგატივი (მოთხრობითი), ინსტრუმენტალისი (მოქმედებითი), დატივი (მიცემითი), კომიტატივი (თანაობითი), ლოკატივი (შიგმყოფობითი), მიმართულებითი, დაშორებითი და პარტიტივი (ნაწილგამოყოფითი). თუმცა საზღვარს „თანდებულსა“ (შესაძლოა, იგი ბრუნვის სუფიქსს წარმოადგენდეს) და „კავშირს“ (გარკვეული სახის მაქვემდებარებელ პოსტპოზიციას) შორის ვერ გავატარებთ ისე, რომ დაბეჯითებით შეგვეძლოს ვთქვათ, რამდენი ბრუნვაა ბასკურში. ამ ბრუნვათა ფუნქციებზე ქვემოთ ვილაპარაკებთ და შესაბამის საილუსტრაციო მასალასაც მოვიყვანთ.

22. ნომინატივი (სახელობითი)

„ნულოვან სუფიქსიანი“ ნომინატივი იხმარება როგორც სახელური და გარდაუვალი ზმნის სუბიექტი და გარდამავალი ზმნის ობიექტი. ზმნის ეს მეორე ფორმა ინდოევროპულ პასივს მოგვაგონებს. ვოკატივი (წოდებითი) ნომინატივისაგან არ განსხვავდება რაიმე სპეციალური დაბოლოებით. ნომინატივის ხმარების მაგალითებია: ogia ona da „პური კარგია“. აქ წარმოდგენილია უნიშნო ნომინატივის ფორმები ogi და on (სუბიექტი და პრედიკატი), რომლებზეც დართულია განსაზღვრული არტიკლი a ბასკურში მიღებული წესის მიხედვით, რაც ინდოევროპული ენებისათვის უცხოა. ასევე, Peru izango da „პეტრე იქნება (იქ)“ წარმოდგენილია სახელური ზმნის სუბიექტი ბრუნვის ნიშნის გარეშე. გარდამავალ ზმნასთანაც იგივე სურათი გვექნება: Peru etorriko da „პეტრე მოვა“. ან კიდევ ავიღოთ წინადადება Joanesek etxe bat erosi du „იოანემ იყიდა (ერთი) სახლი“. აქაც დავინახავთ, რომ არც etxe-სა და არც bat-ს („ერთი“) არა აქვთ

ბრუნვის ნიშანი. ფლექსიურ ენებში აქ ზმნის ობიექტის აღმნიშვნელი აკუზატივის (ბრალდებითის) ნიშანი იქნებოდა წარმოდგენილი. აღსანიშნავია, რომ Joanesek-ის -ek დაბოლოება გაიგება, როგორც პასივი; იგი შეიძლება შევადაროთ ლათინურში მოქმედის აბლატივს. თვით წინადადების ზუსტი მნიშვნელობა კი იქნება: „სახლი ნაყიდი იყო იოანეს მიერ“. დაბოლოება -ek, როგორც ჩვენ შემდეგ პარაგრაფში დავინახავთ, არის „აქტიური“ ბრუნვის ანუ „მოქმედის ბრუნვის“ ფორმა. იგი, როგორც ჩვენ დავრწმუნდებით, გარდამავალ ზმნებთან იხმარება.

23. ერგატივი ანუ აქტივი (მოთხრობითი)

ერგატიული ბრუნვა ანუ აქტივი (-ek-ზე დაბოლოებული) უშუალოდ უკავშირდება ზმნის „პასიურ“ ხასიათს, ანუ, როგორც ზოგჯერ ამბობენ, ზმნის „სახელურ“ ბუნებას. ისეთ წინადადებებში, როგორიცაა: liburu bat igorri daut, berak egina „მან მე გამომიგზავნა წიგნი გაკეთებული მის (თავის) მიერ“, აშკარად ჩანს ზმნური ფორმის პასიურობა, მისი „ზმნურ-სახელურობა“, რაზედაც მეტყველებს ფორმა egina; ერგატივის ფორმის berak-ის „მის (თავის) მიერ“ პასიური ფორმის „მოქმედად“ თარგმნაც, თავის მხრივ, ნათელს ხდის ჩვენთვის ამ ფორმის თავისებურებას. ზემოაღნიშნული ბრუნვის ფუნქცია ბასკურ წინადადებაში სხვა არაფერია, თუ არა „მოქმედის“ ფუნქცია, ისეთი, როგორიც ეს წინა პარაგრაფის მაგალითში გვქონდა: Joanesek etxe bat erosi du.

24. ინსტრუმენტალისი (მოქმედებითი); დატივი (მიცემითი)

ინსტრუმენტალისი (დაბოლოება -z), როგორც წესი, ზმნიზედური ბუნებისაა. მაგალითად, შეიძლება ვთქვათ: hartaz kontent dira „ამით ისინი კმაყოფილნი არიან“, სადაც hartaz ფორმა წმინდა ინსტრუმენტალისის შინაარსს გადმოცემს; და აგრეთვე: ehun urtez „ასი წლით“, სადაც ამ ფორმის ზმნიზედურ ხმარებასთან გვაქვს საქმე.

დატივის დაბოლოებაა -(r)i მხოლოობითში და -ei მრავლობითში. ბრუნვის ნიშნის შეცვლა მრავლობით რიცხვში ბასკური ბრუნვების

ნარევი წარმომავლობის კიდევ ერთ საბუთს წარმოადგენს, რამდენადაც ეს -ei მოგვევლინება მხოლოობითის -(r)i-ს ადგილას: მაგალითები: (1) erregina gazteari „ახალგაზრდა დედოფალს“, (2) bildotxari beharri batetarik lotzen zaio erretorek „მღვდელი იჭერს ბატკანს ყურით“.

25. ორი გენეტივი (ნათესაობითი)

ბასკურში ორი გენეტივის (-en-ზე და -ko-ზე დაბოლოებულის) არსებობა თავისთავად საკვლევ საკითხს წარმოადგენს. ეს ორი ფორმა აშკარად სხვადასხვა წარმომავლობისაა და ერთმანეთისაგან განსხვავდება იმით, რომ ერთი იხმარება დეტერმინატიულ სახელებთან, მეორე კი — ატრიბუტიულ სახელებთან. უნდა გავითვალისწინოთ აგრეთვე, რომ en-იანი გენეტივი ჩვეულებრივ, გრამატიკოსების აზრით, სულიერ სახელებთან იხმარება, -ko-ზე დაბოლოებული კი — უსულო სახელებთან. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ჩვეულებრივ სიტყვათა ხმარებაში ისინი საგრძნობლად უახლოვდებიან ერთმანეთს და, ამასთანავე, ზოგჯერ ენაცვლებიან (თითოეული მათგანი გარკვეულ დიალექტში) მყოფადისა და პირობითი კილოს ფორმებს. -En დაბოლოების წარმომავლობა უნდა დავუკავშიროთ კუთვნილებით ნაცვალსახელს, რომელიც ჩრდილო აფრიკის რიგ ენაშია გავრცელებული. მისი დანიშნულება ირკვევა მიმართებითი წინადადებებიდან და ისეთი ტიპის სუფიქსების წარმოებიდან, როგორიცაა on-en-a „უკეთესი“ (რაც ნიშნავს „კარგის კარგი“). გენეტივში მდგარი „დეტერმინატივი“ სულიერი სახელის ფორმა წარმოდგენილია წინადადებაში: ez dut nik Kattalinen gutiziarik „მე არ ვგრძნობ (არა მაქვს) კატარინას(ავით) ნოსტალგიას“. მაგრამ გვაქვს აგრეთვე ფორმები etxearen barnean-ის „სახლის შიგნით“ ტიპისა, სადაც -en დაბოლოება დაერთვის უსულო სახელს. გენეტივში დასმული „ატრიბუტიული“ სახელის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ შემდეგი: baratzeko azkenak dira „(ისინი) უკანასკნელნი არიან ამ ბაღისა“; ან კიდევ ისეთი ფორმები, როგორიცაა: bideko „საგზალი“ (სიტყვასიტყვით „გზისა“) oinetako „ფეხსაცმელი“ (სიტყვასიტყვით „ფეხისა“).

26. კომიტატივი ანუ სოციატივი (თანაობითი); ლოკატივი ანუ ინესივი (შიგმყოფობითი); მიმართულებითი გრუნვა ანუ ადლატივი; დაშორებითი გრუნვა ანუ ელატივი; პარტიტივი (ნაწილგამოყოფითი)

კომიტატივი მკვლევრებისათვის ცნობილია აგრეთვე, როგორც სოციატივი ან უნიტივი. დაბოლოებაა -ekin; იგი დაახლოებით იმასვე აღნიშნავს, რასაც cum-იანი ლათინური აბლატივი, არა აქვს მას

მხოლოდ „ინსტრუმენტალური“ მნიშვნელობა, მაგალითად, gosearekin azeria ere atheratzen da bere zilhotik „შიმშილით (შიმშილისაგან) მელა თავისი სოროდანაც კი გამოდის“. Gosearekin აქ ფაქტობრივად სოციატივს წარმოადგენს. ავიღოთ ახლა სხვა მაგალითი: gurekin ethorri behar duzu ere „ჩვენთან ერთად თქვენც უნდა მოხვიდეთ“. აქ gurekin აშკარად თანხლებას გამოხატავს, behar გადმოგვცემს „აუცილებლობას“, „საჭიროებას“.

ლოკატივში ანუ ინესივში -n დაბოლოება პოსტპოზიციას წარმოადგენს. მრავლობითში გვაქვს -(e)tan; იგი გამოხატავს გარკვეულ ადგილას ყოფნის ან ლოკაციის იდეას (ზოგჯერ დროსაც). მაგალითად, herri hartan bizi zen „იგი ცხოვრობს იმ ქვეყანაში“; ასევე: oren onean „კარგ დროში“. როგორც ვხედავთ, თუ არსებითი სახელი და ზედსართავი ერთადაა ნახმარი, დაბოლოება მხოლოდ ზედსართავს დაერთვის.

მიმართულებითი ბრუნვის ანუ ადლატივის დაბოლოებაა -ra ან -tara (ზოგ დიალექტში -t ემატება). დაშორებითი ბრუნვის ანუ ელატივის ნიშანია -tik ან -tarik, დაერთვის არსებით სახელს ან ზედსართავს. ეს ორი ბრუნვა ერთმანეთის საწინააღმდეგო შინაარსს გადმოგვცემს, მსგავსად ლათინურში აკუზატივის ad-ისა და აბლატივის ab-ისა. მაგალითად, batetik bertzera „ერთისაგან მეორისაკენ“; აქ ამ ორი ბრუნვის ფორმები ერთად არის ნახმარი და კარგად ჩანს მათი განსხვავებული ფუნქციები. ავიღოთ კიდევ სხვა მაგალითები: etxerata(t) itzuliko naiz „მე მივბრუნდი სახლისაკენ“; jaunaren etxera gogoz sartu zan „იგი შევიდა ბატონის სახლში სიამოვნებით“. დაშორებით ბრუნვასთან ახლოს დგას პარტიტივი ანუ განუსაზღვრელი ბრუნვა ისეთ წინადადებებში, როგორიცაა: Ah! dirurik balu! „აჰ! მას რომ ფული ჰქონდეს!“ (diru „ფული“ პარტიტივში დგას); Balimbazen eta nehor gizon onik gizon zuzenik, bura zen „თუკი ვინმე იყო კარგი კაცი და სამართლიანი, იგი იყო ასეთი (კაცი)“; Badezu ogirik? „გაქვს შენ პური?“ ჩვენი ლინგვისტური აზროვნებისათვის უჩვეულოა, რომ ეს სუფიქსი ზმნურ ფორმებს დაერთვის. მაგალითად, გვაქვს ფორმა eginik, „კეთება“ ზმნის ინფინიტივი, რომელსაც დართული აქვს პარტიტივის დაბოლოება. ეს კი ქმნის ერთგვარ „გერუნდივს“ ნათესაობით ბრუნვაში, ნიშნავს: „კეთებისა“. Berdin du balio euria eginik ere, belharrak egiuak dira „მანამ, სანამ წვიმა მოდიოდა (სიტყვასიტყ. „კეთებისა იყო“) ბალახიც იზრდებოდა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

27. სხვა ბრუნვის ნიშნები

ბასკურის ბრუნება არ დაიყვანება მხოლოდ აქ წარმოდგენილ ბრუნვათა ფორმებზე, რომლებიც ძირითადად ესპანურის წინდებულების მნიშვნელობებს ემთხვევა. მაგალითად, ბასკურში არის სუფიქსი -t, რომელიც რიგ შემთხვევაში იმავე მნიშვნელობებს გამოხატავს, რასაც -ra სუფიქსი; გვაქვს აგრეთვე ელემენტი -no ან -ino, რომელიც დაერთვის ზემოაღნიშნულ -ra სუფიქსს და გვაძლევს -rano-, ან -raino-ს და ნიშნავს: „მდე; მანამ, სანამ“, მსგავსად ლათინურის usque-სი და ესპანურის hasta-სი. გარდა ამისა, გვაქვს აგრეთვე დატივის ნაირსახეობა, „დანიშნულებითი“: -entzat ან -entzako; განუსაზღვრელობითი, რომელიც ნიშნავს „(რაიმეს) მიმართულებით; -კენ“ და გამოიხატება თანდებულით -ontz, რომელიც დართულია -ra სუფიქსზე. „მოქმედის შინაარსის“ გადმოსაცემად იხმარება -gatik ელემენტი. ცნობილია აგრეთვე ორმაგი წარმოების შემდეგი ფორმა: აბლატივის -z პლუს ატრიბუტიული გენეტივის -ko, აღნიშნავს „მასალას“: მაგალითად, urrezko „ოქროსი“, arrizko „ქვისა“.

28. სულიერისა და უსულოს პროგლემა ბასკურ ბრუნებაში

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ ნათესაობითში სულიერი და უსულო სახელები გარჩეულია განსხვავებული დაბოლოებებით: ერთ შემთხვევაში გვაქვს -en, მეორეში — -ko. ლოკატივსა და დანიშნულებითშიც (მიმართულებითში) არის გარკვეული სუფიქსები, რომლებიც მხოლოდ სულიერ სახელებს დაერთვის. მაგალითად, Mariaren baithan „მარიამში“ (სიტყვასიტყვით: „მარიამის შიგნით“), aurren baithan „ბავშვებში, ბავშვებს შორის“; ან კიდევ: aurragan „ბავშვში“, Mariengan „მარიამში“. ამათგან განსხვავებით უსულო სახელთა ლოკატივის ფორმები იქნება: lurren „ხმელეთზე“, etxean „სახლში, შინ“. ზემოაღნიშნული მაგალითები ლოკატივს ან ინესივს წარმოადგენს. ახლა ავიღოთ დანიშნულების ფორმები: Mariaren baitharat „მარიამამდე“; Martingana „მარტინამდე“; ან კიდევ შემდეგი ფორმები, რომლებიც „ვინმესკენ მიმართულებას“ გამოხატავს: Mariaganontz „მარიამისაკენ“, aurraganontz „ბავშვისაკენ“.

ამ მაგალითების მნიშვნელობა მხოლოდ სულიერისა და უსულოს დაპირისპირებით არ ამოიწურება. არანაკლებ საყურადღებოა ის ფაქ-

ტი, რომ სულიერთა ჯგუფთან დაკავშირებულია რიგი ძველისძველი სახელები, რომელთა მნიშვნელობა, როგორც ჩანს, უფრო მეტად შეესაბამებოდა სულიერთა მნიშვნელობას, ვიდრე უსულოთა ჯგუფს. ამის მაგალითია baitha „სახლი“, რომელიც გვხვდება როგორც ბასკურის გიპუსკოურ დიალექტში, ასევე ჩრდილო იტალიის რომანულ დიალექტებში, ოკის მეტყველებაში (Langue d'Oc) და გასკონურში; ან კიდევ: ბასკური ელემენტი -ga, რომელიც იგივეა, რაც ლათინური ca, casa-ს სინკოპირებული ფორმა (ბონაპარტის მიხედვით; კავკასიური პარალელებიც აღნიშნულია). ამავე ხასიათისაა -en ელემენტიც, რომლის ნაცვალსახელური ღირებულება აშკარა გახდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ იგი მიმართებითის ფუნქციითაც იხმარება. ეს კი თითქოს ადასტურებს ა. ტოვარის თეზისს ამ გრამატიკული ელემენტის იბერიულ-ქამიტური წარმომავლობის შესახებ.

29. ზედსართავი სახელი — შეთანხმება, შედარება

შედარებით ცოტა გვაქვს სათქმელი ზედსართავის შესახებ. ბასკურში ბრუნების მნიშვნელობისა და ღირებულების განსაზღვრისათვის საინტერესოა აღინიშნოს, რომ არსებითი სახელისა და ატრიბუტიული ზედსართავის ან ზედსართავებისაგან შემდგარ კომპლექსში მხოლოდ ერთი სიტყვა დაირთავს ჩვეულებრივ რიცხვისა და ბრუნვის ნიშნებს: etxe handi huntan „ამ დიდ სახლში“. სულ სხვაგვარი ვითარებაა ლათინურის მგავს „ფლექსიურ“ ენებში; ბასკური რომ ლათინურს მისდევდეს, გვექნებოდა etxean handian huntan „in hac magna domo“. არის ისეთი მაგალითებიც, როდესაც ბრუნვის ნიშნები დაერთვის არსებით სახელსაც და ზედსართავსაც — ატრიბუტიულსაც და დეტერმინატიულსაც: ასეთ შემთხვევაში ემფატიკურ ხმარებასთან გვაქვს საქმე: etxean handian berean egoiten da „ისინი ცხოვრობენ იმავე დიდ სახლში“. აქვე უნდა აღინიშნოს ერთი მეტად საინტერესო ფაქტი — ბასკურში შემასმენელიც დაირთავს არტიკლს, რაც სრულიად უცხოა ჩვენი ენობრივი აზროვნებისათვის: ogi hau ona da „ეს პური კარგი (არტიკლი) არის“.

ბასკური ზედსართავის შედარებითი ხარისხები არ ემთხვევა ჩვენთვის ცნობილ ლათინურის ზედსართავის შედარებით ხარისხებს. ბასკურში პირველ რიგში ვხვდებით სიჭარბის აღნიშვნას: handiegi „ძალიან დიდი“, otzegi „ძალიან ცივი“. ამ -egi სუფიქსს უკავშირდება

ago-თი ნაწარმოები შედარებითი ხარისხის ფორმა. ბასკურში შედარებითი ფრაზა აიგება მიმართებითის მგავსად: ederrago loreak bano „უფრო ლამაზი, ვიდრე ყვავილები“, otzago elurra bano „უფრო ცივი, ვიდრე თოვლი“, ni baino tipiago da Joanes „იოანე ჩემზე პატარაა“. სიმცირის გამომხატველი შედარებითი ხარისხიც ასევე იწარმოება, ელემენტებით: gutxiago, gutiago (gutxi-საგან „პატარა, ცოტა, ნაკლები“). აბსოლუტური აღმატებითი ხარისხი იწარმოება -en-იანი გენეტივისაგან და, როგორც ამას შუხარდტი ფიქრობდა, წარმომავლობით აშკარად უკავშირდება სემიტური აღმატებითის ტიპს: „წმიდათა წმიდა“, „ქებათა ქება“, ფრაზის პირველი ელემენტის რიცხვის გამოტოვებით. მაგალითად, gizonen andiena „კაცთაგან უდიდესი“.

30. რიცხვითი სახელი

ბასკური რიცხვითი სახელების განხილვა აშკარას ხდის მათს არსებითად ნარევ წარმომავლობას. ბასკურ რიცხვით სახელთა სისტემა გარკვეულ სიახლოვეს ამჟღავნებს სხვა ენების რიცხვით სახელებთან და განსხვავებული წარმომავლობის ელემენტთა შეერთების შედეგადაა მიღებული. ზოგი რიცხვითი სახელი აფრიკული წარმომავლობისა უნდა იყოს. მაგალითად, bost „ხუთი“ პოკორნის მიხედვით ბერბერულის afust-ს („მუშტი, მუჭი“) უკავშირდება.

ზოგ დიალექტში ოდნავ შეიცვალა „თვრამეტისა“ და „ცხრამეტის“ გახმოვანება და მივიღეთ: emezortzi და emeretzi. ბასკური თვლის სისტემა მისდევს ძველისძველს, რომელიც წინარეისტორიულ დასავლეთში იყო გაბატონებული: იგი ოცობითია—„ოცი“ წარმოადგენს თვლის საფუძველს და არა „ათი“, რაც ინდოევროპული ენებისათვის ბუნებრივი გახდა რომაული ხანის შემდეგ. ოცობითი სისტემა წარმოდგენილია ირლანდიურში. იგი ფრანგულშიაც არის შემორჩენილი ისეთ წარმოებებში, როგორიცაა quatre-vingt „ოთხმოცი“, სიტყვასიტყვით: „ოთხი-ოცი“. ბასკურში „ოცი“ არის ogei, „ოცდაათი“ — ogeitomar („ოცი და ათი“), „ოცდათერთმეტი“ — ogeitamaika და ა. შ. „ორმოცი“ არის berrogei, „ორმოცდაათი“ — berrogei eta amar, „სამოცი“ — irurogei. „ასის“ აღმნიშვნელი სიტყვაა eun, „ათასისა“ — milla (აშკარად ნასესხებია). რიგობითი რიცხვითი სახელები იწარმოება რაოდენობითებისაგან მათზე მხოლოდ -garren დაბოლოების დართვით. მაგალითად, bigarren „მეორე“, bost-

garren, boskarren „მეხუთე“ და ა. შ. „პირველი“ იწარმოება არა რიცხვითი სახელისაგან, არამედ len ან lehen ზმნიზედისაგან. თუმცა რთული რიცხვითი სახელების: amaikargarren „მეთერთმეტე“, ogeitabatgarren „ოცდამეერთე“ და მისთ. ფორმებში წარმოდგენილია ჩვეულებრივი წარმოების რიგობითი რიცხვითი სახელი „ერთი“-საგან.

31. პირის ნაცვალსახელი

ბასკურში საკმაოდ რთულია პირის ნაცვალსახელის საკითხი. ზმნის მრავალფეროვანი ფორმები მოითხოვს პირის ნაცვალსახელთა ფორმების ჩართვას — ზოგჯერ ეს ნაცვალსახელები ისეა შეცვლილი, რომ მათი ცნობა თითქმის შეუძლებელია. ზმნაში ჩართული ეს ელემენტები ასრულებენ მოქმედის, ობიექტის, მიცემითის, მიმართებითი ანუ ზრდილობიანი მიცემითის ფუნქციას და აგრეთვე ბევრ სხვა აზრობრივ ნიუანსს, რომელსაც მოლაპარაკე ან მსმენელი გამოყოფს ზმნაში. წინამდებარე პარაგრაფში ჩვენ მხოლოდ პირის ნაცვალსახელთა დამოუკიდებელი ფორმების განხილვით შემოვიფარგლებით. ეს უკანასკნელნი ისეთსავე თანდებულებს დაირთავენ, როგორსაც არსებითი სახელები. პირველი პირის მხოლოობითი რიცხვის ნაცვალსახელს წარმოადგენს ni (neu — ბისკაიურში). შესაბამისი მრავლობითი არის gu (ბისკაიური geu). მეორე პირის მხოლოობითი რიცხვის ნაცვალსახელის ფორმაა i გიპუსკოურში, hi—ლაბურდულსა და სულეტურში, eu — ბისკაიურში. Zu მეორე პირის ზრდილობიან ფორმას წარმოადგენს, მეორე პირის მრავლობითი რიცხვის ნაცვალსახელი კი არის zuek.

სინამდვილეში კი zuek ფორმა (სულეტურში — zeu) და მისი შემცველი ზმნური ფორმებიც წარმოადგენს ზრდილობიან მიმართვას, სადაც ძველი მრავლობითის ფორმა zu „თქვენ“ იხმარება მხოლოობითის მნიშვნელობით. ამ შემთხვევაში ბასკურზე გავლენა იქონია მეზობელმა რომანულმა ენებმა. ამავე გავლენას უნდა მივაწეროთ ბასკურში უფრო ფორმალური, მოწიწებითი მიმართვის ფორმების გაჩენა, როდესაც ზმნასთან იყენებენ berori ფორმას (ზმნა მესამე პირის მხოლოობით რიცხვშია), რაც შეესაბამება ესპანურის ზრდილობიან მიმართვას: vuestra merced (შემოკლებული ფორმით: usted) ან ფრანგულის votre seigneurie-ს „თქვენო მოწყალებავ“.

პირის ნაცვალსახელთა ემფატიკური ფორმები ჩვენებითი ელემენტების დართვით იწარმოება. მაგალითად, გიპუსკოურსა და ბისკაიურში — nerau, ლაბურდულში — neroni „მე თვითონ"; გიპუსკოურსა და ბისკაიურში — gerok, ლაბურდულში — geroni „ჩვენ თვითონ"; berori „შენ თვითონ"; zerok „თქვენ თვითონ"; bera „ის თვითონ"; berak „ისინი თვითონ".

32. კუთვნილებითი ნაცვალსახელები

კუთვნილებითი ნაცვალსახელების ხმარება ბასკურში უფრო შეზღუდულია, ვიდრე რომანულ ენებში, რადგანაც ამ ნაცვალსახელებზე მითითება თვით ზმნაშია ჩართული. ბუნებრივია, რომ კუთვნილებითი ნაცვალსახელების ფორმები მჭიდროდ უკავშირდება არსებითი სახელების -en-იან გენეტივს და ამასთანავე შეესაბამება პირის ნაცვალსახელებს. მაგალითად, ene ან nere, neure შეესაბამება პირველი პირის მხოლოობით რიცხვს; gure, geure — პირველი პირის მრავლობით რიცხვს; ire, hire, eure — მეორე პირის მხოლოობით რიცხვს შინაურული მიმართვის ფორმებში; zure, zeure — ზრდილობიანი მიმართვის ფორმებში; zuen — მეორე პირის მრავლობით რიცხვს; მესამე პირის მხოლოობითისა და მრავლობითის კუთვნილებითი ფორმაც (bere) ნაცვალსახელური ძირისაგან მომდინარეობს. მეორე მხრივ გვაქვს: aren — გენეტივის ფორმა, ნაწარმოები ძველი ჩვენებითისაგან (h)ar; ეს უკანასკნელი ახლა აღარ იხმარება და თავს იჩენს მხოლოდ არტიკლის -a-ში. ეს ორი ფორმა bere და aren პარალელურია, ისევე როგორც ლათინურის suus და eius. პირველი მათგანი აღნიშნავს სუბიექტს, მეორე — არასუბიექტს.

33. ჩვენებითი ნაცვალსახელები; არტიკლი

ჩვენებით ნაცვალსახელთა სისტემა ბასკურში შეესაბამება ჩვენთვის ცნობილი ლათინურის სამობით სისტემას: hic, iste, ille („ეს, ეგ, ის") ბასკურში გვაქვს შესაბამისად au ან haur „ეს", ori ან hori „ეგ", ura ან hura „ის". ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ ამ ნაცვალსახელთა ბრუნებაში სხვადასხვა სუფიქსებთან ხმარებული ფუძეები არ ემთხვევა ნომინატივის, მხოლოობითი რიცხვის ფუძეს. მაგალითად, on- ან hun- წარმოადგენს ამოსავალს au-სათ-

ვის (haur); orr- — ori-სათვის (hori); ar- ან har- — ura-სათვის (hura). Hura-ს მრავლობითი განსხვავდება დიალექტების მიხედვით. ლაბურდულში გვაქვს hek, სულეტურში — hurak (ირიბ ბრუნვებში— hai-), ბისკაიურში — aiek, გიპუსკოურში — ayek.

ბასკური არტიკლი, რომელსაც მიიჩნევდნენ ისეთივე წარმომავლობის ფორმად, როგორიცაა რომანული არტიკლი (კერძოდ, ლათინური ille-საგან), უთუოდ მომდინარეობს ჩვენებითი ნაცვალსახელისაგან a, ar, რაც ნიშნავს „ის". ეუფონიკური r სხვა არაფერია, თუ არა იმავე ტიპის აღდგენილი ბგერა, როგორიცაა ლათინური ბოლოკიდური t ფრანგულ ფრაზაში a-t-il „აქვს მას?" შდრ.: il a „მას აქვს". ბასკურში შეიმჩნევა აგრეთვე კვალი სხვა არტიკლისა — -or, რაც თავს იჩენს ისეთ ფორმებში, როგორიცაა gaztenor ნაცვლად gaztena-სი „ახალგაზრდობა".

34. უკუქცევითი ნაცვალსახელები; განუსაზღვრელი ნაცვალსახელები; კითხვითი ნაცვალსახელები

უკუქცევითი ნაცვალსახელია ბასკურში alkar, ვარიანტებით: elgar და arkal. ულენბეკის აზრით, ამ ნაცვალსახელისათვის ამოსავალს წარმოადგენს „ჩვენებითი ნაცვალსახელის ერგატიული ფორმის — ark-ar-ის (სავარაუდო ფორმაა) დისიმილაციური ვარიანტი".

განუსაზღვრელ ნაცვალსახელებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ბასკურ გრამატიკაში. მაგალითად, bat-ს „ერთი" აქვს მრავლობითის განუსაზღვრელი ფორმა batzu „(ზოგი)ერთნი" (მსგავსად ფრანგულის unes-ისა და ესპანურის unos-ისა). იგი დაირთავს ბრუნვის სუფიქსებს. Bat-ისაგანაა ნაწარმოები კითხვითი zeinbat, zembat, zombat „რამდენი?" ამასთანავე zembait წარმოადგენს განუსაზღვრელ ფორმას, ნიშნავს „ზოგნი (ადამიანთა მიმართ)". იგივე იხმარება საგნების მიმართაც, მნიშვნელობით: „რამე". „რაღაც". პიროვნებისათვის იხმარება აგრეთვე ფორმა norbait „ვინმე". კითხვითი ნაცვალსახელებია: nor „ვინ?" და zer „რა?" ამ უკანასკნელისაგან ნაწარმოები ფორმაა zein, სავარაუდო zeren-ისაგან და ნიშნავს: „როგორი?", „რანაირი?" ეს კითხვითი ნაცვალსახელები ამავე დროს განუსაზღვრელებსაც წარმოადგენენ, როგორც ეს რომანულ ენებშია. გვაქვს აგრეთვე ფორმები nehor და inor, ნიშნავს: „არავინ, არც ერთი". აქ, როგორც ჩანს, nor ნაცვალსახელზე (კითხვითი, გა-

ნუსაზღვრელი) მხოლოდ უარყოფითი ელემენტის დართვით ნაწარმოებ ფორმასთან გვაქვს საქმე.

„ყველა“-ს, „ყველაფრის“ გამოსახატავად ბასკურში სხვადასხვა ფორმები გვაქვს: oro ან oso, guzti ან guzi; და კიდევ dana ან dena, რომელიც შედგება ზმნური ფორმისაგან da, მიმართებითი n-სა და -a არტიკლისაგან: იგი შეიძლება ითარგმნოს, როგორც: „ის, რაც არის — ყველა“. განუსაზღვრელი „სხვა“ გამოიხატება ფორმებით beste, ლაბურდულში — bertze (ისეთივე დიალექტური სხვაობაა, როგორიც შემდეგს მაგალითებში: bost და bortz „ხუთი“, ostegun და ortzegun „ხუთშაბათი“). „ამდენი“ გამოიხატება ფორმებით ain ან bain; გვაქვს აგრეთვე რთული წარმოების ainbeste. უკვე აღვნიშნეთ, რომ კუთვნილებითი ნაცვალსახელი bere შეესაბამება ლათინურის suus-ს. ნაცვალსახელი bere იგივეობის გამომხატველი ნაცვალსახელის ფუნქციითაც იხმარება და ამ შემთხვევაში ითარგმნება, როგორც „იგივე“.

35. ზოგადი ცნობები ზმნის შესახებ

ზმნა ბასკური გრამატიკის ყველაზე უფრო რთულსა და თავისებურ პრობლემას წარმოადგენს. რიგი თვისების მიხედვით იგი კავკასიური ენების გრამატიკის შესაბამის საკითხებს ემთხვევა, თუმცა თვით ამ ენათა შედარებითი შესწავლა არ არის საბოლოოდ დასრულებული და ეს აძნელებს უფრო ზუსტი დასკვნების გამოტანას.

ბასკური ზმნის ბუნების გაგებაში დაგვეხმარება ორი გარემოების გათვალისწინება: პირველი: ბასკური ზმნა აშკარად სახელური ბუნებისაა და ეს განაპირობებს მის პასიურ ხასიათს; მეორე: ზმნის ფორმაში ჩაერთვის არა მარტო მოქმედის გამომხატველი ნაცვალსახელი, როგორც ეს ინდოევროპულ, სემიტურსა და სხვა ენებში გვაქვს, არამედ ობიექტის ნიშანიც, დამატების გამომხატველი ნაცვალსახელიც, არაპირდაპირი ობიექტის (მიცემითში დასმული სახელის) ნიშანიც და მიცემითში დასმული ზრდილობიანი მიმართვის მეორე პირის აღმნიშვნელი აფიქსიც, რითაც გამოიხატება მიმართვა მსმენელისადმი. ეს არის ბასკური ზმნის ყველაზე არსებითი თვისებები, რომელთა არსებობა განაპირობებს ბასკური ზმნის გასაოცარ სირთულეს. ეს სირთულე იმდენად დიდია, რომ

მის თავიდან ასაცილებლად თვითონ ბასკურში ამ უკანასკნელ ხანებში ჩაისახა ტენდენცია ზმნის ფორმათა გამარტივებისაკენ, რიგ ზმნათა ორიგინალური და სრული უღვლილების შეკვეცის გზით. ბასკური ენის ისტორიის გამოკვლევები, როგორიცაა, მაგალითად, ლაფონის შრომები, ადასტურებს, რომ უკვე მეთექვსმეტე საუკუნეში, როგორც ეს შესაბამისი ტექსტების მონაცემებიდან ირკვევა, მხოლოდ სამოც ზმნას ჰქონდა სრული უღვლილება. თანამედროვე დიალექტების მონაცემების მიხედვით კი ამგვარ ზმნათა რიცხვი კიდევ უფრო შემცირებულია. მაგალითად, ეჩაიდე თავის წიგნში გიპუსკოური ზმნის შესახებ ასახელებს ოცდაათზე ცოტა მეტ სრული უღვლილების მქონე ზმნას. მართალია, სხვადასხვა დიალექტებში განსხვავებული ვითარებაა წარმოდგენილი, მაგრამ ყველა დიალექტის მონაცემები ერთნაირ სურათს გვიქმნის, ერთი მხრივ, ბასკურში სრული უღვლილების (ანუ „ძლიერი" ფორმების, როგორც მათ სხვაგვარად უწოდებენ) შეკვეცის ძლიერი ტენდენციისა და, მეორე მხრივ, ბასკური ენის განვითარების გასაოცრად ნელი ტემპის შესახებ, რასაც ამ მეტად კონსერვატიული ენის ყოველი ფაქტი ადასტურებს.

36. ბასკური ზმნის პასიურობა

ზღვა მელანი დაიხარჯა ბასკური გარდამავალი ზმნის „პასიურობის" მტკიცებაში, რადგანაც არასწორად მიმართული ეროვნული სულისკვეთების გამო ბასკი მკვლევრები არ ცნობდნენ ამ ფაქტს, რომელიც, ამასთანავე, მათი ენობრივი ალღოს მონაცემებსაც ეწინააღმდეგებოდა. ჩვეულებრივი მოლაპარაკე მართლაც ვერ აღიქვამს ბასკური ზმნის პასიურ ხასიათს, თუმცა მისი პასიური წარმომავლობა უდავოა და ასევე ნათელია მოქმედის აღმნიშვნელი ერგატიული სუფიქსის დანიშნულებაც. პირველად ცნობილმა ენათმეცნიერმა ფრიდრიხ მიულერმა აღნიშნა ბასკური ზმნის პასიურობა. შემდეგ ეს შუხარდტმაც დაადასტურა თავის ცნობილ ზოგად შრომაში ზმნის შესახებ. შუხარდტის გამოკვლევების შედეგად ამ პრობლემასთან დაკავშირებულ ბევრ საკითხს მოეფინა ნათელი, რამაც გაუადვილა მათი შესწავლა შემდგომი თაობის მკვლევრებს.

თუ ზმნის პასიურობის თვალსაზრისს გავიზიარებთ, მაშინ ად-

ვილი გასაგები გახდება, რატომ განსხვავდება სახელური და გარდაუვალი ზმნის უღვლილება გარდამავალი ზმნის უღვლილებისაგან. მაგალითად, emen naiz „მე ვარ აქ“ მასში გამოხატული გრამატიკული ნიუანსების მიხედვით განსხვავდება dakusat-ისაგან „მე ვხედავ მას“; naiz-ში n- გამოხატავს პირველ პირს, მაშინ როდესაც ამავე პირში მდგარ მოქმედს dakusat ფორმაში -t გამოხატავს. ამრიგად, განსხვავებული ნიშნების არსებობა იმისათვის, რაც ინდოევროპულ ენებზე მოლაპარაკეთა თვალსაზრისით ერთსა და იმავე კატეგორიას წარმოადგენს, ქმნის ერთ-ერთ სიძნელეს ბასკური ზმნის შესწავლაში. ზმნის პასიური ღირებულების მაჩვენებელია ისიც, რომ სახელზმნა (the verbal noun) შეიძლება ვიხმაროთ ინფინიტივის ან მიმღეობის მნიშვნელობით. მაგალითად, izan ნიშნავს „ყოფნას“ და „ნამყოფს“, egin — „კეთებას“ და „გაკეთებულს“, etorri — „მოსვლას“ და „მოსულს“. ეს ამოსავალი სახელური ფორმა ჩვეულებრივ დაირთავს პროთეტულ ხმოვანს — ძირითადად e-ს, ზოგჯერ i-ს და ხანდახან სხვა ხმოვნებსაც.

ბევრი მკვლევარი ასეთ ფორმებს „ზმნურ ფუძეს“ (radical) უწოდებს. მაგალითად, eldu-სა ან artu-ში გვაქვს წმინდა ფუძეები: el და ar. დაბოლოება -tu მომდინარეობს ლათინური მიმღეობის -tus-ისაგან, ხოლო პროთეტული ხმოვანი, შუხარდტის თანახმად, შეიძლება ჩაითვალოს არტიკლად, როგორც ეს გვაქვს ბერბერულსა და სხვა ქამიტურ-სემიტურ ენებში. ლაფონი ამ ელემენტს ადარებს ქართულ i-ს, რომელიც ამავე ფუნქციით იხმარება; ლაფონის გამოკვლევაში გახაზულია ზმნური ფუძის სახელური ბუნება და აღნიშნულია, რომ ეს ფორმა ხშირად ირევა მიმღეობასთან.

87. ზმნები IZAN და EUKI

ზმნის შესახებ მსჯელობას დავიწყებთ მეშველი ზმნებით. ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ izan უდრის „ყოფნას“, როდესაც იგი გარდაუვალ ზმნასთან არის ნახმარი მეშველ ზმნად, ხოლო euki ან ukhan კი ნიშნავს; „ქონა, ყოლა“, როდესაც იგი გარდამავალ ზმნასთან მოგვევლინება მეშველ ზმნად. თუმცა ფაქტობრივად ორივე ეს ფორმა ერთ ზმნას წარმოადგენს. რიგ შემთხვევაში ისინი აშკარად ემთხვევა ერთმანეთს ისეთ კონსტრუქციებში, როგორიცაა ნაცვალსახელური პირდაპირობიექტიანი და ზრდილობიანი მიცემითის შემ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცველი (გარდამავალი) ზმნური ფორმები. მაგალითად, nuzu „თქვენ (მრ.) გყავართ ჩვენ“ ფორმით ემთხვევა nuzu-ს „მე ვარ თქვენთვის“ (გარდაუვალი); nuk „თქვენ (ზრდილობიანი ფორმა) გყავართ ჩვენ“ ზუსტად ემთხვევა nuk ფორმას „მე ვარ შენთვის“. გამოდის, რომ ნაცვალსახელური ობიექტის შემცველი euki ზმნის ფორმები და აგრეთვე სუბიექტისა და მოქმედის შემცველი პასიური შინაარსის მქონე კონსტრუქციები იგივეა, რაც მიმართვის ფორმის ან ზრდილობიანი მიცემითის შემცველი ფორმები izan ზმნისა. ავიღოთ კიდევ ასეთი მაგალითი: Nor zaitut, nere semea? „ვინ ხარ შენ ჩემთვის, ჩემო შვილო?“. ეს იგივეა, რაც: „ვინ მყავხარ შენ მე, ჩემო შვილო?“

მიუხედავად ამისა, izan და euki უკვე დიდი ხანია, რაც ცალ-ცალკე განვითარების გზას ადგანან და დღეს უკვე ჩვენი ენობრივი ცნობიერებისათვისაც აღარ წარმოადგენენ „იდენტურ“ ფორმებს. თუმცა ჰეშმარიტი ენათმეცნიერული ანალიზი ნათელს ხდის მათს საერთო წარმომავლობას.

ახლა მაგალითისათვის ავიღოთ euki ზმნა და გავაანალიზოთ ამ მეშველ ზმნაში ჩართული სხვადასხვა ნაცვალსახელური ელემენტები, რომლებიც გამოხატავენ გრამატიკულ მიმართებებს: სუბიექტის, ობიექტის, „წმინდა“ მიცემითის, „ზრდილობიანი“ მიცემითის ნიშნები და რიცხვისა და სქესის აღნიშვნა (სქესი გაირჩევა ზრდილობიან მიცემითში). ამ თვისებების კვალი ინდოევროპულშიაც შეიმჩნევა; მაგალითად, ზმნის ორიენტაცია, რომელიც უბრალოდ ნაცვალსახელური სუბიექტის ნიშნის დართვით გამოიხატება. ცნობილი ფილოლოგი ფრანც ბოპი უთუოდ მართალი იყო, როდესაც ნაცვალსახელებთან აიგივებდა ინდოევროპულში ზმნის დაბოლოებებს: -mi, -si, -ti, -men, -ten, -nti, რაც ზმნის სუბიექტს შეესაბამება. შედარებით ახალია კრეჩმარის თეორია, რომელშიც ბერძნულის გარდაუვალი ἔστην esten და გარდამავალი ἔστησα estesa ფორმების დაპირისპირების საფუძველზე გარდამავალი ფორმის ბოლოკიდური sa ობიექტის ნიშნად არის მიჩნეული.

მსგავსი ვითარება ლათინურშიაც შეიმჩნევა: fê-cì და გერმანულშიც: kun-tha. ეს თეორია სარწმუნო ჩანს და ამასთანავე გვეხმარება პირველი ნაბიჯები გადავდგათ ბასკური ზმნის ურთულესი ბუნების გაგებისაკენ. ბასკური ზმნის სირთულე კი ძირითადად იმაში მდგომარეობს, რომ ზმნის ფორმაში არ არის მოცემული ობიექტებისაგან დამოუკიდებელი აბსტრაქტული, წმინდა ზმნური იდეა. მაგალითად, det ფორმაში არ დაიყვანება „მე“-სა და „ქონა“-ს მნიშვნელობათა

ჯამზე, რამდენადაც თავის თავში შეიცავს ობიექტსაც და ნიშნავს: „მე მაქვს ის“. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბასკურში არ არსებობს ცალკე ზმნური ფორმა ობიექტის გარეშე. ასეთივე ვითარებაა სხვა ენებშიაც, მაგალითად, ინგლისურშიაც ვერ ვიტყვით უბრალოდ he has, უნდა დავუმატოთ ისიც, რაც „მას აქვს“. ფრანგულშიაც aime, aimes, aime, aiment „მიყვარს, გიყვარს, უყვარს, უყვართ“ ფორმების ხმარება მოითხოვს შესაბამის ფრაზაში ობიექტის აღნიშვნას. მაგრამ საგულისხმოა, რომ, ბასკურისაგან განსხვავებით, არც ინგლისურში, არც ფრანგულში და არც ესპანურში ობიექტის აღნიშვნა შიგ ზმნის ფორმაში არ ხდება. ახლა დავუბრუნეთ ისევ ბასკურს და მაგალითისათვის გავაანალიზოთ ლაბურდული დიალექტის d-u-t „მე მაქვს ის“. ეს ფორმა შედგება ობიექტის აღმნიშვნელი d-საგან, რაც ნიშნავს „ის“, მოქმედის -t-საგან, რაც ნიშნავს „მე“ და მეშველი ზმნის ფუძისაგან, რომელიც წარმოდგენილია -u ელემენტით. თუკი ობიექტის მრავლობითობის -it ნიშანიც ჩაერთვება ზმნაში, მაშინ მივიღებთ ფორმას: d-it-u-t „მე მაქვს ისინი“. ამრიგად, როგორც ვხედავთ, ბასკურ ზმნაში ერთდროულად შეიძლება გამოიხატოს სუბიექტიცა და ობიექტიც.

38. „ჩვეულებრივი“ მიცემითის შემცველი გარდამავალი ზმნური ფორმები

უფრო მატად ართულებს ბასკური ზმნის ფორმებს მათში მიცემითის აღმნიშვნელი ელემენტების ჩართვა. ჩვენ აქ მხოლოდ ლაბურდული დიალექტის მონაცემებით შემოვიფარგლებით. მაგალითად, უკვე აღნიშნული ფორმები dut და ditut, ჩაირთავენ რა მიცემითის მნიშვნელობას „მას, მისთვის“, გვაძლევენ ფორმებს: diot „მე მაქვს ის მისთვის“ და მრავლობითში di-zkiot „მე მაქვს ისინი მისთვის“. თუ თვით მიცემითის ფორმაა მრავლობითში, გვექნება diotet „მე მაქვს ის მათთვის“ და dizkiotet „მე მაქვს ისინი მათთვის“. ამ ფორმათა ანალიზის შედეგად დავინახავთ, რომ ელემენტების დართვა მექანიკურად კი არ ხდება, არამედ გარკვეული სისტემის მიხედვით ხორციელდება. ზოგი ელემენტის დართვა იწვევს სხვა ნიშნების გაქრობას, ზოგი კი უბრალოდ დაერთვის სხვა ნიშნების შემცველ ფორმას.

მაგალითებიდან ჩანს, რომ ყოველი გრამატიკული კატეგორია განსაკუთრებული ნიშნით არის გამოხატული. მაგალითად, ზმნური

ძირი d-u-t, d-it-u-t ფორმებში წარმოდგენილია u ელემენტით, მიცემითის შემცველ ფორმებში კი იგი არა გვაქვს. მიცემითიან ფორმებში -kio ელემენტი გამოხატავს მიცემითში მდგარი ობიექტის მესამე პირს და d-io-t, d-io-tet ფორმებში მოგვევლინება რედუცირებული ფორმით, k-ს გარეშე (ეს უკანასკნელი ბასკურში იკარგვის ხმოვნებს შორის).

მეტად მრავალრიცხოვანია ბასკურში მრავლობითის ნიშნები. მაგალითად, -iz აღნიშნავს ობიექტის მრავლობითს, მაშინ როდესაც მიცემითში დასმული ობიექტის მრავლობითის ნიშანია -te; დატივის ამოსავალი მრავლობითის ნიშანია -kiote, რომელიც მოგვევლინება რედუცირებული -ie ფორმით, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ. აფიქსთა ამგვარი სიმრავლე ზმნის ფორმათა ანალიზს აძნელებს და ამასთანავე მიგვანიშნებს იმაზე, რომ ბასკური ზმნა ერთიან სისტემაში აერთიანებს ჰეტეროგენული წარმომავლობის მასალას. ამიტომ ზოგჯერ მეტად რთულია ზმნურ ფორმაში გამოვყოთ ეს აფიქსები, განსაკუთრებით როცა ისინი ზრდილობიანი მიცემითის ნიშანთან ერთადაა ნახმარი.

39. ზრდილობიანი მიცემითის შემცველი ფორმები

სუბიექტის, ობიექტის და ზრდილობიანი მიცემითის გამოსახატავად ერთსა და იმავე ზმნურ ფორმაში შეიძლება ჩაერთოს მეორე პირის მხოლოობითი რიცხვის ნიშანი, მამრობითის ან მდედრობითისა. მაგალითად, dut-სა და didut-ს შეესაბამება: diat „მე მაქვს ის შენთვის (მამრობითი, მხოლოობითი)“, ნაწარმოები სავარაუდო d-ik-at ფორმისაგან (k დაიკარგა ხმოვნებს შორის); dinat „მე მაქვს ის შენთვის (მდედრობითი, მხოლოობითი)“; dit-ia-t „მე მაქვს ისინი შენთვის (მამრობითი, მხოლოობითი)“; d-it-ina-t „მე მაქვს ისინი შენთვის (მდედრობითი, მხოლოობითი)“. გიპუსკოურში diot-სა და dizkiot-ს შეესაბამება: z-io-ka-t „რომ მე მაქვს ის მისთვის (მამრობითი, მიმართვა)“, zionat — იგივე (მდედრობითი სქესისადმი მიმართვის ფორმა); მრავლობითში გვაქვს: z-iz-kio-ka-t და z-iz-kio-na-t. ხოლო diotet და dizkiotet ფორმებს გიპუსკოურში შეესაბამება z-io-te-kat და z-io-te-na-t.[1]

---

[1] დიალექტური მასალის შედარების საფუძველზე შესაძლებლობა გვეძლევა დავადგინოთ ის ელემენტები, რომლებიც შეადგენენ თითოეულ ფორმას. ზრდილობიანი მიცემითის მამრობითი სქესის -k, რომელიც იკარგება diat ფორმაში, აღდგება გიპუსკოურის zetikat-ში „მე მაქვს ისინი მისთვის“ (მამრობითი, მხოლოობითი), შდრ. ლაბურდულის ditiat, რომელზეც ზემოთ იყო საუბარი.

40. ზმნური ფორმის ზოგი სხვა აფიქსის ანალიზი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრამატიკულ ნიშანთა ღრმა ანალიზი გვიჩვენებს, რომ გარკვეული ფორმების თვალსაზრისით სრული პარალელიზმია გიპუსკოურსა და ლაბურდულ დიალექტებს შორის. მაგალითად, ორსავე დიალექტში -t წარმოადგენს მოქმედის ნიშანს პირველი პირის მხოლობითი რიცხვისათვის, -(k)io აღნიშნავს ჩვეულებრივს მიცემითს, -(k)iote- ამავე მიცემითის მრავლობითის აფიქსია, d- აღნიშნავს მოქმედების საგანს, dit- იმავე ფორმის მრავლობითის ნიშანია (და რიგ შემთხვევაში იგი იქცევა z-დ ან ziz -ად), -(k)a- და -na- აღნიშნავს შესაბამისად სქესსა და რიცხვს იმ პირისა, ვისაც მიმართავენ. ეს ვითარება იცვლება, როდესაც აწმყო დროიდან ნამყოზე გადავდივართ. აქ უკვე მოქმედის ნიშნები სუფიქსებს კი არ წარმოადგენენ, არამედ პრეფიქსებად მოგვევლინებიან. მაგალითად, პირველ პირში -t-ს ნაცვლად გვაქვს n-. თვით ფორმები კი შემდეგ სახეს იღებს: n-u-en „მე მქონდა ის“, n-it-u-en „მე მქონდა ისინი“, n-io-n „მე მქონდა ის მისთვის“, n-iz-kio-n „მე მქონდა ისინი მისთვის“, n-iote-n „მე მქონდა ის მათთვის“, n-iz-kiote-n „მე მქონდა ისინი მათთვის“. მიმართვის ფორმებთან ერთად კი იქნება: n-ika-n „მე მქონდა ის შენთვის (მამრობითი)“, n-ina-n „მე მქონდა ის შენთვის (მდედრობითი)“, n-it-u-ka-n „მე მქონდა ისინი შენთვის (მამრობითი)“, n-it-u-na-n „მე მქონდა ისინი შენთვის (მდედრობითი)“. ასევე: n-io-ka-n, n-io-na-n „რომ მე მქონდა ის მისთვის (მამრობითი და მდედრობითი მიმართვის ფორმები, შესაბამისად)“; n-iz-kio-ku-n, n-iz-kio-nu-n „რომ მე მქონდა ისინი მისთვის“, n-iote-ka-n, n-iote-na-n „რომ მე მქონდა ის მათთვის“, n-iz-kie-ka-n, n-iz-kie-na-n „რომ მე მქონდა ისინი მათთვის“.

41. სხვადასხვა ნიშანთა თანაარსებობა

როგორც აღვნიშნეთ, თუ ზმნაში დიდი რაოდენობით განსხვავებული აფიქსები იყრის თავს, მათი გამარტივება ხდება გარკვეულ ფორმანტთა რედუქციის ხარჯზე. მაგალითად, -kiote გვაძლევს -kie-ს, როგორც ეს წინა პარაგრაფის ბოლო მაგალითში გვქონდა. მიცემითის -io-ს გამოდევნის ზმნის ძირისეული u (ეს უკანასკნელი წარმოდგენილია ისეთ ფორმებში, როგორიცაა: d-u-t ან n-u-en). ასეთივე სახის მონაცვლეობასთან გვაქვს საქმე, როდესაც -(k)a ან -ina მოგვევლი-

ქართული თარგმანი	ბისკაიური	გიპუსკოური	ლაბურდული	სულეტური
მას ვყავარ მე	nau	nau	nau	nai
მას ჰყავხარ შენ	მამრ. au მდედრ. auna	au	hau	ai
მას ჰყავხარ შენ შენთვის	zaituz	zaitu	zaitu	zutu
მას ჰყავს ის	dau	du	du	du
მას ვყავართ ჩვენ	gaituz	gaitu	gaitu	gütü
მას ჰყავხართ თქვენ (მრ.)	zaitubez	zaituzte	zaituzte	zütie
მას ჰყვანან ისინი	dituz	ditu	ditu	dütü
მას ჰყავს ის ჩემთვის	deust	dit	daut	deit
მას ჰყვანან ისინი ჩემთვის	deustaz	dizkit	dauzkit	deizt
მას ჰყავს ის შენთვის	მამრ. deuba მდედრ. deuna	მამრ. dikik მდედრ. dikin	მამრ. dauk მდედრ. daun	მამრ. deik მდედრ. dein
მას ჰყვანან ისინი შენთვის	მამრ. deubaz მდედრ. deunaz	მამრ. dizkik მდედრ. dizkin	მამრ. dauzkik მდედრ. dauzkin	მამრ. deitzak მდედრ. deitzan
მას ჰყავს ის თქვენთვის (მხ.)	deutsu	dizu	dautzu	deizu
მას ჰყვანან ისინი თქვენთვის (მხ.)	deutsuz	dizkizu	dauzkitzu	deitzu
მას ჰყავს ის თავისთვის	deutsa	dio	dio	deyo
მას ჰყვანან ისინი თავისთვის	deutsaz	dizkio	diotza	deitzo
მას ჰყავს ის ჩვენთვის	deusku	digu	dauku	deiku
მას ჰყვანან ისინი ჩვენთვის	deuskuz	dizkigu	dauzkigu	deizku
მას ჰყავს ის თქვენთვის (მრ.)	deutsube	dizute	dautzue	deizie
მას ჰყვანან ისინი თქვენთვის (მრ.)	deutsubez	dizkizute	dauzkitzue	deitzie
მას ჰყავს ის მათთვის	deutse	diote	diote	deye
მას ჰყვანან ისინი მათთვის	deutsez	dizkiote	diotzate	deitze

ამ ფორმებს უნდა დაემატოს აგრეთვე ზრდილობიანი მიცემითის შემცველი ფორმებიც მამრობითსა და მდედრობითში ყოველი უღვლილებისათვის, ყველა დროსა და კილოში.

ნება diat ან dinat ფორმებში. ამ რთული პროცესების გარდა მოქმედებს აგრეთვე ბგერათა ჰარმონიის კანონი, რომელიც თავის მხრივ გარკვეულ ცვლილებებს იწვევს ზმნურ ფორმებში. მაგალითად, ამ კანონის თანახმად: -it იქცევა -iz-ად, -kio — -io-დ, -ika — -ia-დ. ბასკურში განსხვავებული ელემენტების ზმნურ ფორმებში განაწილება ისეა მოწესრიგებული, რომ ამ ელემენტთა თავმოყრა არასოდეს არ აბნელებს ფორმათა მნიშვნელობას.

ბასკური ზმნის შემადგენელი განსხვავებული ელემენტების მეტად თვალსაჩინო სურათია მოცემული ბასკური ზმნის ფერად დიაგრამაში, რომელიც ლუი ლუსიენ ბონაპარტმა შეადგინა. ზმნური ელემენტების გარკვევაში დიდი წვლილი მიუძღვის აგრეთვე შუხარდტსაც.

42. თითოეული დროის ფორმათა ძირითადი აგებულება

ზმნა ყოველი დროის ფორმაში ინარჩუნებს თავის ძირითად აგებულებას. მაგალითად, d-u-t-ის „მე მაქვს ის“ შესაბამისად გვაქვს: (h)a-u-t „მე მყავხარ შენ (მხოლოობითი)“, სადაც d-ს „ის“ ენაცვლება ha- „შენ“. ასევე ნამყოშიც: nuen ფორმის „მე მქონდა ის“ შესაბამისად არის zindudan „მე მყავდით თქვენ“ (მამრობითი, ზრდილობიანი მიმართვა) და indukadan, indunadan „მე მყავდი შენ“ (მხოლოობითი, მამრობითი და მდედრობითი მიმართვის ფორმები, შესაბამისად).

ბასკური ზმნის ყველაზე დიდი სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ სუბიექტისა და ობიექტის (მხოლოობითსა და მრავლობითში), ჩვეულებრივი მიცემითის (მხოლოობითი და მრავლობითი) და მეორე პირის აღმნიშვნელი ზრდილობიანი მიცემითის (მამრობითი, მხოლოობითის გადმონაშთი და მრავლობითი) მრავალრიცხოვანი ფორმების გარდა, ბასკურში უამრავი დიალექტური სახესხვაობაც არის წარმოდგენილი.

43. დროები და კილოები

სანამ მოკლედ წარმოვადგენდეთ ბასკურის დროთა სისტემას, აღვნიშნავთ, რომ დიალექტთა უმრავლესობაში დაკარგულია მყოფადი დრო და პირობითი კილო. ამ შინაარსების გადმოცემა აღწერითი გზით

ხდება, რაც უთუოდ რომანული ენების გავლენით უნდა იყოს გამოწვეული. სუფიქსი -ke წარმოადგენს სინთეზური წარმოების მყოფადისა და პირობითი კილოს ნიშანს, რომელიც განაგრძობს არსებობას ანალიზური წარმოების ამავე შინაარსის ფორმათა გვერდით. ბისკაიურის უღვლილების სისტემაშიაც შეინიშნება ამ ტიპის წარმოების ნაშთები. მაგალითად, d-u-t-ს შეესაბამება d-u-ke-t „მე მექნება ის“, n-u-en-ს — n-u-ke „მე მექნებოდა ის“. ეგევე -ke გვაქვს ნამყოს პირობით კილოში: n-u-en-ის შესაბამისად გიპუსკოურში წარმოდგენილია n-u-ke-an, ლაბურდულში — n-u-ke-n „მე მექნებოდა ის“.

ბრძანებით კილოში აშკარად იჩენს თავს euki და izan ზმნების იდენტურობა. აქ პირის აღნიშვნა ყოველ ფომაში სუფიქსურია, აწმყო დროის ფორმების მსგავსად. გიპუსკოურში გვაქვს izan zaza „გქონდეს ის შენ“, ბისკაიურში — e-gi-zu (სადაც მეშველ ზმნად მოგვევლინება egin), ლაბურდულში — zazu. გიპუსკოურში გვაქვს აგრეთვე: ezak, ezan „გქონდეს ის შენ“ (მამრობითი და მდედრობითი, შესაბამისად). ბისკაიურში ამ ფორმათა შესაბამისად გვაქვს egik, egin; გიპუსკოურში გვაქვს izan beza „ჰქონდეს მას ის“ (ბისკაიურში — begi).

კავშირებითის წარმოება ემყარება -za ძირს ყველგან, გარდა ბისკაიურისა, სადაც, ბრძანებითის მსგავსად, აქაც უპირატესობა ენიჭება -gi ძირს, მდედრობითში — egin. ძირი -za აშკარად i-za-n ფორმისაგან მომდინარეობს. ამასთანავე, კავშირებითის ფორმებისათვის დამახასიათებელია -n დაბოლოების დართვა, რომლის მიმართებითი შინაარსი ზოგჯერ არ ჩანს, ისევე როგორც ეს რომანულ ენებში გვაქვს. მაგალითად, dezadan „მე რომ მქონდეს ის“ უკავშირდება ფრანგულის que je l'aie-ს. პოტენციალისის კილოში იგივე -ke ელემენტი იჩენს თავს, რომელიც სინთეზური წარმოების მყოფადში შეგვხვდა. მაგალითად, dezaket ნიშნავს „მე შემიძლია მქონდეს ის“. პირობით კილოში აშკარად ჩანს -ba- ელემენტი — ნაწილაკი, რომელიც ფრანგულისა და ესპანურის si-ს „თუ“ უდრის (ასევე, ესპანურის მახვილიანი sí-ს მსგავსად, რომელიც „დიახ“-ს ნიშნავს, ბასკურის ba-ც, მასზე i-ს დართვით, bai, გამოხატავს მტკიცებას). მოვიყვანთ მაგალითებს ba-ზე, როდესაც ის ნიშნავს: „თუ“, „რომ“ — ba-deza-t „მე თუ ის მექნება“, ba-neza „მე რომ ის მქონოდა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

44. გარდაუვალი ზმნა; „მდგომარეობის“ ან „პროცესის“ აღმნიშვნელი ზმნა, რომელიც არ მოქმედებს რაიმე საგანზე

გარდაუვალი ზმნა, ანუ ზმნა, რომელიც მეშველ ზმნად მოგვევლინება ანალიზური წარმოების ფორმებში იმ ზმნებთან, რომლებიც გამოხატავენ არა გარდამავალ მოქმედებას, არამედ გარდაუვალს, ან მდგომარეობას, თითქმის არ განსხვავდება მოქმედებითი გვარის ზმნებისაგან. განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ სუბიექტის (არამოქმედის) ნიშნები აქ პრეფიქსულია, როგორც ეს მოქმედებითი გვარის ზმნათა ნამყო დროის ფორმებში გვქონდა. მაგალითად, აწმყო დროში გვაქვს: n-aiz, z-era, d-a, g-era, z-era-te, d-ira, ნამყოში: nintzan, z-inan, z-an, gihan, zinaten, ziran გარდამავალი ზმნების მსგავსად, პოტენციალისა და პირობითი კილოს ნიშანს აქაც -ke- ინფიქსი წარმოადგენს. ბრძანებით კილოში გვაქვს: z-ai-te! „იყავით!“ z-adi-te-საგან[2]. მესამე პირში ჩნდება ელემენტი be- ან ზოგჯერ bi-. კავშირებითში -di ელემენტი იჩენს თავს. მაგალითად, na-di-n „მე ვიყო“, gaitezen „ჩვენ ვიყოთ“; ნამყოს კავშირებითში: nen-di-n „მე ვყოფილიყავი“, gindezen „ჩვენ ვყოფილიყავით“.

45. ჩვეულებრივი მიცემითისა და ზრდილობიანი მიცემითის შემცველი გარდაუვალი ზმნა

ბუნებრივია რომ ჩვეულებრივად გარდაუვალი ზმნა არ შეიცავს ობიექტზე მითითებას, თუმცა მას შეუძლია მიცემითში დასმული არაპირდაპირი ობიექტის აღნიშვნა: zait „ის არის ჩემთვის“, zintzaidean „შენ ხარ ჩემთვის“. მასში ზრდილობიანი მიმართვის ნიშანიც არის ხოლმე წარმოდგენილი: zait ფორმისაგან მამრობითი სქესისადმი მიმართვის ჩართვით ვიღებთ ფორმას zaitadak, მდედრობითისათვის კი zaitadan „რომ ის არის ჩემთვის“. „მე ვარ მისთვის“ იქნება natzaio, „რომ მე ვარ მისთვის“—natzaiok, natzaion, იმისდა მიხედვით კაცს მივმართავთ თუ ქალს.

46. შენიშვნები ბასკური ზმნის ისტორიის შესახებ

ამ ზერელე მსჯელობიდანაც ჩანს, რომ ბასკური ენის ელემენტებმა ხანგრძლივი ისტორული განვითარების გზა განვლეს. ბევრი შრომაა საჭირო იმისათვის, რომ ბასკური ზმნის აგებულება გამო-

---

[2] ზმნური ფუძის ფორმაა adi „იყავი შენ“, მომდინარეობს მიმართვის ისეთი ფორმისაგან, რომელშიაც „შენ“ იხმარება.

ვიკვლიოთ. ამასთანავე, დიალექტების ფონეტიკა არ არის დამაკმაყოფილებლად დამუშავებული და ეს ხელს გვიშლის სარწმუნო რეკონსტრუქციათა მიკვლევაში. ამის გარეშე კი ძნელია ზმნურ ფორმათა ფუნქციების გარკვევა. ფაქტობრივად ჩვენ არ ვიცით, თუ როგორ ჩაერთო უძველეს სახელურ ფუძეს (რომელსაც ხან ინფინიტივად მიიჩნევენ, ხან გერუნდივად და ხან მიმღეობად) სხვადასხვა ელემენტები: პრეფიქსები, სუფიქსები და ინფიქსები — სუბიექტის, ობიექტის, მოქმედის, მიცემითში დასმული სახელის, მსმენელისადმი მიმართვის, დროისა და კილოს და გარკვეული კატეგორიების მრავლობითი რიცხვის აღსანიშნავად. ამგვარი რთული სისტემის ჩამოყალიბება გულისხმობს დიდ განვითარებას და ენის განსაკუთრებულ ინდივიდუალურობას, რაც უთუოდ ხანგრძლივი დამოუკიდებელი განვითარების შედეგად იქნა მიღწეული.

ბუნებრივია, რომ უღვლილება, რომელიც ამდენ ელემენტს მოიცავს, ძალზე რთული უნდა იყოს. თანამედროვე ენათა უმრავლესობაში პირის, რიცხვის, დროისა და კილოს სუფიქსების შემცირების ტენდენცია მოქმედებს; ასეა ეს ინგლისურში, ფრანგულში. ბასკური ზმნის სირთულემ გამოიწვია ის, რომ თვით მოლაპარაკეები ცდილობენ გაამარტივონ ზმნის ფორმათა წარმოება. ამიტომაა, რომ ბასკურში ამ უკანასკნელ ხანებში შეიმჩნევა ცდები ამოსავალი, „სინთეზური“ უღვლილება შეიცვალოს აღწერითი, ანალიზური წარმოებით. როდესაც მკვლევრებმა ბასკურის უფრო ღრმად შესწავლას მოჰკიდეს ხელი, რაც მეთექვსმეტე საუკუნის ტექსტების ანალიზით დაიწყო, აღმოჩნდა, რომ სრული სინთეზური უღვლილების მქონე ზმნა იმ დროს იყო დაახლოებით 60 (ლაფონის მიხედვით). დღეს ეს რიცხვი ძალზე შემცირებულია.

მართლაც, ზმნათა დიდი უმრავლესობა ახლა ანალიზურ წარმოებას მიმართავს — eduki (euki ან ukhan) მეშვეული ზმნით გარდამავალ ზმნებთან და izan ზმნით — გარდაუვლებთან.

47. სინთეზური წარმოების ანუ ძლიერი ზმნები

სინთეზურ ზმნათა უღვლილება მეტ-ნაკლებად რთულია. ეგევე ითქმის izan და euki ფორმების (გარდამავალი და გარდაუვალი, შესაბამისად) შესახებაც. მაგალითად, „მე ვიცი“ jakin-ისაგან იქნება: d-aki-t, სიტყვასიტყვით: „ის-ვიცი-მე“; etorri-საგან გვაქვს n-ator

„მე მოვდივარ“. ამ ზმნათა უღვლილების აღწერა რთულია და ამასთანავე, სრულიც არ არის.

ზოგჯერ ერთი და იმავე ზმნისათვის გვაქვს სინთეზურიცა და ანალიზური წარმოებაც. მაგალითად, დეჩეპარეს ლექსებში ერთმანეთის გვერდით გვაქვს ფორმები: nator „მე მოვდივარ“, niatorkezu „მე მოვდივარ თქვენთან“ (მრავლობითი), ezin dator „მე არ შემიძლია მოსვლა“ და ანალიზური: ethorten naiz „მე მოვდივარ (ჩვეულებრივ)“, ethorten aiz „შენ მოდიხარ (ჩვეულებრივ)“ ethorten duk „ის მოდის შენთან“, ezgara ethorten „ჩვენ არ მოვდივართ (ჩვეულებრივ)“. ძალზე გავრცელებულია ბასკურში ძირების დამატება ან ურთიერთშენაცვლება. მაგალითად, ერთსა და იმავე ზმნაში etorri წარმოდგენილია ერთნაირი მნიშვნელობის მქონე ორი ძირი: augi და i. მაგალითად, giten dira „ისინი მოდიან“, iaugiten da „ის მოდის“, dauginian „როცა ის მოვა“.

48. ანალიზური წარმოების ზმნები — მათი უღვლილების ელემენტები

ბასკურში ანალიზური უღვლილების დროთა წარმოებაში სახელზმნა ასრულებს იმავე ფუნქციას, რასაც ნამყოს მიმღეობა — რომანულ ენებში. მეშველი ზმნის აწმყოს ფორმასთან სახელზმნა გამოხატავს ნამყოს შინაარსს: egin det „მე გავაკეთე (ის)“[3], sartu da „ის შემოვიდა, ის შემოსულია“. აწმყოს შინაარსის გამოსახატავად იხმარება სახელზმნა -ten ან -tzen დაბოლოებით (-tzen ფორმა გვაქვს კბილისმიერ ბგერაზე დაბოლოებული ძირის შემდეგ): egiten det „მე ვაკეთებ ამას (ჩვეულებრივ)“, sartzen da „იგი შემოდის (ჩვეულებრივ)“. ყოველივე ზემოთქმული შეიძლება საკმარისი აღმოჩნდეს იმისათვის, რომ პერიფრასტული უღვლილების ბუნებაში გავერკვეთ და აღარ შევიწუხოთ თავი უამრავი რაოდენობის ფორმათა ჩამოთვლით. ამიტომ ქვემოთ მხოლოდ ამ უღვლილების გარკვეულ ელემენტთა ფუნქციების აღნიშვნით შემოვიფარგლებით. როგორც უკვე იყო აღნიშნული, -n იხმარება როგორც მიმართებითი ნაცვალსახელის ნიშანი. დაახლოებით ამის მსგავსია -la ელემენტიც, რომელიც დაერთვის რა ზმნურ ფორმებს, აქცევს მათ გერუნდივებად და ნიშნავს: „მანამ, სანამ“, „რამდენადაც“, „რადგანაც“. მაგალითად, „ახალი

[3] სიტყვასიტყვით: „გაკეთებული მაქვს მე ის“.

აღთქმის“ ლისარაგასეულ თარგმანში ვკითხულობთ: gauza auk erran drauzkizuet, zuekin nagoela „ეს რამეები გითხარი მე შენ, სანამ ჯერ კიდევ შენთან ვიყავი“, badakigu creature guziak suspirioz daudela „ჩვენ ვიცნობთ ყველა ცოცხალ არსებას, რომელიც კი სუნთქავს“. ზმნიზედა al იხმარება ნაწილაკად კითხვით ფორმებში, პიროვნული კილოს ნაწილაკი კი არის ba. ამ ორი ნაწილაკის შერწყმის შედეგად ვიღებთ ფორმას baldin. Al ან abal ფორმის ამოსავალი შინაარსი უთუოდ იყო: „შემთხვევით“, „შესაძლოა“; იგი ამავე დროს კითხვით ნაწილაკსაც წარმოადგენს. Baldin ფორმა კი ხშირად იხმარება კატეგორიული განცხადების ან მტკიცების გამოსახატავად, როგორც ეს გვაქვს ბისკაიურში: baldin bere, გიპუსკოურში baldin ere, ორივე ნიშნავს „ნამდვილად“[4]. ძალზე რთულია bait- ნაწილაკის ხმარება. იგი დაისმის ზმნური ფორმების წინ და აღნიშნავს დაქვემდებარებას. მაგალითად, persekutatzen nau, bainatz gizon innozenta „ის მდევნის მე, მაგრამ მე უდანაშაულო კაცი ვარ“.

49. ბასკური ზმნის ფორმათა დაჯგუფება; შენიშვნები ასპექტის შესახებ

ბასკური ზმნის ყველა ფორმა, ბრძანებითის გარდა, შეიძლება გაწილდეს ორ ჯგუფად; პირველი, აწმყოს ჯგუფი — საკუთრივ აწმყო, მიმართებითი აწმყო, ba-ს შემცველი აწმყო, alba-ს შემცველი აწმყო, bait- პრეფიქსიანი აწმყო და -ke სუფიქსიანი აწმყო. მეორე ჯგუფია ნამყოს ჯგუფი, შეიცავს: -n სუფიქსიან ფორმებს, სავარაუდო (eventual) კილოს, -ke სუფიქსიან ნამყოს, ba- და alba- პრეფიქსიან შესაძლებელს. მეორე ჯგუფის ამ უკანასკნელ ფორმებს სავსებით სამართლიანად ადარებენ ხოლმე ბერძნულისა და სანსკრიტის ნატვრით კილოს. გარდა ამისა, ამ ორი ჯგუფის ფორმათა ურთიერთდაპირისპირებას „ასპექტური“ შინაარსიც დაერთვის.

ლაფონმა გამოიკვლია ბასკურში ზმნური ჯგუფების დაპირისპირების საკითხი სხვა ენებთან შედარებით და დაასკვნა, რომ პირველი ჯგუფის ფორმებს ახასიათებს „რეალური“ მოქმედების აღნიშვნა, რითაც ისინი უპირისპირდება მეორე ჯგუფში გაერთიანე-

---

[4] Baldin, თუ შუხარდტის ახსნას გამოვიყენებთ, წარმოადგენს ორი ელემენტის ba-სა და al-ის შერწყმის შედეგს.

ბულ ფორმებს. ეს უკანასკნელი „არარეალურ“ შინაარსს გადმოგვცემს. ჩვენ შეჩვეული ვართ ისეთ დაპირისპირებას, როდესაც ერთმანეთს უპირისპირდება ერთ ხაზზე განლაგებული ნამყოს მოქმედება, აწმყო და მყოფადი. ეს ერთ-ერთი შესაძლებლობაა უამრავი დასაშვები ვარიანტიდან. ბასკურში კი, სამისაგან განსხვავებით, ერთ სიბრტყეზეა მოთავსებული ნამყო, სავარაუდო, დანიშნულებითი და სასურველი მოქმედებები. ამ ფორმათა საპირისპიროდ კი გვაქვს პირველი ჯგუფის ფორმები, რომლებიც რეალურ მოქმედებებს გამოხატავს.

გარკვეულ ზმნურ ფორმათა სპეციფიკური მახასიათებლების არქონა ბასკურში მეტყველებს ამ ენაში ზმნისა და სახელის (და აგრეთვე ზმნიზედის) უძველეს გაურჩევლობაზე. ჩვენ უკვე დავინახეთ, თუ როგორ იმეორებს ზმნური კილოების მორფოლოგიას სახელი ან ზმნიზედა al, ahal, რომელიც შეიძლება ითარგმნოს როგორც „შეძლება“ ან „უნარი“. ზმნურ მოქმედებათა გარკვეული ასპექტებიც ამავე ხერხით აღინიშნება — არაცვალებადი ფორმების დართვის მეშვეობით. ეს ფორმები შეიძლება გააზრებულ იქნეს როგორც ზმნიზედები ან ზედსართავები ან რაიმე სხვა მსგავსი ენობრივი მოვლენები. ელემენტი ari ზმნას განგრძობით ან განმეორებითს შინაარსს ჰმატებს. მაგალითად, anhitz gizon ari bada andrez gaizki erraiten „ბევრი კაცი მუდამ ქალებზე ცუდის ლაპარაკშია“. მსგავსი დანიშნულების სხვა ნაწილაკებიც გვაქვს: bear, გამოხატავს „აუცილებლობას“, ezin — „შეუძლებელს“, nai — „სურვილს“ და ა. შ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

V

ბასკური ლექსიკა

50. სიტყვაწარმოება (დერივაცია)

სიტყვაწარმოება ბასკურში უფრო აქტიურია, ვიდრე, ვთქვათ, რომანულ ენებში. რიგი სუფიქსის მოქმედების მექანიზმი უფრო რთულია, ვიდრე სინტაქსურ მიმართებათა აღმნიშვნელი ელემენტების მოქმედება. ამან ხელი შეუწყო თანამედროვე ეპოქაში არა ერთი თაობის მეცადინეობას (რაც პოლიტიკური ხასიათის მიზეზებით იყო ძირითადად გამოწვეული) „განეწმინდათ ენა ნასესხობათაგან" ანუ რომანული წარმომავლობის სიტყვებისაგან.

ქვემოთ ჩამოვთლით ყველაზე უფრო გავრცელებულ სიტყვაწარმოებითს სუფიქსებს: „მფლობელი" აღინიშნება სუფიქსით -dun (რომელიც აშკარად უკავშირდება ზმნურ ფორმას du-n „ის, ვისაც აქვს"); -lari (ლათინური -arius -ისაგან), აღნიშნავს „საქმიანობას" ან „პროფესიას". მაგალითად: petolari „ბურთის მოთამაშე", aizkelari „ხისმჭრელი". ზმნიზედის მაწარმოებლად გვაქვს -ka და -ki: arri-ka „ქვისებრად", eder-ki „ლამაზად"; -le ან -gile აღნიშნავს მოქმედს; gintza აღნიშნავს საქმიანობას ან პროფესიას და მოგვაგონებს egin „კეთება" ძირს; ასეთსავე აბსტრაქტულ ტიპს მიეკუთვნება „მოქმედების" მაწარმოებლები -kunde და -kuntza, რომლებიც ლათინურისა და აგრეთვე გარკვეულ თანამედროვე ენათა გავლენის შედეგს უნდა წარმოადგენდეს. გვაქვს დაბოლოება -tza: bizitza „სიცოცხლე", eriotza „სიკვდილი", arrautza „თევზის ჭერა (როგორც საქმიანობა)". Dui ან di კრებითობას გამოხატავს. ლათინური aria-საგან ბასკურში გვაქვს (k)era: andiera „სიმაღლე", zabalera „სიგანე", lankera „მუშაობის წესი".

ზედსართავებში სიჭარბის გამოსახატავად იხმარება სუფიქსი -ti; ეროვნების აღსანიშნავად—-(t)ar (ამასთან დაკავშირებით გვსურს

აღვნიშნოთ მათი დამთხვევა იბერიულ მონეტებზე აღბეჭდილ სიტყვებთან: arseetar, saitabietar, რაც შეიძლება ითარგმნოს, როგორც „საგუნტელნი“ და „საეტაბელნი“).

„მიდრეკილება“ ან „განზრახვა“ აღინიშნება სუფიქსით -bera; ზედსართავებში „რაიმეს სურვილი“ გამოიხატება -gura სუფიქსით. „რაიმეთი გატაცებას“ აღნიშნავს -oi. ასკუე ამ სუფიქსს უკავშირებს არსებით სახელს oi „ჩვევა“, „ჩვეულება“ — ეს კავშირი, ალბათ, ისეთივეა, როგორც რომანულის -on, -ono-სა და ესპანურის meticon, madrono-ს შორის.

სუფიქსები -kote და -tzar გამოხატავენ გადიდებას, გაზრდას (მეორე სუფიქსი უკავშირდება „zarra“ ფორმას „მოხუცი“), ამავე შინაარსს გადმოსცემენ -ke და -to. კნინობითობა ბასკურში სუფიქსების გარდა სხვა ხერხებითაც გამოიხატება (ეს არ ეხება დასავლურ დიალექტებს), კერძოდ, ხმოვანთა პალატალიზაციით. მაგალითად, სულეტურში adar-ისაგან „რქა“ ვიღებთ ad'ar-ს „ეშმაკი“, Pero-საგან „პეტრე“ — Pello „პატარა პეტრე“, nabar-ისაგან „ყავისფერი“— ñabar „ჭრელი“, zuri-საგან „თეთრი“ — xuri „მოთეთრო“.

51. რთული სიტყვების წარმოება (კომპოზიცია)

რთული სიტყვების წარმოებაც მეტად პროდუქტიულ პროცესს წარმოადგენს ბასკურში. ამ წარმოების მექანიზმი ისეთივეა, როგორიც ინდოევროპულ ენებში. გვაქვს, მაგალითად, კოპულატიური რთული სიტყვები: aitamak „მამა და დედა“, senaremaztak „ქმარი და ცოლი“. ზემოაღნიშნული ტიპის სიტყვებში წარმოდგენილია მრავლობითობის გამომხატველი სუფიქსები, ისევე როგორც ეს სანსკრიტის შესაბამის რთულ სიტყვებში გვაქვს. ამასთანავე, ეს სიტყვები ისე იბრუნვის, როგორც ერთი მთლიანი ფორმა: aitasemeen „მამაშვილისა“, nebarrebeen „და-ძმისა“, beso-bular-ezpan-artean „ხელებსა, გულსა და ტუჩებში“, ეს რთული ფორმა ინესივში ანულოკატივში დგას, რაც გამოხატულია ბოლოკიდური ელემენტით artean.

მსაზღვრელის შინაარსის მქონე რთული სიტყვების მაგალითებად შეიძლება დავასახელოთ: surrandi „ცხვირდიდა“, betoker „ელამთვალა“ — შედგება begi-სა („თვალი“) და oker-ისაგან (აქ: „ელა-

მი“). რთულ სიტყვათა შემადგენელი ელემენტების განლაგება შესაძ-
ლებელია საპირისპიროც იყოს, კერძოდ, პირველ ადგილას იყოს წარ-
მოდგენილი ზედსართავი, შემდეგ — არსებითი სახელი, მაგალითად:
gauendi „შუაღამე“; ამასთანავე, მსაზღვრელი სიტყვა შეიძლება
ბრუნვის ფორმით იყოს წარმოდგენილი, მაგალითად, txarribelarri
„ღორის ყური“, laberto „პური ღუმელიდან“.

ბასკურში რთულ სიტყვებად აღიქმება გარკვეული წინდებული-
ანი ან ზმნიზედური ნაწარმოები დეტერმინატივები: gizonaitzinean
„კაცთა შორის“, urtebarruan „წლის განმავლობაში“, itsasondoan
„ზღვასთან“.

ხშირია აგრეთვე ბასკურში ონომატოპოეტური რთული სიტყვე-
ბი, როგორიცაა: zurruburu „არეულობა“ (იგივე რაც ესპანურის
zurriburri „არამზადა“; „არეულობა“), txiribiri „პეპელა“, ziri-
miri „წვრილი წვიმა, ჟინჟღლი“.

აღსანიშნავია, რომ ბასკურში არა გვაქვს ორი ზმნის შეერთების
საფუძველზე ნაწარმოები რთული სიტყვები; იშვიათია აგრეთვე სა-
ხელისა და სახელზმნის ერთ რთულ სიტყვად გარეთიანება, როგორი-
ცაა, მაგალითად, hitzeman „დანიშნული“ (სიტყვასიტყვით: hitz „სი-
ტყვა“ პლუს eman „მიცემული“).

ზოგადად ბასკურში რთულ სიტყვათა წარმოება უფრო ინტენსი-
ურია, ვიდრე რომანულ ენებში.

ნ2. სიტყვათა რიგი

სიტყვათა რიგი ბასკურში თავისუფალია. მიმართების აღმნიშვ-
ნელი შესიტყვება ან მიმართებითი დაქვემებარებული წინადადება
ბასკურში, სხვა ენებისაგან განსხვავებით, ხშირად პირველ ადგილზე
დაისმის. მაგალითად, nik behar diren guziak eginen ditut „მე გა-
ვაკეთებ ყველაფერს, რაც აუცილებელია“. სიტყვასიტყვით ბასკურ-
ში გვაქვს: „მე აუცილებელი რაც არის, ყველაფერს გავაკეთებ“, სა-
დაც, როგორც ვხედავთ, პირველ ადგილზე დგას მიმართებითი ფრაზა.
ბასკური წესის მიხედვით მსაზღვრელი სიტყვა მეორე ადგილზე უნდა
იყოს დასმული. ზმნის ადგილიც ჩვეულებრივ განსაზღვრულია, გარ-
და უარყოფითი და კითხვითი წინადადებებისა. მსაზღვრელის მეორე
ადგილზე დასმის წესი, სიტყვებს შიგნით გრამატიკულ ელემენტთა
განაწილებაშიც მოქმედებს. ავიღოთ წინადადება Barkhatu, jauna,

dio erraten Dominika, Chimun zenaren alharguntz-ak „უკაცრავად, ბატონო, ეს დომინიკაა, ვინც ამბობს ამას, ქვრივი განსვენებული ჩიმუნისა“, -ak „მოქმედის სუფიქსი“ დაერთვის არა სუბიექტის აღმნიშვნელ არსებით სახელს, არამედ მის მომდევნო მსაზღვრელს.

დაქვემდებარება ბასკურში გამოიხატება სუფიქსით ან პრეფიქსით, რომელიც დაერთვის დამოკიდებული წინადადების საუღლებელი ზმნის ფორმას. ამრიგად, ზემოაღნიშნული მიმართებითი წინადადების ტიპის მაგალითების გარდა (როგორიცაა: ikusi dugun etxea ederra da „სახლი, რომელიც ჩვენ ვნახეთ, ლამაზია“), სხვა სახის დაქვემდებარებებიც გვაქვს. -La სუფიქსით იწარმოება ბასკურში ესპანურის que-თი დაკავშირებულ დაქვემდებარებულ წინადადებათა მსგავსი კონსტრუქციები. მაგალითად, badaki ikusi dugu-la „დარწმუნებული იყავი, რომ ჩვენ ნანახი გვაქვს ის“ (dugu „ჩვენ გვაქვს“, dugu-la „რომ ჩვენ გვაქვს“). პირობითი წინადადების მაგალითად მოვიყვანთ შემდეგს: jadanik ikusi badugu, ezagutuko dugu „ჩვენ თუ ნამდვილად ნანახი გვექნება ის, ვიცნობთ კიდეც მას“ (badugu „ჩვენ თუ გვექნება“). მიზეზობრივი წინადადების მაგალითია: badakigu ikusi dagulakotz „ჩვენ ვიცით ეს, რადგანაც (-lakotz) ჩვენ ვნახეთ ის“.

ბასკურისათვის მეტად დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ აქ სიტყვათა ჯგუფი ხშირად მოქმედებს როგორც ერთი მთლიანი სიტყვა. ნაწილაკი, რომელიც ინდოევროპულ რთულ წინადადებაში დაქვემდებარებული წინადადების წინ დაისმის, ბასკურში ფრაზის ბოლოს ბრუნვის სუფიქსის სახით არის წარმოდგენილი. მაგალითად, hil guzien phizteko eguna ethorri arte „მანამ, სანამ ყველა გარდაცვლილის მკვდრეთით აღდგომის დღე დადგება“ ანუ: „ყველა გარდაცვლილის მკვდრეთით აღდგომის დღის დადგომამდე“. ეს მაგალითი იმასაც გვიჩვენებს რომ ბასკურში ხშირად სიტყვათა რიგი სრულიად საწინააღმდეგოა შესაბამისი ინდოევროპული, ვთქვათ, ინგლისური წინადადების სიტყვათა რიგისა. ზემოაღნიშნული წინადადების სიტყვასიტყვითი თარგმანი იქნება: „გარდაცვლილთა ყველათა აღდგომის დღე დადგება სანამ“. ამგვარი სიტყვათა რიგი იმდენად გავრცელებულია ბასკურში, რომ, როდესაც რომელიმე ძნელი ბასკური წინადადების ინგლისურად თარგმნას ვცდილობთ, უმჯობესია დავიწყოთ წინადადების ბოლოდან და შემდეგ მივმართოთ დასაწყისს. ბასკურში გვაქვს აგრეთვე ისეთი სიტყვათა რიგი, როგორიც ინგლისურის შემდეგ წი-

ნადადებაში გვხვდება: the man I saw yesterday's father „იმ კაცის, რომელიც გუშინ ვნახე, მამა“, შდრ.: the man whose father I saw yesterday „კაცი, რომლის მამაც მე ვნახე გუშინ“. ლევის აზრით, ამგვარი სიტყვათა რიგი გავრცელებული იყო აღმოსავლეთ ევროპის უძველეს ენებში.

სახელური ფრაზის მნიშვნელოვანი როლი ბასკურში კიდევ ერთხელ ადასტურებს ბასკური ზმნის სახელურ ხასიათს (იხილე პარაგრაფი 35). მაგალითისათვის მოვიყვანთ მონაკვეთს დეჩეპარეს ლექსიდან და დავინახავთ, რომ ამ მონაკვეთში არსად არ არის წარმოდგენილი ზმნის უღვლილების ფორმები:

Estalzeko ez izanen ehonere lekhurik,
Agertzera nork eginen ordu hartan bathirik.

„თავის დასამალავად არა აქვს არსად ადგილი,
თავის გამოსამჟღავნებლად ვისა აქვს ასეთ დროს გამბედაობა?“

ადვილად შევამჩნევთ, რომ მეშველი ზმნის უღვლილების ფორმები არ არის წარმოდგენილი ამ წინადადებებში. წმინდა სახელურ ფორმას ბასკურში შეუძლია შეინარჩუნოს კონტექსტში ძირითადი ზმნური შინაარსიცა და მოდალური თანამნიშვნელობაც. მაგალითად, konkorrek kanta, mainguek dantza „კუზიანები მღერიან, დავრდომილები ცეკვავენ“ — სიტყვასიტყვით „მღერად“ და „ცეკვად“.

53. რამდენიმე შენიშვნა ბასკური ლექსიკის შესახებ

აქ აღარ არის აუცილებელი კიდევ ერთხელ გაიხაზოს ბასკური ლექსიკის ჰეტეროგენული წარმომავლობა. რაც შეეხება ბასკურ ერთმარცვლიან სიტყვებს, ისინი, როგორც ჩანს, ბასკური ლექსიკის ძველისძველ ფენას განეკუთვნება. სხვა ენობრივ მასალასთან მათი მიმართების გარკვევა ძალზე ძნელია, თითქმის შეუძლებელიც კი არის. აქვე დავასახელებთ ამ უძველესი სიტყვების მაგალითებს: su(t) „ცეცხლი“, ke „ბოლი“, lo „ძილი“, (h)il „სიკვდილი“, me „თხელი“; და აგრეთვე გაორმაგებულ ძირებს, როგორიცაა: gogo „სული“, gogor „მაგარი“, garagar „ქერი“. ეს ძირები, რომელთათვისაც ბასკური ენის ყველა ძირითადი თვისებაა დამახასიათებელი, გარკვეულ

მსგავსებას ამჟღავნებს (ზოგ შემთვევაში ეს მსგავსება შემთხვევითია) კავკასიურ და ქამიტურ ენობრივ მასალასთან. ლათინურ-რომანული წარმომავლობის ლექსიკა სტატისტიკურად ჭარბობს სხვა წარმომავლობის სიტყვებს როგორც ბასკურის უძველეს ტექსტებში, ისე თანამედროვე სალაპარაკო ენაშიც. ბასკურის „გაწმენდა“ ნასესხები, უცხო სიტყვებისაგან გამოწვეულია ბასკების სურვილით — განთავისუფლდნენ ყოველგვარი გავლენებისაგან. ეს თანამედროვე ეპოქაში შექმნილი ვითარებაა და უშუალოდ არის დაკავშირებული პოლიტიკასთან. ასეთივე პურისტული მოძრაობები სხვა თანამედროვე ევროპულ ენებშიაც შეინიშნება, სადაც ასევე ცდილობენ გაწმინდონ ენები უცხო გავლენებისაგან და აქციონ ისინი სამწერლო ენებად. ბასკურისათვის ამ მიმართულებით გადადგმული პირველი ნაბიჯი იქნება საერთო ენის შექმნა განსხვავებულ დიალექტურ სახესხვაობათა საფუძველზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

VI

ბასკური ენის დიალექტები

54. ბასკური ენის დიალექტების შესწავლის აუცილებლობა; ბასკურის დიალექტების კლასიფიკაცია

ბასკური ენის ამ მოკლე აღწერის დასასრულს მის დიალექტებსაც უნდა შევეხოთ. ეს ის სფეროა, რომელიც საშუალებას გვაძლევს გამოვცადოთ და შევამოწმოთ ენათმეცნიერების თანამედროვე მეთოდები. დიალექტოლოგიის ახალი მეთოდების გამოყენება უთუოდ შედეგიანი იქნება ბასკური დიალექტოლოგიისათვის, რომელიც ამ ასი წლის წინ იქნა შემუშავებული ბონაპარტის მიერ და არსებითად დღემდე უცვლელი დარჩა. უახლეს წიგნებშიაც დიალექტების ისეთსავე დაყოფას გვთავაზობენ, რომელიც ჯერ კიდევ ბონაპარტისეულ სქემაში იყო მოცემული. ჩვენც მოვიყვანთ ამ სქემას მცირეოდენი შესწორებებით:

I. ბისკაიური

1. აღმოსავლური: მარკინა (Marquina),
2. დასავლური: გერნიკა (Guernica), ბერმეო (Bermeo), პლენსია (Plencia), არატია (Arratia), ოროსკო (Orozco), არიგორიაგა (Arrigoriaga), ოჩანდიანო (Ochandiano).
3. გიპუსკოასი: ბერგარა (Vergara), სალინასი (Salinas).

II. გიპუსკოური

4. ჩრდილოური: ერნანი (Hernani), ტოლოსა (Tolosa), ასპეიტია (Azpeitia).
5. სამხრული: სეგამა (Cegama).
6. ნავარული: ბურუნდა (Burunda), ეჩარი-არანასი (Echarri-Arranaz).

ეროვნული ბიბლიოთეკა

III. ზემო ნავარული: ჩრდილოური

7. ულსამასი (Ulzama): ლისასო (Lizaso).
8. ბასტანისა (Baztán): ელისონდო (Elizondo).
9. ლას სინკო ბილასისა (las Cinco Villas): ბერა (Vera).
10. არაკილისა (Araquil): უარტე-არაკილი (Huarte-Araquil).
11. არაისისა (Araiz): ინსა (Inza).
12. გიპუსკოასი: ირუნი (Irún).

IV. ლაბურდული

13. საკუთრივ ლაბურდული: სარა (Sara), აინჰოა (Ainhoa), სან ხუან დე ლუსი (San Juan de Luz).
14. ნარევი: არკანგესი (Arcangues).

V. ზემო ნავარული: სამხრული

15. სიზურ-პამპლონური (Cizpamplonés): ეგუესი (Egües)—დღეს უკვე გამქრალი, ოლაიბარი (Olaibar), არსე (Arce), ერო (Erro), ბურგეტე (Burguete).
16. ილსარბესი (Ilzarbe): პუენტე ლა რეინა (Puente la Reina) — გამქრალი.
17. პამპლონას იქითა (Ultra pamplonés): ოლსა (Olza) — დღეს მხოლოდ ნაწილობრივ ბასკური; სუსური (Zuzur)— იგივე; გულინა (Gulina).

VI. სულეტური

18. საკუთრივ სულეტური: ტარდეტსი (Tardets).
19. რონკალური (Roncalés): ბიდანგოსი (Vidangoz), ურსაინკი (Urzainqui) — გამქრალი; უსტაროსი (Uztarroz) — დღეს მხოლოდ ნაწილობრივ ბასკური.

VII. ქვემო ნავარული: აღმოსავლური

20. სიზურ-მიშური (Cizo-Mixano): სიზი (Cize), მიშე (Mixe), ბარდოსი (Bardos), არბერუე (Arberoue).
21. ადოურისა (Adour): ბრისკოუსი (Briscous), ურკიტი (Urcuit).
22. სალასარული (Salazarés): სალასარი (Salazar).

VIII. ქვემო ნავარული: დასავლური

23. ბაიგორული (Baigorrés): ბაიგორი (Baigorry).
24. ლაბურდისა: უსტარიცი (Ustaritz), მენდიონდე (Mendionde).
25. აესკოური (Aezcoano): აესკოა (Aézcoa).

სიზუსტის მოყვარულმა ბონაპარტმა გაითვალისწინა ის მკაცრი მეთოდები, რომელთა მეშვეობითაც მის დროს ერთმანეთისაგან გამოყოფდნენ დიალექტებს და აღნიშნა, რომ ზემომოყვანილი სქემის № 8 დიალექტი — ბასტანის დიალექტი, შეიძლება შევიტანოთ ლაბურდულ ჯგუფშიც და ჩრდილო ზემო ნავარულშიაც. ასეთივე „გარდამავალ“ დიალექტებად მიიჩნია მან ჩრდილო ზემო ნავარული (რომელიც შეიძლება ჩაითვალოს სამხრული ზემო ნავარულის ქვედიალექტად) და დასავლური ქვემო ნავარული (რომელიც სინამდვილეში აღმოსავლური ქვემო ნავარულის ქვედიალექტს წარმოადგენს).

ამ ახლად წამოჭრილი საკითხების გადასაწყვეტად აუცილებელია შეიქმნას ლინგვისტური ატლასი — ისეთი, რომლის შექმნის საჭიროებას წლების მანძილზე აღნიშნავდა დონ ხულიო დე ურკიხო და რომლისათვისაც მან ლაკომბთან ერთად ჩაატარა კიდეც მოსამზადებელი სამუშაოები.

ამ დიალექტთა თავისებურებებს ჩვენ იმდენად კარგად არ ვიცნობთ, რომ დავადგინოთ, წარმოადგენენ ისინი სავარაუდო „საერთო ბასკურის“ დიფერენციაციის შედეგს თუ პირიქით, დღევანდელი დიალექტები მომდინარეობს უძველესი, ერთმანეთის მონათესავე, მაგრამ განსხვავებული ენებისაგან. ზოგი სპეციალისტი (მაგალითად, ლაკომბი) აღნიშნავს, რომ ბისკაიურის განსაკუთრებული ადგილი სხვა დიალექტებს შორის მიგვითითებს იმაზე, რომ ბისკაიური ვერ დაიყვანება სავარაუდო უძველეს ბასკურ საერთო ენაზე. მეორე მხრივ, ლაფონი უფრო მეტი სიფრთხილით ცდილობს დაამტკიცოს, რომ ის საგრძნობი დამთხვევები, რომელთაც ადგილი აქვს უკიდურესი დასავლეთით მდებარე ბისკაიურსა და ბასკეთის ტერიტორიის აღმოსავლეთ საზღვარზე მდებარე სულეტურს შორის, მეტყველებს ამ ენათა უძველეს ერთიანობაზე, რამაც განაპირა არეალებში იჩინა თავი. კარო ბაროხას თვალსაზრისით კი, თანამედროვე დიალექტების გავრცელების არეალები შეესაბამება ამ რაიონებში მცხოვრები უძველესი მოსახლეობის განლაგებას: კერძოდ, ბისკაიური, მისი ვარაუდით, წარმოადგენს ბარდულების ენის გაგრძელებას, ნავარული და სულეტური დიალექტები კი უძველესი გასკონიელების ენისაგან მომდინარეობს.

ამ პრობლემათა გადაწყვეტა მხოლოდ ბასკური დიალექტოლოგიის მეცნიერული შესწავლის შედეგად გახდება შესაძლებელი.

ეს, როგორც ზემოთ უკვე იყო აღნიშნული, ის სფეროა, სადაც საჭიროა კვლევის ახალი მეთოდების დანერგვა; აუცილებელია აგრეთვე ლინგვისტური ატლასების შექმნის მეთოდიკის გაუმჯობესებაც. დიალექტების შესწავლა ბასკურის კვლევის ძალზე არსებით პრობლემას წარმოადგენს, რადგანაც, როგორც სავსებით სამართლიანად შენიშნა ლარამენდიმ ბასკურის გრამატიკის შექმნასთან დაკავშირებით, „ბასკური ენა დიალექტების გასაოცარი მრავალფეროვნებით იპყრობს ჩვენს ყურადღებას". მისი ეს თვისება მართლაც მეტად ფასეულია ენათმეცნიერის თვალსაზრისით.

55. დასკვნითი შენიშვნები

ბასკური ენის ბევრი თავისებურება განაპირობა იმ გარემოებამ, რომ ბასკურს საუკუნეთა განმავლობაში მეზობელ ენებთან მჭიდრო სიახლოვეში უხდებოდა განვითარება. მიუხედავად იმისა, რომ ბასკურმა ბევრი ელემენტი შეითვისა მეზობელი ენებისაგან და ამ ენათა დიდი გავლენა განიცადა, მას მაინც არ დაუკარგავს თავისი სახე. თავის მხრივ, რომანულ ენებზე მოლაპარაკეებმაც, რომელთაც ბასკებთან მჭიდრო კონტაქტში უხდებოდათ ცხოვრება, ბევრი ელემენტი შეითვისეს მათგან. მართალია, ბასკებს დიდი მონაწილეობა არ მიუღიათ მეზობელი ხალხების ბრძოლაში პირველობისათვის, მაგრამ მათ ბევრი რამ შესძინეს ამ ხალხებს თავისი სულიერი სიმდიდრიდან. ეს ჩანს ისეთი დიალექტების მონაცემებიდან, როგორიცაა ნავარულ-არაგონული, გასკონური და ბეარნული (პირენეების სამხრეთითა და ჩრდილოეთით, შესაბამისად).

ჩვენ არ შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ბასკური იგივე იბერიულია, ან რომ მთელს ტერიტორიაზე ირია ფლავიადან ილიბერებამდე ერთ დროს ბასკურად ლაპარაკობდნენ, მაგრამ ვერც იმას უარვყოფთ, რომ კასტილიური აღმოცენდა ბარდულების, აუტრიგონების, კანტაბრიელებისა და ტურმოგების ნიადაგზე, ინდოევროპული ესპანეთისა და ბასკების ქვეყნის ფარგლებში. ბასკურმა დამპყრობელთა ყოველგვარ ზემოქმედებას გაუძლო და უძველესი წარსულიდან დღემდე შემოგვინახა სასწაულით გადარჩენილი ბას-

კური ენა. ეს კი განსაკუთრებით სასურველს ხდის, რომ მომავალ-
შიც არ დაიკარგოს ეს ძვირფასი გადმონაშთი ენა. მიუხედავად
„ცხოვრების თანამედროვე წესისა“, ბასკები ცდილობენ შეინარჩუ-
ნონ ბასკური ენის შინაგანი თავისებურება და არ აქციონ იგი
უცხო, თანამედროვე ჟარგონად; ბასკი დედები დღესაც იმავე
ენას ასწავლიან შვილებს, რომელიც ამ ათი ათასი წლის წინათ იყო
გავრცელებული; და გაისმის მთის სოფლებსა და ფერმებში ეს გა-
საოცარი მეტყველება, რომელიც ესპანეთისა და მთელი სამხრეთ-
დასავლეთი ევროპის პრეისტორიის მოწმეა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბიბლიოგრაფია

ნაშრომები ბასკურის შესახებ

ზ ო გ ა დ ი:

Azkue, R. M. de. El vascuence y varias lenguas cultas. Estudio comparativo, Bilboa, 1949.

ასკუე, რ. მ. დე. ბასკური და სხვა განვითარებული ენები. შედარებითი გამოკვლევა, ბილბაო, 1949.

Schuchardt, H. Primitiae Linguae Vasconum, Halle, 1923.

შ უ ხ ა რ დ ტ ი, ჰ. ბასკური ენის ელემენტები, ჰალე, 1923.

გ რ ა მ ა ტ ი კ ა:

Campión, A. Gramática de los cuatro dialectos literarios de la lengua euskara, Tolosa, 1884.

კ ა მ პ ი ო ნ ი, ა. ბასკური ენის ოთხი სალიტერატურო დიალექტის გრამატიკა, ტოლოსა, 1884.

Gavel, H. Grammaire basque, Bayonne, 1929.

გ ა ვ ე ლ ი, ა. ბასკურის გრამატიკა, ბაიონა, 1929.

Mendizabal, I. Lopez. La lengua vasca, Buenos Aires, 1948.

მ ე ნ დ ი ს ა ბ ა ლ ი, ი. ლ ო პ ე ს. ბასკური ენა, ბუენოს აირესი, 1948.

Van Eys, W. J. Grammaire comparée des dialectes basques, Paris, 1879.

ვ ა ნ ე ი ს ი, ვ. ი. ბასკურის დიალექტების შედარებითი გრამატიკა, პარიზი, 1879.

Zamarripa, P. de. Gramática vasca (viscaino), Bermeo, 1928.

ს ა მ ა რ ი პ ა, პ. დე. ბასკურის გრამატიკა (ბისკაიური დიალ.), ბერმეო, 1928.

ლ ე ქ ს ი კ ო ნ ე ბ ი:

Azkue, R. M. de. Diccionario vasco-español-francés, Bilbao, 1905-06.

ა ს კ უ ე, რ. მ. დე. ბასკურ-ესპანურ-ფრანგული ლექსიკონი, ბილბაო, 1905-06.

Lhande, S. J. Diccionnaire basque-français, Paris, 1926-38.

ლ ა ნ დ ე, ს. ი. ბასკურ-ფრანგული ლექსიკონი, პარიზი, 1926-38.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინამდებარე ნაშრომის სხვადასხვა პარაგრაფში გამოყენებული ძირითადი ლიტერატურის სია

პარაგრაფი 1. Humdoldt, W. Examen de los investigationes sobre los aborigenes de España mediante la lengua vasca (transl. in Spanish by Aranzadi), San Sebastian, 1935.
ჰუმბოლდტი, ვ. ესპანეთის აბორიგენთა შესახებ არსებული გამოკვლევების შემოწმება ბასკური ენის მონაცემების საფუძველზე (თარგმნილი ესპანურად არანსადის მიერ), სან სებასტიანი, 1935.

Aranzadi, T. de: Antropología y etnología del país vasco-navarro, San Sebastián, 1911.
არანსადი, ტ. დე. ბასკურ-ნავარული ქვეყნის ანთროპოლოგია და ეთნოლოგია, სან სებასტიანი, 1911.

Hoyos Sainz, L. de. Historia de España, Madrid, 1947.
ოიოს საინსი, ლ. დე. ესპანეთის ისტორია, მადრიდი, 1947.

Bosch Gimpera, P. Etnología de la Península Ibérica, Barcelona, 1932.
ბოსკ ჯიმპერა, პ. იბერიის ნახევარკუნძულის ეთნოლოგია, ბარსელონა, 1932.

Bosch Gimpera, P. La formación de los pueblos de España, Mexico City, 1945.
ბოსკ ჯიმპერა, პ. ესპანეთის ხალხთა წარმომავლობა, მეხიკო, 1945.

პარაგრაფი 2. Luchaire, Les origines linguistiques de l'Aquitaine, Pau, 1877.
ლუშერი, აკვიტანიურის ენობრივი წარმომავლობა, პო, 1877.

Menedez Pidal. Origenes del español, Madrid, 1929.
მენენდეს პიდალი. ესპანურის წარმომავლობა, მადრიდი, 1929.

პარაგრაფები 3-8. Linchmann und Schuchardt. Baskische Bücher von 1571, Strassburg, 1900.
ლინხმანი და შუხარდტი. 1571 წლის ბასკური წიგნები, სტრასბურგი, 1900.

Vinson, J. Bibliographie de la langue basque, Paris, 1891.
ვენსონი, ჟ. ბასკური ენის ბიბლიოგრაფია, პარიზი, 1891.

Garate, J. La época de Pablo Astarloa y Juan Antonio Moguel, Bilbao, 1936.
გარატე, ხ. პაბლო ასტარლოასა და ხუან ანტონიო მოგელის ეპოქა, ბილბაო, 1936.

Baroja Caro. Los pueblos de España, Barcelona, 1946.
ბაროხა კარო. ესპანეთის ხალხები, ბარსელონა, 1946.

პარაგრაფი 9. Bouda, K. Baskisch-Kaukasische Etymologien, Heidelberg, 1949.

ბ ო უ დ ა, კ. ბასკურ-კავკასიური ეტიმოლოგიები, ჰაიდელბერგი, 1949.

პ ა რ ა გ რ ა ფ ი 10. v o n d e r G a b e l e n z, G. Die Verwandtschaft des Baskischen mit den Berbersprachen Nord-Afrikas, Braunschweig, 1894.

ფ ო ნ დ ე რ გ ა ბ ე ლ ე ნ ც ი, გ. ბასკურის ნათესაობა ჩრდილო აფრიკის ბერბერულ ენებთან, ბრაუნშვეიგი, 1894.

T o v a r, A. «Basque and Its Relationship to Caucasian». Int. Anthrop. and Linguis. Rev. (Miami, 1953).

ტ ო ვ ა რ ი, ა. „ბასკური და მისი ნათესაობა კავკასიურთან". საერთაშორისო ანთროპოლოგიური და ლინგვისტური მიმომხილველი (მაიამი, 1953).

პ ა რ ა გ რ ა ფ ი 11. B e l t r a n, Pio. Sobre un interesante vaso escrito de San Miguel de Liria, Valencia, 1942.

ბ ე ლ ტ რ ა ნ ი, პ ი ო. ერთი საინტერესო წარწერიანი ლარნაკის შესახებ სან მიგელ დე ლირიადან, ვალენსია, 1942.

პ ა რ ა გ რ ა ფ ი 12. v o n W a r t b u r g, W. Die Entstehung der romanischen Völker, Halle, 1939.

ფ ო ნ ვ ა რ ტ ბ უ რ გ ი, ვ. რომანულ ხალხთა წარმოქმნა, ჰალე, 1939.

პ ა რ ა გ რ ა ფ ი 15. G a v e l, H. Eléments de phonétique basque, Paris, 1920.

გ ა ვ ე ლ ი, ა. ბასკური ფონეტიკის ელემენტები, პარიზი, 1920.

პ ა რ ა გ რ ა ფ ი 20. A z k u e, R. m. d e. Morfología vasca, Bilboa, 1925.

ა ს კ უ ე, რ. მ. დ ე. ბასკურის მორფოლოგია, ბილბაო, 1925.

პ ა რ ა გ რ ა ფ ი 35. B o n a p a r t e, P r i n c e L. L. Le verbe basque en tableaux, selon les huit dialectes de l'Euskara, London, 1869.

ბ ო ნ ა პ ა რ ტ ი, ლ. ლ. ბასკური ზმნა ტაბულებში, ბასკურის რვა დიალექტის მიხედვით, ლონდონი, 1869.

L a f o n, R. Les formes simples du verbe basque dans les principaux textes du XVI siècle, Burdeos, 1943.

ლ ა ფ ო ნ ი, რ. ბასკური ზმნის მარტივი ფორმები მეთექვსმეტე საუკუნის ძირითადი ტექსტების მიხედვით, ბორდო, 1943.

L a f o n, R. Le système des formes verbales à auxiliare dans les principaux textes basques du XVI siécle, Burdeos, 1943.

ლ ა ფ ო ნ ი, რ. მეშველზმნიანი ზმნური ფორმების სისტემა მეთექვსმეტე საუკუნის ძირითადი ბასკური ტექსტების მიხედვით, ბორდო, 1943.

E c h a i d e, I. M. Desarrollo de las conjugaciones euskaras, San Sebastián, 1944.

ე ჩ ა ი დ ე, ი. მ. ბასკურის უღვლილებათა განვითარება, სან სებასტიანი, 1944.

პ ა რ ა გ რ ა ფ ი 54. B o n a p a r t e, Prince L. L. Carte des sept provinces basques, montrant la délimitation actuelle de l'Euskara et su division en dialectes, London, 1863.

ბ ო ნ ა პ ა რ ტ ი, ლ. ლ. ბასკეთის შვიდი პროვინციის რუკა, რომელიც გვიჩვენებს ბასკურის გავრცელების დღევანდელ საზღვრებს და მის დაყოფას დიალექტებად, ლონდონი, 1863.

A z k u e, R. M. de. Aezkera edo Petiriberro-inguruetako mintzaera, Bilbao, 1928.

ა ს კ უ ე, რ. მ. დე. ბასკურის აესკოური დიალექტი, ბილბაო, 1928.

L a r r a s q u e t. Le basque de la basse Soule orientale, Paris, 1939.

ლ ა რ ა ს კ ე. ბასკურის აღმოსავლური ქვემო სულეტური დიალექტი, პარიზი, 1939.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირთა საძიებელი

აბადიე, ა. თ. დ' (A. Th. d' Abadie) 29.
ალბრიტი, ხუანა დე (Juana de Albrit) 22.
არანსადი (Aranzadi) 19.
არამბილაგა, დ' (d'Arambillaga) 24.
ასკუე, რ. მ. დე (R. M. de Azkue) 43.
ასტარლოა, პედრო პაბლო დე (Pedro Pablo de Astarloa) 27, 28.
აშულარი, პედრო დე (Pedro de Axular) 23.

ბაროხა, ხულიო კარო (Julio Caro Baroja) 31, 88.
ბერტოლდი, ვ. (V. Bertoldi) 40.
ბონაპარტი, ლუი ლუსიენ (Luis Lucien Bonaparte) 29, 86.
ბოპი, ფრანც (Franz Bopp) 68.
ბოროუ, ჯორჯ (George Borrow) 29.
ბოუდა, კ. (K. Bouda) 16,18, 35, 36.

გაბელენცი, გ. ფონ (G. von Gabelenz) 37.
გალაისტეგუ (Gallaistegu) 26.
გარიბაი, ესტებან დე (Esteban de Garibay) 23, 25, 28.
გერლანდი (Gerland) 39.
გომესი, გასპარ (Gaspar Gomes) 22.
გომეს-მორენო (Gomez-Moreno) 39.
გრიგარაი, გ. (G. Grigaray) 18.

დასკონაკერი, ჟ. ბ. (J. B. Dasconaquerre) 29.
დეჩეპარე, ბ. (B. Dechepare) 22, 24, 84.
დიუმეზილი, ჟ. (G. Dumézil) 35.

ერო იასპიროსი, ხუან ბატისტა (Juan Batista Erro y Azpiroz) 27.
ეჩავე, ბალტასარ დე (Baltasar de Echave) 25.
ეჩაიდე (Echaide) 66.
ეჩებერი, იოანეს დ' (Iohannes d'Etcheberry) 23.

ვენსონი (Vinson) 29.
ვულკანიუსი, ბონავენტურა (Bonaventura Vulcanius) 22.

იბარგენი, ხუან ინიგეს დე (Juan Iniguez de Ibarguen) 22.
იგნაციუსი, სენტ (St. Ignatius) 26.
იპარაგირე (Iparaguirre) 30.
ირაისოსი (Iraizoz) 21.
ირიგარაი (Yrigaray) 26.

კარდავარასი, აუგუსტინ (Augustin Cardavaraz) 26.
კარსტი, ი. (J. Karst) 35, 36.
კემპისი, თომას ა (Thomas a Kempis) 24.
კონდე (Condé) 27.
კრეჩმარი (Kretschmar) 68.

ლაკომბი, ჟ. (G. Lacombe) 88.
ლარამენდი, მანუელ დე (Manuel de Larramendi) 22, 23, 24, 25, 89.
ლასარო კარეტერი, ფ. (F. Lazaro Carreter) 18.
ლაფონი, რ. (R. Lafon) 18, 35, 67, 78, 88.
ლევი, ე. (E. Lewy) 20, 36, 42, 84.
ლისარაგა, ხუან დე (Juan de Liçarrague (Lizarraga) 21, 22.
ლუშერი (Luchaire) 20.

მაიანს ი სისკარი (Mayans y Siscar) 25
მერე (Meret) 28

ᲛᲘᲜᲓᲘᲜᲘ, ო. (O. Minghin) 35.
მიულერი, ფრიდრიხ (Friedrich Müller) 66.
მოგელ ი ურკისა, ხუან ანტონიო (Juan Antonio Moguel y Urquiza) 28.
მორე, ჟოზეფ დე (Josef de Moret) 25.

ოიჰენარტი, არნო დე (Arnauld de Oihenart) 23, 25.
ოსაეტა (Ozaeta) 26.
ორმაეჩეა, ნიკოლას (Nicolas Ormaetxea) 30.

პეროჩეგი, ხუან დე (Juan de Perocheguy) 25.
პიდალი, მენენდეს (Menendez Pidal) 39, 42.
პიკო, ემერიკ (Aimeric Picaud) 21.
პოკა, ანდრეს დე (Andres de Poca) 25.
პოკორნი (Pokorny) 38.
პუვრო, სილვენ (Silvain Pouvreau) 24, 26.

რაბლე, ფ. (F. Rabelais), 22.
რეინიშ, ლ. (L. Reinisch) 37.
რიბარი, ფ. (F. Ribary) 36.
რისკო (Risko) 26.

სიკულო, ლუსიო მარინეო (Lucio Marineo Siculo) 22.
სილარსი, ე. (E. Zyhlarz) 37.

ტრომბეტი, ა. (A. Trombetti) 35.

ულენბეკი, კ. (C. Uhlenbeck) 16,20, 35, 36, 41.
ურკიხო, ხულიო დე (Julio de Urquijo) 23, 88.

ფიტა (Fita) 35.
ფლორესი (Florez) 26.
ფუშე, პ. (P. Fouché) 36.

შარენსი (Charencey) 35.
შუხარდტი, ჰ. (H. Schuchardt) 16, 35, 37, 39, 66, 67.
ჩაჰო, აუგუსტინ (Augustin Chaho) 29.
ჩოურიო, მიქაელ (Michael Chourio) 24.

ჰაბნერი (Habner) 39.
ჰარანედერი ხუან დე (Juan de Haraneder) 26.
ჰარიეტი (Harriet) 26.
ჰუმბოლდტი, ვ. (W. Humboldt) 16, 20, 27, 28, 38.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა. ბასკურის ნათესაობის საკითხი პროფ. ანტ. ტოვარის წიგნში „ბასკური ენა" 5

ინგლისური თარგმანის წინასიტყვაობა 16
ავტორის წინასწარი შენიშვნა 17
ავტორის შენიშვნა მეორე გამოცემისათვის 17

I. ბასკური ენის ისტორიისათვის

1. ზოგადი ცნობები ბასკური ენის წარმომავლობისა და შემონახვის შესახებ 19
2. ცნობები ბასკურის შესახებ: აკვიტანიის რომაული წარწერები; შუა საუკუნეების დოკუმენტები; Codex Calixtinus; ემილიის ჭლოსები; რენესანსის ავტორები 20
3. მეთექვსმეტე და მეჩვიდმეტე საუკუნეების ბასკური ლიტერატურა 22
4. მეთვრამეტე საუკუნის ბასკური ლიტერატურა 24
5—6. ჰუმბოლდტი და მისი ბასკი მეგობრები. მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში გამოქვეყნებული ნაშრომები ბასკურის შესახებ 27
7. ბასკური ენის შემონახვა 30

II. შედარებითი შესწავლის შედეგები

8. ბასკური ენა და კავკასიური ენები 33
9. ბასკური და ურალურ-ალთაური; ბასკური და პალეოციმბირული ენები 35
10. ბასკური და ქამიტური (სემიტური) ენები 37
11. ბასკური და იბერიული 38
12. ბასკური და დასავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის ენები 40
13. კელტური და ლათინური ნასესხობანი 40
14. ბასკური და რომანული, გერმანული და არაბული ენები 41

III. ბასკურის ფონეტიკა

15. ბასკურის ფონეტიკა; ხმოვნები 45
16. მახვილი 47

17. თანხმოვნები 48
18. პოზიციური ფონეტიკა 49
19. შენიშვნები თანხმოვნების შესახებ; სინკოპა; ჰიატუსი 51

IV. ბასკურის მორფოლოგია და სინტაქსი

20. ბასკურის აგლუტინაციური ხასიათი 53
21. ბასკურის „ბრუნვები“ 54
22. ნომინატივი (სახელობითი) 55
23. ერგატივი ანუ აქტივი (მოთხრობითი) 56
24. ინსტრუმენტალისი (მოქმედებითი); დატივი (მიცემითი) 56
25. ორი გენეტივი (ნათესაობითი) 57
26. კომიტატივი ანუ სოციატივი (თანაობითი); ლოკატივი ანუ ინესივი (შიგმყოფობითი); მიმართულებითი ბრუნვა ანუ ადლატივი; დაშორებითი ბრუნვა ანუ ელატივი; პარტიტივი (ნაწილგამოყოფითი) 57
27. სხვა ბრუნვის ნიშნები 59
28. სულიერისა და უსულოს პრობლემა ბასკურ ბრუნებაში 59
29. ზედსართავი სახელი — შეთანხმება, შედარება 60
30. რიცხვითი სახელი 61
31. პირის ნაცვალსახელი 62
32. კუთვნილებითი ნაცვალსახელები 63
33. ჩვენებითი ნაცვალსახელები; არტიკლი 63
34. უკუქცევითი ნაცვალსახელები; განუსაზღვრელი ნაცვალსახელები; კითხვითი ნაცვალსახელები 64
35. ზოგადი ცნობები ზმნის შესახებ 65
36. ბასკური ზმნის პასიურობა 66
37. ზმნები izan და euki 67
38. „ჩვეულებრივი“ მიცემითის შემცველი გარდამავალი ზმნური ფორმები 69
39. ზრდილობიანი მიცემითის შემცველი ფორმები 70
40. ზმნური ფორმის ზოგი სხვა აფიქსის ანალიზი 71
41. სხვადასხვა ნიშანთა თანაარსებობა 71
42. თითოეული დროის ფორმათა ძირითადი აგებულება 73
43. დროები და კილოები 73
44. გარდაუვალი ზმნა; „მდგომარეობის“ ან „პროცესის“ აღმნიშვნელი ზმნა, რომელიც არ მოქმედებს რაიმე საგანზე 75
45. ჩვეულებრივი მიცემითისა და ზრდილობიანი მიცემითის შემცველი გარდაუვალი ზმნები 75
46. შენიშვნები ბასკური ზმნის ისტორიის შესახებ 75
47. სინთეზური წარმოების ანუ ძლიერი ზმნები 76
48. ანალიზური წარმოების ზმნები — მათი უღვლილების ელემენტები 77
49. ბასკური ზმნის ფორმათა დაჯგუფება; შენიშვნები ასპექტის შესახებ 78

ეროვნული ბიბლიოთეკა

V. ბასკურის ლექსიკა

50. სიტყვაწარმოება (დერივაცია) 80
51. რთული სიტყვების წარმოება (კომპოზიცია) 81
52. სიტყვათა რიგი 82
53. რამდენიმე შენიშვნა ბასკური ლექსიკის შესახებ 84

VI. ბასკური ენის დიალექტები

54. ბასკური ენის დიალექტების შესწავლის აუცილებლობა; ბასკური დიალექტების კლასიფიკაცია 86
55. დასკვნითი შენიშვნები 89

ბიბლიოგრაფია: ნაშრომები ბასკურის შესახებ 91

პირთა საძიებელი 95

ეროვნული ბიბლიოთეკა

СОДЕРЖАНИЕ

Арн. Чикобава. Вопрос о родстве баскского языка в книге проф. Ант. Товара «Баскский язык» 5

Предисловие к английскому переводу 16
Предисловие автора 17
Примечание автора ко второму изданию 17

I. К ИСТОРИИ БАСКСКОГО ЯЗЫКА

1. Общие сведения о происхождении и сохранении баскского языка 19
2. Сведения о баскском языке: римские надписи из Аквитании; средневековые документы; Codex Calixtinus, Эмилийские глоссы; авторы ренессанса 20
3. Баскская литература шестнадцатого и семнадцатого веков . . 22
4. Баскская литература восемнадцатого века 24
5—6. Гумбольдт и его баскские друзья. Работы о баскском языке, опубликованные в первой половине девятнадцатого века 27
7. Сохранение баскского языка 30

II. РЕЗУЛЬТАТЫ СРАВНИТЕЛЬНОГО ИЗУЧЕНИЯ

8. Баскский язык и кавказские языки 33
9. Баскский язык и урало-алтайские языки; баскский язык и палео-сибирские языки 35
10. Баскский язык и хамитские (семитские) языки 37
11. Баскский язык и иберийский 38
12. Баскский язык и языки западного Средиземноморья 40
13. Кельтские и латинские заимствования 40
14. Баскский язык и романские, германские, и арабские языки 41

III. ФОНЕТИКА БАСКСКОГО ЯЗЫКА

15. Фонетика баскского языка; гласные 45
16. Ударение 47
17. Согласные 48

18. Позиционная фонетика 49
19. Примечания о согласных; синкопа; хиатус 51

IV. МОРФОЛОГИЯ И СИНТАКСИС БАСКСКОГО ЯЗЫКА

20. Агглютинативный характер баскского языка 53
21. «Падежи» баскского языка 54
22. Номинатив (именительный) 55
23. Эргатив или активный падеж 56
24. Инструменталис (творительный); датив (дательный падеж) . . 56
25. Два генетива (родительных) 57
26. Комитатив или социатив; локатив или инессив; направительный падеж или адлатив; отправительный падеж или эллатив; партитив 57
27. Окончания других падежей 59
28. Проблема одушевленности и неодушевленности в системе склонений баскского языка 59
29. Имя прилагательное — согласование, степени сравнения . . . 60
30. Имя числительное 61
31. Личные местоимения 62
32. Притяжательные местоимения 63
33. Указательные местоимения; артикль 63
34. Возвратные местоимения; неопределенные местоимения; вопросительные местоимения 64
35. Общие сведения о глаголе 65
36. Пассивный характер баскского глагола 66
37. Глаголы izan и euku 67
38. Формы переходного глагола, содержащие показатель «обычного» датива 69
39. Формы, содержащие показатель вежливого датива 70
40. Анализ некоторых других аффиксов глагольных форм 71
41. Сосуществование различных аффиксов 71
42. Основная структура временных форм 73
43. Время и наклонение 73
44. Переходный глагол; глаголы, выражающие «состояние» или «процесс», не имеющие «объекта действия» 75
45. Переходные глаголы, содержащие показатели «обычного» и вежливого датива 75
46. Примечания об истории баскского глагола 75
47. Синтетические или сильные глаголы 76
48. Аналитические глаголы — различные элементы в их спряжении 77
49. Систематизация глагольных форм; замечания об аспекте . . . 78

V. ЛЕКСИКА БАСКСКОГО ЯЗЫКА

50. Словообразование (деривация) 80
51. Образование сложных слов (композиция) 81
52. Порядок слов 82
53. Несколько замечаний о лексике баскского языка 84

VI. ДИАЛЕКТЫ БАСКСКОГО ЯЗЫКА

54. Необходимость изучения диалектов баскского языка; классификация диалектов баскского языка 86
55. Заключения 89

Библиография: научная литература по баскскому языку 91

Указатель имен 95

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

ИБ 1381

*

რეცენზენტები: ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ბ. ფოჩხუა,
ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ლ. ენუქიძე

გამომცემლობის რედაქტორი გ. გოგიავა
ტექრედაქტორი ნ. ოკუჯავა
კორექტორი ნ. შენგელია

გადაეცა წარმოებას 17.10.1979; ხელმოწერილია დასაბეჭდად 3.4.1980;
ქაღალდის ზომა 60×91/16; ქაღალდი № 1; ნაბეჭდი თაბახი 6,5;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,7;
უე 01064; ტირაჟი 5000; შეკვეთა № 3515;
ფასი 50 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Антонио Товар

БАСКСКИЙ ЯЗЫК

Перевод с английского Н. Н. СТУРУА

(на грузинском языке)

ფასი 50 კაპ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა